

659 / 2
1973



საქართველო

1 9 7 3 2



ა. გალუხვი — მუზეუმში ლექსი
თარგმანი თ. ჯანგულაშვილისა 3

ბ. მაღაზონია — ლექსები . . . 5

გ. რეჟია — ლუკი ივანიჩის
ორი პარასკევი მოთხრობა
გაგრძელება 7

დ. მუხარამია — ლექსები 23

ე. ანთაქა — *** ყველა ზღაპ-
რის დასაწყისი... ლექსი 25

ვ. ქუთათელაძე — სულში ჰყვამ-
ვიან ვარდები მინიატურა 26

ზ. დიასამიძე — ლექსები 27

ი. მელია — ლექსები 29

კ. სანიკიძე — წიგნი რძისა არ-
სობისა პროლოგი რომანისა 31

**კრიტიკა და
კუბლიცისტობა**

ა. ჩავლიუვილი — მომხვეჭა-
ლოგის დაბოვების მოტივი
ქართულ ლიტერატურაში . . . 49

წერილები

ა. ნიკოლიუვილი — კობის
ცხოვრების მიმწუხრის სავანე 61

ბ. ბერიძე — ფოლკლორში
ლაღო მრეღაწვილის რომან-
ში „შაბახი“ 69

გ. დავითაძე — გაზეთი
„ფუხარა“ 83

სატირა და იუმორი

ა. დარჩია — მომჩივანის ხვე-
დრი 95

46121

ლიტერატურულ-მხატვრული და
საზოგადოებრივ-პოლიტიკური
ჟურნალი

საქართველოს საბჭოთა
მწერლების კავშირისა და
აჭარის განყოფილების
ორგანო

ბათუმი — 1973
მარტი — აპრილი

კ. მარქსის ს.ს.ს.ს.
სახელმწიფო რესპუბლიკა.
ლიტერატურა

რედაქტორი ა. შონია

სარედაქციო კოლეგია: ნ. ახვლედიანი, მ. ვარშანიძე (პ. მგ.
მდივანი), პ. ლორია, აღ. ჩავლეიშვილი, ფრ. ხალვაში.

რედაქციის მისამართი: ბათუმი, ენველსის ქ. № 21.
ტელეფონი — 33-71.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 9.III.73, საბეჭდი 6, საგამომცემლო 5 თაბახი.
შეკვეთის № 1560, ემ 00827, ქალაქის ზომა 60×90, ტირაჟი 2.040.

* * *

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო
კომიტეტის მთავარბოლიგრაფმრეწვის ბათუმის სტამბა № 9
(ლუქსემბურგის, 20).

მ უ ზ ე უ მ შ ი

შათუმის მყუდრო მუზეუმის შვეალე კარი,
ვფრთხილობ, არ შეკრთეს ისტორია დაძინებული,
აგერ ქვის დანა, კაჟის თოფი, მშვილდი და ხმალი,
ადამიანთა ცხელი სისხლით დამძიმებული.

მეჩვენა: ყველა იარაღი შეტოკდა უცებ
და აელვარდა მეომართა ხელში მრისხანედ,
საუკუნეთა მიღმა ვხედავ: მტერს ელვას უშენს
ზღვისპირა ციხე. დაისისხლა დილა სისხამი.

ჩქედს სისხლის ღვარი, წივის ხმალი იანიჩართა,
ციხის კედლებზე მცურავივით მიცურავს ალი,
დაცხრილულ გულთან დაგესლილი ტყვია მიჯარდა
და ციხისძირთან შევიწროვდა სიკვდილის რკალი.

საუკუნეთა წყებამ ჩემს წინ ჩაიგრიალა,
რამდენი სისხლი დაიღვარა, ცრემლიც რამდენი,
ვიდრე ომებში აკივლებულ ამ მკაცრ იარაღთ
დაერქმეოდათ მუზეუმის ექსპონატები.

მე მუზეუმის დარბაზებში დავდივარ ფრთხილად, —
არ გავაღვიძო ისტორია ჩაძინებული,
და ფიქრით ვხედავ: დღევანდელი აჭარის დილა
გულსავსე მიწას დაჰქათქათებს გაცინებული.

მახინჯაურში შავთვალწარბა ქალიშვილები
ჩაის ნაზ ფოთოლს უნაზესი თითებით ჰკრეფენ,
მწვანე ბუჩქებქვეშ თვინიერად წვანან ჩრდილები
და ლოთებივით სვამენ დილის ცვარ-ნამის შხეფებს.



ოქროს ციტრუსებს, ვით ანთებულ ვარსკვლავებს ციდან,
 ტანდამშიმებულ ხეებიდან სწყვეტენ ვაჟები,
 მებაღურეებს ზღვის სიმდიდრე ამოაქვთ ზღვიდან,
 წარბსაც ვერ უხრით ზღვის ტალღები მოგანგაშენი.

სანაპიროზე ყვავილნარი მზით იკოცნება,
 მთებზე სიმწვანე დაჯირითობს დაუდგრომელი
 და მარადმწვანე ხეთა შორის ცისფერ ოცნებად
 ჩამდგარან სახლნი, ჯანს იკაჟებს სადაც მშრომელი.

მე მუზეუმის დარბაზებში დავხეტილობ,
 მესაუბრება დრო სტენდებზე დახვავებული,
 აქ ფოთოლს ქარი არ ატოკებს, არ აშრიალეებს,
 ცხოველთ ფიტულნი უხმოდ დგანან გაქვავებულნი.

და მზერა ჩემი, სმენა ჩემი ამ კედლებს არღვევს,
 ცხადად ჩამესმის ნაზი სუნთქვა ევკალიპტების,
 ტანაყრილ ლერწამს მოხურჩულე ნიავი არხევს,
 ზღვის ცისფერ ტალღებს აწყდებიან მწვანე ზვირთები.

შორს, მაღალ მთებში, საძოვრებზე, როგორც ღრუბლები
 მიირხევიან ცხვრის ფარები, ჟღერს სალამური.
 არწივის ფრთათა ქარი ატყდა, შედგა კურდღელი
 შეშინებული, ველურ ბუჩქის ქვეშ განაბული.

ჯიხვს მონადირე გააყოლებს თვალს მოფერებით.
 სხვა მონადირემ გარეულ ტახს ესროლა ტყვია,
 მწყემსი ბილიკზე დათვს შეება შიშველ ხელებით,
 მე კი ფიტულებს შევყურებ და ვფხიზლდები გვიან.

აქ, ისტორიის დარბაზებში, ჩავივლი ფრთხილად,
 აქ ხომ გარდასულ დროყამსა და ცხოვრებას ძინავს,
 გავდივარ გარეთ, მზე ზეიმობს შავი ზღვის პირად
 და დედამიწა მის უბადლო ღიმილში ბრწყინავს.

თარგმან: თეიმურაზ ჯანგულაშვილი

კაცური სიცოცხლე

რა ჭრელია თურმე ხალხი!
 გვიან, მაგრამ მაინც მივხვდი.
 დავდივარ და წარბსაც არ ვხრი,
 არც ვინმესთან ბოდიშს ვიხდი.
 ზოგი მწამს და ზოგსაც ვწამვარ,
 ზოგი კაცად სულაც არ მწამს...
 მოვა დრო და ყველა წავალთ,
 ერთი მიწის ჭია დაგვჭამს.
 და ეს ყამი როდის მოვა —
 არ ვწუხვარ და არ დავეძებ,
 არც წინდაწინ ვიცი გლოვა,
 არც ვიმაღვი სადმე სხვენზე.
 მე სიკვდილზე ფიქრი არ მკლავს,
 მან იფიქროს თვითონ ჩემზე,
 მე კი ვლოცავ ბედის ვარსკვლავს,
 რომ ამდრომდე ყოფნა შეეძელ.
 ლექსისათვის სტრიქონს ვნასკვავ,
 მზიან ხმას და რითმას ვეძებ...
 მე ვადიდებ კაცურ კაცს და
 ვმღერი კაცურ სიცოცხლეზე.

თ ბ ი ლ ი ს ი

ვახტანგი, —
 მე ისე მიყვარს სახელად,
 რომ ვაყებს
 სუყველას ვახტანგს დავარქმევდი.

მე მიყვარს
ხოხობიც ხოხობისყელა,
მიყვარს და...
ცხელ წყალში ველარ ჩავაგდებდი.

მაგრამ თუ
თბილისი არ იქნებოდა,
მთაწმინდა,
მხოლოდღა მთა იქნებოდა
და ქართლი
უმათოდ ივლიდა ჩემ დრომდი,
არ დამჭირდებოდა
ის მშვილდისარი,
მარეკი,
მიმინო,
მრჩეველ-მისანი,
ფიქრი რომ ფიქრია,
უფიქრებოდაც
ხოხობისწილ
იმ წყალში მე ჩავვარდებოდი.

შოთა რუსუა

ღუკი ივანოვიჩის ორი პარასკევი

III

— მინადორა, დეიდა! — დაიძახა ეზოში შემოსულმა ფარფაშამ, ფეხით ქალღღებზე შედგა და სახლს აჰხედა.

სახლის წინ, რომელშიაც ღუკი ივანოვიჩი ცხოვრობს, ეზოში, ძელსკამებთან, სქელი, სახვევი ქალღღები ჰყრია. ეს იმის ნიშანია, რომ აქ რაღაც ავეჯი მოუტანიათ. მეორე დღეა, უხმოდ გადადიან და გადმოდიან ამ ქალღღებზე მეზობლები, მაგრამ სახლს ოდნავ რომ გასცილდებიან, ქალღღის მომტანს ერთს გვარიანად შეუკურობენ და გზას განაგრძობენ.

ფარფაშას ხმაზე მეორე სართულის ფანჯრიდან მინადორამ გამოიხედა.

— მინადორა დეიდა, შინ ხარ? — იკითხა გოგომ და თითქოს ახლა მოაგონდაო, გაიკვირვა, — აჰ, ტიულპანი! უკვე?

— ამოდი! — მოწყვეტით ჩამოუგდო სიტყვა მინადორამ.

— არა, ზევით არა, ისე გამოვიარე.

ფარფაშა ძელსკამთან მივიდა, ქალღღები გადმოჰყარა და ჩამოჯდა. მინადორა ძირს ჩამოვიდა.

— უკვე მოგიტანეს?

— ერთი კი მომიტანეს, მარა მეორე... — გულისტკივილით დაიწყო მინადორამ, — აჰ, მეორე სადღაც ისე გააქრეს, კვალსაც ვერ მივაგენი. ო, ეს გაიძვერები! აბა, საწყობის გამგეები შენ ხალხი ხომ არ გგონია? ო, ისე გამაბრაზეს, ისე მანერვიულეს, ახლა ჩემი აღელვება შეიძლება? შაქარი მაქვს.

* გაგრძელება. იხ. „ჭოროხი“ № 1.

— ნუ მიაქცევ ყურადღებას, მინადორა დეიდა, გულს დარდი სულ არ გააკარო.

თუ ექიმების სიმცირე იყოს...

სამ ექიმს გირჩევ: ზომიერ ჭამას,

კარგ ხასიათს და სულის სიმშვიდეს.

— ვინ მოგასვენებს, — ნაღვლიანად თქვა მინადორამ, — მეორე სპალნა ხომ წამართვეს, ჩუმად გაჰყიდეს, მარა აფრასიონის ცოლს მაინც არ ჩაუვიდა ფეხი, მას მაინც არ მოუწია. — თქვა და სახლის მეოთხე სართულს აჰხედა, სადაც აფრასიონის ოჯახი ეგულებოდა. — მე ერთი მაინც დავითრიე.

— მოდი, დაგეხმარები ამ ქაღალდების აკრეფაზე. — თქვა ფარფაშმა.

— არა, იყოს, საღამომდე ისევ ეყაროს, ყველამ დაინახოს, ყველას დაევისოს თვალები!

დილით ახედე მაღალ მწვერვალებს,

მწუხრის ჟამს დაბლა დახედე წყალსა!

უზრუნველად, ლაღად წარმოთქვა ფარფაშამ.

— ლუკი ივანიჩი სამსახურში დატოვე?

— შინ არ ყოფილა? — იკითხა გოგომ, — სხვათა შორის, სადღაც გამოუძახეს.

— სად, იმ საქმის გამო ხომ არა, თუ იცი? — დაეჭვდა მინადორა.

— არ ვიცი, — ისევ უზრუნველად თქვა გოგომ, — ისე, დაღონებული კი იყო ამ დილით. შემომიყვირა, მომშორდიო! როდის იყო, ასე მეპყრობოდა... ის კი არა... ჰო, ძალზე აღელვებული იყო.

მინადორა მოიდრუბლა.

— ო, მაგ პოლკოვნიკმა გაგვიწყალა გული. მარა არ წავა ჩვენი საქმე მტრების გასახარად. — თქვა მინადორამ და ნაბიჯი გადადგა, — ვაიძე, მურაბას ვადუღებინებ, ამოდი, ნახე ჩემი ტიულბანი. ამოდი, ამოდი! — თქვა და გაიქცა.

ფარფაშა ერთხანს უხალისოდ იჯდა, მერე ქაღალდის ნაგლეჯი აიღო და თითქოს კითხვა დაიწყო: „ტიულბანუს მინადორუს პროკოფიევენუს უნდ ლუკუს ივანიჩუს ნაპარევი ფულით ნაყიდუს. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ხენდე ხოხ!“

— ბოდიში, ბატონი ლუკა აქ ცხოვრობს? — თავს წამოადგა ქალიშვილი.

ფარფაშამ ინსტინქტურად გააგდო ხელიდან ქაღალდის ნაგლეჯი და წამოადგა.

— ლუკი ივანიჩი? დიახ, ამ სახლში. თქვენ ძალიან მეცნობით... ალექსანდრეს ქალიშვილი ხომ არ ბრძანდებით?



- დიახ, მე გახლავართ, მერი.
- მერი, ექიმი. — გაიხსენა ფარფაშამაც.
- რომელ სართულზე ცხოვრობს, ხომ ვერ მეტყვიო?
- როგორ არა, ლუკის მეუღლე ჩემი დეიდაა.
- მათი ვაჟი მინდა ვნახო, ერთი საქმე მაქვს.
- მუსტოსთან?

— დიახ.
 — სწორედ ახლა წავიდა. ამხანაგები ახლავენ. გუშინ ახალი „ვოლ-გა“ გამოიყვანა და, ხომ იცი, სეირნობენ. ხომ არ გადავცე რამე?

- არა, პირადად მინდა ვნახო.
- მაშინ დაიცადეთ, შეიძლება მალე მობრუნდეს.
- არა, მეჩქარება, ავადმყოფი მელოდება. — თქვა და წავიდა.

ფარფაშამ ერთხანს უყურა ეზოდან მიმავალ მერის. მერე სიცილი აიტეხა.

- ხედავ, რა ხდება?
- ვინ იყო? — იკითხა სახლიდან საგანგებოდ გამოსულმა მინადორამ.
- ვინ იქნებოდა? — ქირქილით თქვა ფარფაშამ, — მეოცე საუკუნე იყო, ქალმა კაცს შინ მოაკითხა.
- ვინ იყო, რა უნდოდა? — ისევ იკითხა მინადორამ და სახლის სართულებს აჰხედა.

ყველა სართულიდან იხედებოდნენ.

— გოგო იყო, ბიჭი უნდოდა, — ენად გაიკრიფა ფარფაშა, — შევიშლები მინადორა პროკოფიევნა, ალბათ, ტიულპანის სუნი ეცა.

- ვინაა, — მოთმინება დაეკარგა მინადორას.
- ალექსანდრეს ქალიშვილი იყო მერი, ექიმი. მუსტო მინდაო.
- ჩემი მუსტო?

— ვოტ, ვიდიშ? პირადად მასთან მაქვს საქმეო.
 — იქნებ გაიგო, სარძლოდ ექიმს რომ ვეძებ და მოვიდა, თავისი ფიგურა რომ წარმომიდგინოს! — ირწმუნა მინადორა პროკოფიევნამაც.

- სახუმრო ქალიც არაა, გენერალსკაია დოჩკა!
- პაშლა ანა, ზნაიტე კულა?
- რა თქმა უნდა, კ ჩორტუ! — მიუგო ფარფაშამ, — დიახ, სწორედ თქვენთან აპირებს!

მინადორას ამ ორაზროვანი სიტყვისათვის ყურადღება არ მიუქცევია.

- მაინც როგორია, რანაირი გოგოა? — იკითხა სხვათა შორის.
- ნი რიბა, ნი მისა. — დაუხასიათა ფარფაშამ, — ფეხი აქვს კარგი, კბილებსაც არა უშავს. მაგრამ ჩემისთანა მაინც ვერაა. მე ლამაზი ვარ, ტანი მაქვს გადასარევი.

— მე მგავხარ და იმიტომ. — საიდუმლო ახსნა მინადორამ.

— რომ დავინახე, ხელად მივხვდი, რაზედაც იყო მოსული, მაგრამ რას იზამ, თქვენი რანგის არაა.

— ჯანდაბას მაგისი თავი! — წამოიძახა მინადორამ, — მისამსახურად რე მარტოდ მივატოვე, მურაბა არ გამიფუტოს. ამოდი, გოგო, ფეხი რომ მოიკეცე იმ ეზოში, სახლში შემოდი. — თქვა და გაიქცა.

— ლუკი ივანიჩის ნახვა მინდოდა, შინ წამოვიდა მეგონა, — თავის-თვის თქვა ფარფაშამ, — შენი ტიულპანი სულაც არ მაწუხებს. — მერე გასძახა, — მე წავედი, მინადორა პროკოფიევნა!

ქუჩაში მანქანის ხმა გაისმა და შემოსასვლელთან მანქანაც დადგა.

— აი, მუსტოც მოვიდა. ფეხად კი გაასწრო პოლკოვნიკის ქალიშვილმა, — თქვა ფარფაშამ და მეორე მხარეს გაიხედა, — ვაიმე, დამიცავი, წმინდაო გიორგი, რაღაც ამბავია!

იმ მხრიდან მერი ექიმი მოდიოდა.

— ეს არის, ხომ?

— დიახ, აგერ, „ვოლგის“ საჭეს რომ უზის. — უპასუხა ფარფაშამ. მუსტო მანქანიდან გადმოვიდა.

— ძალიან გთხოვთ მცირე ხნით დაგვეტოვოთ. — გოგოს სთხოვა მერიმ.

ფარფაშას გაელიმა.

— მე თვითონ გაგაცნობდით, მაგრამ...

— არა უშავს. — უთხრა მერიმ.

— აბა, ელაპარაკეთ... გისურვებთ წარმატებას. — უთხრა და წასვლა დააპირა, მაგრამ მერე მიმართულება შეიცვალა და სახლის შესასვლელისაკენ გასწია.

მუსტო ლიღინით შემოვიდა ეზოში. პატარა, მოოქროვილ ჯაჭვს თითზე ატრიალებს, მკერდგაღელილს ყელზედაც ოქროს ჯაჭვი ჰკიდია. უცნობის დანახვაზე ლიღინი შეწყვიტა და ქალიშვილს შეაცქერდა.

— ბოდიში, პატარა საქმე მაქვს თქვენთან. — მორიდებით გაუბედა ქალიშვილმა.

— ჩემთან? — გაიკვირვა მუსტომ.

— მიცნობდეთ, ალექსანდრეს ქალიშვილი გახლავართ.

— სასიამოვნო!

— შეიძლება სასიამოვნო არაა, მაგრამ ძალზე სერიოზული საქმე კი მაქვს.

— გისმენთ.

— გთხოვთ მცირე ხნით დაბრძანდეთ. — უთხრა მერიმ და ძელსკამზე მიუთითა.

მუსტომ ძელსკამიდან ქალღმერთი შრიალით გადმოჰყარა.

— ამ დედაჩემმაც გააწყალა გული, წელიწადში სამჯერ სპალნა უნდა გამოცვალოს. ახლა ტიულპანი უშოვია. — თქვა და ქალიშვილს გათავისუფლებულ ადგილზე მიუთითა, — დაბრძანდით.

— დიდ ბოდიშს გიხდით, რომ გაწუხებთ, — დაიწყო მერიმმა მაგრამ მოვედი თქვენთან, როგორც ტოლი ტოლთან, როგორც ადამიანი ადამიანთან. ვფიქრობ, გამიგებთ.

— რა მოხდა ასეთი? — გაიკვირვა მუსტომ.

— მამათქვენს და მამაჩემს უჩხუბიათ. — მცირე ღუმლის შემდეგ დაიწყო მერიმ. — მამაჩემს უჩივლია. მე არ ვიცი, ამ დავაში ვინ მართალა და ვინ მტყუანი, ამჟამად ეს არ მაინტერესებს. მე ექიმი ვარ და ახლა ჩემთვის მთავარია ადამიანის სიცოცხლე.

— ძალზე საინტერესო აზრია.

— მამათქვენის ჯანმრთელობას მე არ ვიცნობ, — განაგრძო მერიმ, — მაგრამ მამაჩემს... მიკროინფარქტი უკვე ჰქონდა. ეს მან არც კი იცის. ახლა საკმარისია ერთი მისი აღელვება, განერვიულება, რომ კაცი წაიქცეს. ამიტომ ძალიან გთხოვთ სწორად გაიგოთ ჩემი წუხილი.

მუსტო ერთხანს ღუმდა, მერე ქალიშვილს გაკვირვებულმა შემოჰხედა.

— მაინც რა უნდა გავაკეთო?

— შიდით მამათქვენთან, სთხოვეთ, აუხსენით. მამაჩემი ძალზე ავადმყოფია და თუ მას ისევ ააღელვებენ, შეიძლება უბედურება დატრიალდეს.

წამით ისევ ღუმილი ჩამოვარდა.

— ყველაფერი კარგი, მაგრამ თუკი მამათქვენმა უჩივლა, მამაჩემმა პასუხიც აღარ გასცეს?

— დიახ, ამჯერად არ უნდა გასცეს. ამიტომ შეგაწუხებთ. მე ექიმი ვარ და ვიცი, მამაჩემი დაილუპება. და ჩვენ...

— და თქვენ გირჩევენიათ, მამაჩემი დაილუპოს, ხომ? — სიტყვის დამთავრება არ აცალა მუსტომ.

— არა, არავინ არ უნდა დაილუპოს! ბოლოს და ბოლოს, უნდა შევიგნოთ, რომ ზიანის მეტი არაფერი მოაქვს ამ გაწამაწიას. ადამიანებმა უნდა გავუგოთ ერთმანეთს.

— მე მესმის შენი, ექიმო. — თითქოს ნიშნის მოგებით თქვა მუსტომ, — მაგრამ ეს ლექციები მამათქვენისთვის რომ წაგეკითხათ, მაშინ იგი არ უჩივლებდა მამაჩემს და მამაჩემიც აღარ იქნებოდა მისთვის საშიში.

მერიმ შეატყო ცივდებოდა ატმოსფერო. შეატყო ეს კაცი დიდად გულისხმიერი ვერ უნდა ყოფილიყო.

— ესე იგი, — თქვა მერიმ, — თქვენი აზრით, მამაჩემს არ უნდა ეჩივლა? ყველა ბოროტების მიმართ თვალი უნდა დაეხუჭა, არა?
— თუ გული ცუდად ჰქონდა, სხვის საქმეში ცხვირის ჩაყოფას უნდა და მორიდებოდა! — ცოტა არ იყოს, უკმენად თქვა მუსტომ.
— რომელია სხვისი საქმე?! — გაცხარდა ქალიშვილიც, — რას ნიშნავს სხვისი საქმე?!

მერე თითქოს მიხვდა ხმამალალი სიტყვა მომივიდაო და ძალიან რბილად, სინანულით თქვა:

— სამწუხაროა, რომ თქვენ არ გინდათ გამიგოთ.

მუსტო წამოდგა.

— მე დახმარება არ შემიძლია, პატივცემულო ექიმო, ვინც სასიკვდილოა, მოკვდება!

— სამწუხაროდ, ზოგჯერ პირიქითაც ხდება! — კვლავ ხმადაბლა თქვა ექიმმა.

წამოდგა, ხელი სახლის წინ მიმოყრილ ქაღალდებზე მიმოატარა, — აი, თქვენ რომ თავს იწონებთ ამ სპალნებით და ვოლგებით, და ერთ-ზელაც არ დაფიქრდებით, საიდან მოგდით ეს ფულები, აი, ამან არია ყველაფერი!

მუსტო შეაშფოთა ამ სიტყვამ.

— ახლა თქვენ ლაპარაკობთ, როგორც პროკურორი. — თქვა მან.

— შესაძლებელია. — დაეთანხმა მერი, — მაგრამ სანამ პროკურორი გამოჩნდებოდეს, მინდა მომისმინოთ, როგორც ექიმს.

— არავითარი დახმარება არ შემიძლია და არც ვთვლი საჭიროდ! — თქვა მუსტომ და თითზე პატარა მოოქროვილი ჯაჭვი აათამაშა.

— როგორ მეგონა, სწორად გამიგებდით! — სინანულით უთხრა მერიმ და ნაბიჯი გადადგა. მერე ნაბიჯს მოუჩქარა.

ღირექტორის ვაჟი შეფიქრებულად გაჰყურებდა მიმავალ ქალიშვილს.

დუმილი ფარფაშას ირონიულმა კისკისმა დაარღვია.

მუსტომ მოიხედა.

მინადორა და ფარფაშა სახლის შესასვლელთან იდგნენ.

— ეს რა იხილეს ჩემმა თვალებმა! — ისევ ჩაიქირქილა ფარფაშამ, — წყაროს წყალი და მწვანე ბალახი

ეამება და უხდება თვალსა!

— ნუ იტყანები, გოგო! — შეუტია მუსტომ.

— რა ჰქენი, შვილო, კარზე თავისი ფეხით მოგადგა? — იბადრებოდა მინადორა პროკოფიევნაც.

— ერთი, თქვენც მიედ-მოედებით! — ხელი ჩაიქნია მუსტომ.

— რაო, ექიმი ვარო? — იცინოდა მინადორა.



— ჰო, მაგრამ თქვენ პროკურორადაც გამოგადგებათ!

— უყურე, უყურე, როგორ მოაწონა თავი! — მინადორამ ხელი მოჰკიდა, — წამოდი, შვილო, მე შენთან სხვა საქმე მაქვს. შვილი ენაუთქმელად დაემორჩილა.

მაგრამ მერი ეზოში ისევ დაბრუნდა.

ახლა პირდაპირ ფარფაშასთან მოვიდა.

— ბოლიში, ისევ შეგაწუხებთ, მაგრამ ერთი წუთით დეიდათქვენს უნდა სთხოვოთ აუცილებლად!

— გეწყინათ რამე? — თითქოს თანაგრძნობით ჰკითხა გოგომ.

— რა თქმა უნდა.

— დაიკო, დეიდაჩემის რძლობას გაუთხოვრობა გერჩივნოს!

— გათხოვა რა შუაშია? — გაიოცა მერიმ.

— მოეშვით მაგ საქმეს. — ისევ ყალბი თანაგრძნობით თქვა ფარფაშამ.

— როგორ, იცით რისთვის მოვედი?

ფარფაშამ მხრები აიჩიჩა.

— მე თვითონ გასათხოვარი ვარ და ასეთები გამომეპარება?

— ვერ გავიგე!

— თქვენ მართალი ხართ, კარგი საქმე გინდათ გააკეთოთ, მაგრამ თუ არ გამოდის, რას იზამთ?

— მაინც უნდა ვცადო. დეიდათქვენს მოველაპარაკები. ნუთუ ვერც ის გამიგებს?

— ამაო გარჯაა, თორემ რა მენალვლება. — თქვა ფარფაშამ და მინადორას გასძახა, — მინადორა დეიდა, ერთი წუთით გთხოვენ! — მერე ისევ მერის მიუბრუნდა, — ა, აგერ მოდის, თქვენც თქვენი სცადეთ, ნუ მოეშვებით, თავი შეაცოდეთ, უთხარი, ძალაან მიყვარს-თქო.

— შამა ვის არ უყვარს, — უთხრა მერიმ, — მაგრამ მამაჩემი ავადმყოფია, მართალი და პატიოსანი კაცია, ყველაფერი გულთან მიაქვს.

მინადორა გამოჩნდა. სტუმართან, ცოტა არ იყოს, გულცივად მივიდა.

— რას გვიბრძანებთ, ქალიშვილო! — ისე თქვა, თითქოს მის წინ მათხოვარი იდგა და მოწყალებას ელოდა.

— გათხოვთ, მცირე ხნით დაბრძანდეთ. — ძელსკამზე მიუთითა მერიმ.

— მე, რა თქმა უნდა, ზედმეტი ვარ. — წამიერი სიჩუმე დაარღვია ფარფაშამ და ნაბიჯი გადადგა.

— აუცილებლად დამირეკე. — სიტყვა მიაწია მინადორამ და ძელსკამისაკენ მობრუნდა.

მერი უსიტყვოდ ჩამოჯდა მინადორასთან.

— დიდ ბოდიშს გიხდით შეწუხებისათვის, — გაუბედავი ხმით დაიწყო, — მაგრამ საქმე ადამიანის სიცოცხლეს ეხება, მოვედი თქვენთან, როგორც ექიმი, და იმელი მაქვს მომისმენთ და გამიგებთ.

მინალორამ ფეხი ფეხზე გადაიდო და სიგარეტს მოუკიდა.

— ექიმი რომ ხარ, ვიცი, — თქვა წყნარად, მერისთვის არც შეუხედავს, — მაგრამ ადამიანის სიცოცხლე რა შუაშია? ახლა არ გამაგიჟო და არ მითხრა, მიყვარსო!

— ვერ გავიგე! — გაოცებით შეხედა მერიმ.

— განაგრძეთ, განაგრძეთ! — უთხრა მინალორამ, — მე ამპარტავანი არა ვარ, რაკი მოვედი, მოგისმენ.

— არ ვიცი, ვინ მტყუანია და ვინ მართალი, — ახლა უფრო გაბედულად დაიწყო მერიმ, — იქნებ, მამაჩემია დამნაშავე, იქნებ ლუკი ივანიჩია. ახლა ამის გარჩევის დრო არაა.

მინალორა გამოერკვა.

— რაზე მეუბნებით? — ჰკითხა გაკვირვებით.

— რაზედაც შეგაწუხეთ, ქალბატონო.

— ჰო, რა მოხდა?

— მამაჩემს და თქვენს მეუღლეს უჩხუბიათ. პირად საქმეზე არა, ისევ კომბინატის ამბებზე. მამაჩემი გულით ავადმყოფია. მისი აღელვება არ შეიძლება. ამიტომ გთხოვთ იქონიოთ გავლენა ლუკი ივანიჩზე, ამჯერად თავი შეიკავოს და მამაჩემს ნუ ეჩხუბება.

— აჰა! — აღმოხდა მინალორას, — გავიგე, გავიგე. გაგიჭირდათ? — ნიშნის მოგებით ჰკითხა და მერე თვითდაჯერებით დასძინა, — მე ეგ ამბები ვიცი, ქალიშვილო. კომბინატში უჩემოდ არაფერი არ წყდება!

— ეს მთელმა ქალაქმა იცის. — მიუგო მერიმ.

— ჰოდა, როგორ ფიქრობთ, მამათქვენი მართალია?

— აკი მოგახსენეთ, არ ვიცი, ვინ მტყუანია, ვინ მართალი. ახლა სწორედ ამას გთხოვთ, ლუკი ივანიჩმა ორი კვირით შეიკავოს თავი და ნუ გააღიზიანებს მამაჩემს, თუნდაც მართალი თვითონ იყოს. მამაჩემს რალაცეები უჩივლია, ლუკი ივანიჩი კი მოხსნით ემუქრება. რაკი კომბინატში უთქვენოდ არაფერი არ წყდება, ახლა ნუ იზამთ ამას, ნუ გადარევთ მამაჩემს. მე დამავალეთ სამაგიერო.

მინალორა პროკოფიევამ მშვიდად მოისმინა, მერე პირიდან სიგარეტი გამოიღო და მშვიდადვე თქვა:

— ნიკოემ სლუჩაე. არავითარ შემთხვევაში! ვის უჩივლა? ვის გაუბედა, ჩვენ?! ძალიან გყვარებით მამათქვენი, მაგრამ ეს ამბავი ლუკიმ რომ დათმოს, მე თვითონ არ დავუშვებ!

მერი საგონებელში ჩავარდა.

— თქვენ ქალი ბრძანდებით, მინალორა პროკოფიევანა, — შეეხვეწა

ბოლოს, — თქვენ არ გმართებთ ასეთი სისასტიკე. გევედრებით, ნუ მი-
მიკლავთ მამას!

— ახლა გული არ ამიჩვილო! — იყვირა მინადლორამ, — მამაშენი
სამაგალითოდ უნდა დაისაჯოს, მთელმა ქალაქმა უნდა გაიგოს! ი ვსიო!

მერის შეხვიით დაეცა მინადლორას ნათქვამი. კარგა ხანს დუმდა..
გაბრაზებისაგან გაფითრდა. მერე ძალა მოიკრიბა.

— ესე იგი, მამაჩემი უნდა დაისაჯოს, არა?! — ხმაში გაბედულება
და შემართება დაეტყო, — უნდა დაისაჯოს, რადგან თქვენს ოჯახურ
წრეს წინ აღუდგა, არა?!

— დიახ, სასტიკად უნდა დაისაჯოს! — ხველა აუტყდა მინადლორას.
მერი წამოდგა.

— ოჰ, შენს გულს ვენაცვალე, მამაჩემო! შენ ცაში მართალი ყო-
ფილხარ, ამ ხალხის დაზოგვა როგორ შეიძლება! მაშ, ასე, ქალბატონო,
რაკი თქვენთან ადამიანური ლაპარაკი არ ჰქრის, აწი სხვანაირად მოვილა-
პარაკებთ. დაიმახსოვრეთ!

— არ შეგვაშინოთ, თვალეზე ცრემლები არ დაგვადინოთ! —
კბილებში გამოსცრა მინადლორამ, — აგაორთქლებთ ოცდაოთხ საათში!

— ყველა საქმეს განზე გადავდებ და მამაჩემს გვერდით ამოვუდგე-
ბი, — ზიზღნარევი ხმით უპასუხა მერიმ, — თქვენი დაზოგვა არ შეი-
ძლება! ოცდაოთხი საათის რა მოგახსენო, მაგრამ თქვენთვის ორი პა-
რასკევი მომიცია, ორი პარასკევი!

მინადლორა დამცინავი, ირონიული ღიმილით გაჰყურებდა ეზოდან
ჩქარი ნაბიჯით მიმავალ ქალიშვილს.

IV

მერი შინ საქმიანობდა. კარებზე დარეკეს, როცა ოთახის ყვავილებს
წყალს უსხამდა.

კარი გააღო.

ოთახში თეო ნაკაშიძე შემოიჭრა.

— დიდუ, რა ამბავია, დიდუ, რა ამბავია!

გახარებული, აღგზნებული იყო ქალი.

— რა მოხდა? — მიაჩერდა გაკვირვებული მერი.

— მოხდა, მოხდა, ჩემო მერი. შეიცვალა ვითარება, უჭირს, ლუკი
ივანიჩს, უჭირს!

— ოჰ, როგორ შევშინდი! მამაჩემი საავადმყოფოშია და ვიფიქრე...

— ჰო, როგორაა ბატონი ალექსანდრე?

— უკეთესად, ხვალ-ზეგ გამოეწერება.

— ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს. კი ანერვიულეს, გააბრაზეს,
აფფორიაქეს, ანგელოზივით კაცი კინალამ მოჰკლეს, — ხელების სავსა-

ვით დაიწყო თეომ, — მაგრამ... არც თვითონ არიან კარგ დღეში, ჩავარდნენ გაიცადენში. ისე აწრიალებული არიან, ისე შემფოთებული იყურებიან... ოღონდ ტყავი გადაირჩინოს და... ლუკი ივანიჩი ახლა თავის ბინასაც კი დამითმობს.

— რა იყო, რა მოხდა ასეთი?

— არაფერი გაგიგია? — მიაჩერდა თეო, — ზევიდან, ზევიდან! ისეთი შაშხათი წამოვიდა, რევიზია ვარო, კომისია ვარო... მოხსნა და გაუბედურება ვარო!

— არა, ქალბატონო თეო, მაგათ არაფრის არ ეშინიათ, შუბლის კანნი მაგარი აქვთ.

— იცი, რა მოხდა? — შესძახა თეომ, — ტყემალაძის ცოლს, ანტონინა ილარიონოვნას, მინადორა შინ არ მიუღია. ამიტომ არიან შეშინებული, ხომ იცი, აქ კაცის მოხსნას და დანიშვნას ტყემალაძის ცოლი განაგებს. ჰოდა, ახლა შინ არ მიუღია მინადორა, ალბათ, ტყემალაძესაც უჭირს.

— გამოვა რამე? — იკითხა მერიმ.

— რას ჰქვია არ გამოვა! — შესძახა ქალმა, — აბა, უნდა შეგვკამონ? არა, ჩემო კარგო, ამ ქვეყნად კანონია, სამართალია. მაგათ რომ ვილაცების იმედი ჰქონდათ, ისინი თვითონ მოფამფალელებული არიან. აბა!

მერი ტელეფონთან მივიდა. დომენტის დაურეკა. ელაპარაკა. მოუსმინა.

— არა, დომენტი ბიძია, — უთხრა ბოლოს, — სრულებით არ მიხარია. საქმე რომ აქამდე მივიდა, ეს სასიხარულო კი არა, სამწუხაროა. ამიტომ არ მიხარია.

— შვილო, არ გამაგიჟო! — იყვირა თეომ, როცა მერიმ ყურმილი დადო, — რა არ გიხარია?!

— ადრე სად იყვნენ? ასე რატომ მიუშვეს ეს ადამიანები თავიანთ ნებაზე?

— მთავრობა რომ გენდო და თანამდებობაზე დაგნიშნა, შენ უნდა გაგიყდე და ჩერჩეტა ცოლის ჰკუაზე იარო? — შეუტია თეომ, — ჰოი, მამაზეციერო! დედა, დედა, ვისთან გვქონია საქმე. იცი, რა ჰქნეს?

— ჰო, რა იყო?

— შინ მომაკითხეს. ჩამოსულ კომისიას უთხარიო, განაწილების დროს ბინა კი მომცეს, მარა მე თვითონ უარი ვთქვიო. ასე უთხარიო და, დიდუ, ეს რა მითხრეს... ორიათას მანეთიან ყურსაკიდებს გაჩუქებთო!

— მერე, რა ჰქენი? — გაიღიმა მერიმ.

— ჩემს სიმართლეს ყურსაკიდებში გავცვლიდი? ამ ქვეყნად მაინც ათასი გადარეულია და ოციათასმანეთიანი ყურსაკიდები რომ დავიკიდო, ვინმემ რომ დამაჭრას ეს დამღრალი ყურები, ხომ ახი იქნება? რა გაცი-

ნებს? — მიუბრუნდა მერის, რომელიც სიცილის შეკავებას ცდილობდა და კინალამ დაიხრჩო, — დაგაჭრიან ყურებს და ჩაიწყობენ ჯიბეში. ახლა, ბეჭედი? მინადორა პროკოფიევას ექვსიათასმანეთიანი ბეჭედი შექმნიდა ხომ არ გაგიყებულა ეს ხალხი, მერი ექიმო?

— კი, ქალბატონო თეო, — თავის ქნევით დაუდასტურა მერიმ, — მუქთად შეძენილი ქონება აგიყებს ადამიანს. ერთმა პოეტმა თქვა: ღმერთმა ჩვენს ბავშვებს სამი რამ აწოროსო: ომი, სიღარიბე და სიმდიდრეო! დიახ, ვეთანხმები, უზომოდ გამდიდრებული კაცი მგელია.

— ოი, მგელმა გამოართვა ფიჟვა-მაგარა! — იყვირა თეომ, — კი ეცვალათ ფერი. ვითომ არ იმჩნევენ, ნაძალადევად იღიმებიან, მაგრამ შიშით ცურცუმელი გასდით. აბაყურებიანად გადამალეს ყველაფერი. დედა, რა კაია, დედა, რა კაია!

კარებთან ზარის ხმა გაისმა.

მერიმ კარი გააღო და... გოცდა.

— შეიძლება? — მოკრძალებით იკითხა მინადორა პროკოფიევანამ.

მერი ერთხანს უხერხულად იდგა.

— გაგიკვირდათ ჩემი სტუმრობა, ხომ? — იკითხა მინადორამ.

— შემობრძანდით. — უთხრა ქალიშვილმა და უკან დაიხია, სტუმარს გზა დაუთმო.

მინადორა საქმიანი ნაბიჯით შემოვიდა, მაგრამ ახლა თვითონაც გოცდა... არ მოელოდა, აქ თუ თეო ნაკაშიძე დახვდებოდა.

თავის მხრივ თეომაც გაიკვირვა მინადორას სტუმრობა.

— აა, ქალბატონი თეო, — წარმოთქვა მინადორამ, რომ შექმნილი უხერხულობა გადაელახა, — თქვენც აქ ბრძანდებით?

— როდის აქეთ გავქალბატონდი?

მინადორას არ მოეწონა თეოს პასუხი და მოიღრუბლა.

— ისე, მარტოდ კი მინდოდა მერისთან ლაპარაკი! — თქვა მერე.

— მე ხელს არ შეგიშლი, ახლავე წავალ, — თქვა თეომ, — აგერ, ერთი წუთით შემოვედი, ბატონი ალექსანდრეს ამბავი ვიკითხე.

— ალექსანდრე კარგად ბრძანდება, ახლა მეც იქიდან მოვდივარ.

— საიდანო? — იკითხა მერიმ.

— ბატონი ალექსანდრე საავადმყოფოში ვინახულე. — მზრუნველი კილოთი თქვა მინადორამ.

მერიმ და თეომ ერთმანეთს გადახედეს.

— წავედი, მერი ექიმო, სხვა დროს გამოვივლი. — თეო კარისაკენ გაემართა.

მერიმ სტუმარი გააცილა.

— მე შენთან მაქვს საქმე, შვილო, — ალერსიანი სიტყვა სცადა

მინდორამ და თეოს მისამართით თქვა: — ვერ ვიტან მაგ დელაკაცს
დანახვას, ხომ არ უთქვამს რაიმე?



— რა უნდა ეთქვა?

მინდორა მოხერხებულად ჩამოჯდა სკამზე.

— ჩემო მერი, — ისევე ალერსიანად დაიწყო, — იცი, რატომ მო-
ვედი? არ შეიძლება არ იცოდე, არ შეიძლება გასათხოვარ ქალს ტანმა
არ უაზროს რაღაცა.

— ჰო, რაღაცას კი ვგრძნობ. — გაელიმა მერის.

— ხომ კი? — სიტყვას ჩააფრინდა მინდორა, — შენ იცოცხლე,
როგორი კარგი ხარ! ცხოვრებაში, შვილო, ბევრი რამ ხდება. ადამიანები
ჯერ იჩხუბებენ, მერე მეგობრულად არიან, ბოლოს მოყვრები და კე-
თილები ხდებიან. ეს ცხოვრება ასეა და შენც ნურაფერი გაგიკვირდება.

— საკვირველის მეტი რა ხდება ამ ქვეყნად. — ცივად თქვა მერიმ.

— მართალია, მე, — დაწყებული განაგრძო მინდორამ, — აღვლევ-
ბის ნიადაგზე, დავუშვი შეცდომა, თქვენი თხოვნა არ შევისმინე, ვერ
დაგეხმარეთ, მაგრამ...

— პირიქით, — შეაწყვეტინა მერიმ, — შეცდომა მე დავუშვი, რო-
ცა თქვენ დახმარება გთხოვეთ.

— არა, მე შევცდი! — მტკიცე ხმით თქვა მინდორამ, — მაგრამ
ახლა მომეცით საშუალება, ის შეცდომა გამოვასწორო და საქმე სასიკე-
თოდ დავაგვირგვინო.

— არ არის საჭირო! — სიტყვა მოუჭრა ქალიშვილმა.

— მოიცა, ნუ მიბრაზდები! — წყრომით თქვა მინდორამ, — ახლა
შენი დახმარება ჩვენ გვჭირდება.

— როგორ, ავად გახდა ვინმე? — ირონიულად იკითხა მერიმ.

— დიახ, ყველანი ავად ვართ. — არ დაფარა მინდორამ, — შენ
გვჭირდები, ჩემო მერი, შენ!

— ვერ გავიგე.

— ჩვენს ოჯახს სჭირდები, — აზრი განამტკიცა მინდორამ, — ვიცი,
გაგიკვირდება, მაგრამ, იცოდე, საქმე უცებ გადაწყვეტილი სჯობია. ჩვენი
ოჯახი დღეს ერთ-ერთი ბედნიერი ოჯახია ამ ქალაქში. ოღონდ ერთად-
ერთი ვაჟი უცოლოდ გვიბერდება. ჩვენს ბედნიერებას მხოლოდ ერთი
ვინმე აკლია. და ეს ერთი ვინმე შენა ხარ, ჩემო მერი.

ქალიშვილი ხმას არ იღებს, გაოგნებულია.

— არა, არ იფიქრო, თითქოს ეს უცბად გადაწყვიტეთ, — შეტევაზე
გადადის მინდორა, — დიდი ხანია ამაზე ვფიქრობთ, ოღონდ ვერ გავი-
ბედეთ. ახლა კი დაყოვნება აღარ შეიძლება. კარგი ოჯახიშვილი ხარ, კა-
რგი ადამიანი, კარგი ექიმი. ჩემს ნახევარ ქონებას დღესვე შენს სახელზე
გავაფორმებ!

— რას ამბობთ?! — ინსტინქტურად წამოიძახა მერიმ.

— იცი, რაშია საქმე? — დაუყვავა, სულში ჩაუძვრა მინაღორა, — ახლა ჩემი მუსტო ევროპის გარშემო მოგზაურობაში მიდის და... მინდა, გულთ მინდა, ბარემ ცოლი შეირთოს და ისე წავიდეს... ცოლთან ერთად იმოგზაუროს. არა, დოკუმენტის გაფორმებას აწივ მოვახერხებთ, ყველაფერი რიგზე იქნება, ოღონდ ერთი შენი თანხმობა იყოს...

მერი დაიბნა. ერთხანს ხმა ვერ გაიღო. მერე, თითქოს ბურუსიდან გამოვიდაო, მინაღორას მიაჩერდა.

— მართალი გითხრა... არა, არ მიკვირს. თქვენგან ამასაც მოველოდი.

— ოჰ, ღმერთმა გაგახარა! — იყვირა მინაღორამ, — საქმე, შვილო, უცებ გადაწყვეტილი სჯობს... მეც ასე მოვიქეცი. ქალიშვილობაში სულ სხვა ვინმე მიყვარდა, მაგრამ როცა საქმემ მოიტანა, ლუკი ივანიჩი ვამჯობინე. რატომ, თუ იცი? იმიტომ, რომ ლუკის კარგი თანამდებობა ჰქონდა და მანქანაც ჰყავდა. მაშინ მანქანა იშვიათი იყო, მაგრამ ლუკი ივანიჩს ჰყავდა. ამიტომ უცებ გადავწყვიტე, გავყევი და რა წავაგე?

ქალიშვილმა ღრმად ამოისუნთქა.

დაწყებული საუბარი რომ არ გაეციებინა და მერიზე მეტი გავლენა მოეხდინა, მინაღორამ ხელჩანთიდან ყელსაბამი ამოიღო.

— აი, ყელსაბამი... ნახე, რა ნახელავია! ექვსი ათასი მანეთი ღირს, სამოცი ათასი მანეთი... ყველაფერი შენი იქნება. კარგად დაფიქრდი, შვილო, ბედნიერება ადამიანს კარზე ერთხელ მიადგება.

უთხრა და ყელსაბამი გაუწოდა, კი არ გაუწოდა, პირდაპირ ხელებთან მიუტანა.

მერი დაფიქრდა.

— კი, მაგრამ, მე ვღირვარ ამდენად? — ჰკითხა მოულოდნელად.

— ვაიმე! — აღტაცებით შეჰყვირა მინაღორამ, — შენ ას ფუთ ოქროდ ღირხარ. ეს ყელსაბამიც შენთვის დამილოცნია.

მინაღორამ გადაწყვიტა ბარემ შემოებნია ყელსაბამი ქალიშვილისათვის და მოლაპარაკებაც ამით დაემთავრებინა.

— მოითმინეთ, მინაღორა პროკოფიევნა! — მოულოდნელად გაისმა მერის ხმა და მინაღორას წინ მარჯვენა ხელი აღმართა, — ეს ყელსაბამი კი არა, ანკესია, მაგრამ მე ოქროს თევზი არა ვარ, რომ ზედ წამოვეგო.

მინაღორა გაშეშდა.

— არ მესმის! — თქვა გამშრალმა.

— ეს ბადე იმას შემოაყარეთ, — დინჯად, აუჩქარებლად უთხრა მერიმ, — ვისაც ჰგონია, რომ ბედნიერება ოქრო-ვერცხლით იზომება.

— მაგას რატომ მეუბნებით? — თქვა გაწბილებულმა.

— რაც ჩემი შრომით მოპოვებული არაა, მე ის სიმდიდრე ვერ გამაბედნიერებს! მე ვიცი, თქვენ რაც გაწუხებთ.

— როგორ? ნუთუ ჩემი არ გჯერათ? — მიაშტერდა მინალორა.

— მე ყველაფერი ვიცი. — თქვა მერიმ და გაიღიმა, — ახლა თქვენ გიჭირთ, ძალიან გიჭირთ. და გინდათ გამოგვიყენოთ იმ რევიზორებთან, კომისიასთან საქმის ჩასაწყობად. ხომ ასეა?

მინალორას არ გაჰკვირვებია მერისგან ასეთი დასკვნის გამოტანა.

— ასეც რომ იყოს, რა არის ამაში ცუდი? — იკითხა ცბიერად, — თქვენ რად გჭირდებათ, რაში გამოგადგებათ ლუკი ივანიჩის გაფუჭება? ახლა უფრო ადამიანური არ იქნება, მივიდეს მამათქვენი და ლუკის დაეხმაროს? ჩვენ თუ შევცდით, თქვენ ნულარ შეცდებით! ჰქენით სიკეთე და ღმერთიც დაინახავს!

მერი გაცხარდა.

— ღმერთი მარტო ჩვენს სიკეთეს დაინახავს? იქნებ თქვენს სიკეთესაც დაინახავდა, მამაჩემი რომ სასიკვდილოდ გაიმეტეთ!

სიჩუმე ჩამოვარდა.

— ახლა მასეთი ლაპარაკი საქმეს არ შეველის. — ცივად თქვა მინალორამ, — ბატონ ალექსანდრეს ახლა დიდი დახმარება შეუძლია, მას დიდი ავტორიტეტი აქვს. ჰქენით სიკეთე, ჩემო მერი!

მერი ჩაფიქრდა. ერთი წუთით კიდევ შეეცოდა ეს ქალი.

— რატომ მოიწყვეთ საქმე ამგვარად! — ჰკითხა მერე.

— კიდევ გეუბნები, ახლა მაგაზე ლაპარაკის დრო არაა. მივიდეს ალექსანდრე რევიზორებთან, საქმე შეატრიალოს და... შენ ჩვენი რძლობა თუ არ გინდა, ნუ გინდა. ჩვენ შეგვიძლია სხვა მხრივ გადაგინჯოთ სამაგიერო.

— მერე, როგორ ფიქრობ, რასაც შენ ამბობ, მაგას მამაჩემი იზამს?

— შენ თუ შეეხვეწები, იზამს. შენ მოგისმენს.

ქალიშვილი ისევ ჩაფიქრდა.

მინალორამ არც აცივა, არც აცხელა და... ქალიშვილს პირდაპირ ფეხებში ჩაუვარდა.

— აიღე ეს ყელსაბამი... დანარჩენი მერე იყოს!

— რას სჩადიხართ?! — იყვირა მერიმ.

— აიღეთ, აიღეთ! — იმეორებს მინალორა პროკოფიევსა.

— ადექით, ქალბატონო, სირცხვილია!

— ხომ არ წუნობთ? — ჰკითხა მინალორამ, — სხვა შემდეგ იყოს!

— ახლა... რატომ მაყენებთ, შეურაცხყოფას! — ჩურჩულნარევი ხმით ჰკითხა ქალიშვილმა, და მერე უბრძანა: — ადექით!

მინალორა წამოდგა.

— ქალბატონო, რატომ მაყენებთ შეურაცხყოფას!

— შეურაცხყოფას მე გაყენებ?

ტელეფონმა დარეკა.



მერი მივიდა. ყურმილი აიღო.

— გისმენთ, დიახ, აქ არის. ვინ ბრძანდებით?

ერთხანს ჩაფიქრებული იდგა ქალიშვილი, მერე მინადორას შეხედდა.

— ელაპარაკეთ, თქვენი ვაჟია.

მინადორა დაეჭვებული მივიდა, ყურმილი გამოართვა.

— გისმენ. ჰო, რა იყო, შვილო? ტყემალაძის ცოლმა დამირეკა?

როდის? მოვიდესო? ოჰ, შენ გაიხარე, შვილო. კარგი, კარგი.

მერე წელში გაიმართა და ნომრები აკრიფა.

— ანტონინა ილარიონოვნას სთხოვეთ, თუ შეიძლება. უთხარით, მინადორა პროკოფიევნა გაწუხებთ-თქვა.

წამით სიჩუმე ჩამოვარდა.

— გისმენთ, გისმენთ. — უცებ გასძახა მინადორამ, — დიახ, მე ვარ, ანტონინა ილარიონოვნა. მეძებდით? ჰო, კი. რას ბრძანებთ? კომისიის ხელმძღვანელი? როდის იყო თქვენთან? წუხელ? მერე? ოჰ, თქვენ იცოცხლეთ, ქალბატონო! კი, თქვენი ჭირიმე. მე ახლავე გეახლებით. მოვდივარ.

მინადორამ ყურმილი დადო, მერის მედიდურად გადახედა.

— თქვენ ძალიან გამითამამდით, მაგრამ მოვიცილი თქვენთვისაც!

— ჩუმად, — შეეხვეწა მერი, — ამ სახლში სხვებიც ცხოვრობენ!

— ვის უნდისხარ! — უფრო გაცხარდა სტუმარი, — არც ის იფიქროთ, თითქოს მართლა გვიჭირდეს რამე. ლუკი ივანიჩს ადგილიდან ვერაფერს დაძრავს, კაციშვილი თვალში ვერ ჩახედავს. ასე იქნება ეს, თუ ვარ მინადორა პროკოფიევნა! გესმის თუ არა?

— კი, ბატონო, ნუ დაძრავს, ნუ ჩახედავს!

— კომისიანო, რევიზიანო, — არ ცხრება მინადორა, — არაფერი შეგეშალოთ, არ შეგჭამოთ ტარაკანამ! რევიზორი მოვა და წავა, მაგრამ ჩვენ... ჩვენ აქ დავრჩებით. ასე იცოდეთ ეს!

— კი ბატონო, გვეცოდინება.

— ლუკი ივანიჩს დიდი დიდი ერთი საყვედური შეხვდეს, მეტი არაფერი. ლუკი ივანიჩი კიდევ კაცი იქნება, მაგრამ თქვენ? თქვენ რა გეშველებათ, მათხოვრები რომ ხართ!

მერი უსიტყვოდ მივიდა კართან, ფრთხილად გააღო და მინადორას მიუბრუნდა.



— აბა, ერთი მიბრძანდით აქედან! ჩქარა, გაწმინდეთ ჰაერი!

მინადორა კარისკენ ნელა დაიძრა, მერე შემობრუნდა, მერე გააღრმავა

თხილა:

— რაც გითხარი, კარგად დაიმახსოვრეთ!

— ორი პარასკევი მომიცია თქვენთვის, — წყნარად, ცივად უთხრა მერიმ, — ორი პარასკევი, არც მეტი და არც ნაკლები!

— მოგივლით მე თქვენს! — დამუქრა მინადორა და გარეთ უხმოდ გაეპარდა.

(გაგრძელება იქნება)



ჩ ე მ ი ა !

ეს გაზაფხულის ციალი,
ფერადი ცისარტყელები,
ვარდები თვალეზბრიალა
და მოჩითული ველები;
თბილი წვიმების თქარუნი
და აღზევება ზვირთების;
უმანკო ბავშვის ღიმილით
ტუჩებგახსნილი კვირტები;
ნიავის ჩუმი ღიღინი
და ტკბილი „ძილინებისა“,
ნაზი შრიალი ფოთლების
და მძლავრი სუნთქვა მთებისა;
ფერთა და სხივთა თამაში,

უცხო ღელვა და წყურვილი,
ყველაზე ლამაზ სიმღერით,
ყველაზე დიდი სურვილით
თვალმოკუყუუნე იების
ჩურჩული ფრთათეთრ ქარებთან—
ჩემია
სხვისი რომ იყოს,
აგრე რად გამახარებდა?
ჩემია
ჩემში ღვივიან,
ჩემში იწვიან სანთლებად...
აბა, რად ამაღელვებდა
მე მათი შემონათება?!

მ ვ ვ ა ნ ე ა ღ მ ა რ თ ი

ამოვიარე მწვანე აღმართი,
ქარს ვუტოლებდი მტკიცე ნაბიჯებს,
ალვებმა თეთრი ხელი აღმართეს,
დაქალებივით მიმიპატიუეს.

ტკბილად გალობდა ჩიტი — მზეწვია,
მოლზე ბრწყინავდნენ მწიფე მარწყვები...
მომდეგდა, მაგრამ ვერ დამეწია
შიში დაცემის და დამარცხების.

* * *

ჩამომეცალე, ნისლის კარავო,
შენამდე მომყვა სული მოღლილი.
მიხმობენ გზები გაუკვალავი
და ბილიკები გადათოვლილი.
მიხმობენ მთების ფართო გულები
და მწვერვალები მზეზე ნალესი;
ჩემი ქათქათა ნაკადულები
და წყაროები უსპეტაკესი,
ჩემი აპრილის დღე და ჩიტები,
დუღილი ზღვის
და პალმის მარაო...
გზა დამიცალე, ნუ მეჭიდები,
ნისლის კარავო!

* * *

რა ვქნა, გამოცნობას თუკი აღარ მაცლის
სული ფრთასწრაფი და სული საოცარი:
ღამე იხედება ახლა ფანჯარაში,
თუ კარს მომდგომია ლანდი შაოსანი.
ქარი აკაკუნებს ასე გამალებით,
თუ ეს უწყინარი შენი თითებია?
...მთვარემ ჩამოშალა ოქროს დალალები,
შორით ვარსკვლავები ისევ ინთებიან.
აი, შაოსანი ლანდი დაბარბაცდა...
ეს შენი ხმაა
თუ ჩანჩქერი კისკისებს?
რა ვქნა, გამოცნობას თუკი აღარ მაცლის
სული საოცარი,
სული მოგიზგიზე.

* * *

ყველა ზღაპრის დასაწყისი ერთმანეთს ჰგავს,
ყველა ზღაპრის დასასრული ასევე,
ზოგი უფრო ვრცელია და ზოგიც მცირე
და დანაკლისს ერთმანეთით ავსებენ.

ყველა ადამს ერთნაირი საწყისი აქვს,
ერთმანეთს ჰგავს მათი ბოლო ასევე,
ზოგი რჩება, ზოგი მიდის, ზოგი მოდის
და სამყაროს ერთმანეთით ავსებენ.

შინაარსი ყველას გზაზე ასეთია —
ვინ მოსტაცებს წუთისოფელს არჩევანს?
და ამგვარად რთულდება და ძნელი ხდება
სინამდვილის ზღაპრისაგან გარჩევა.

გენიევა ქუთათაქა

სულში ჰყვავიან ვარდები

სკვერებში ჰყვავდნენ ტურთა ვარდები... კვირტებში ტკარცალებდნენ წითლად და ვარდისფრად, თეთრად და ლალისფრად... ილიმებოდნენ ისინი.

ილიმებოდნენ მორცხვად... ნაზი რიალით ეკონებოდნენ ერთმანეთს გულში... კვირტებგაუშლელებს ქალწულივით საამოდ შეფაკლოდათ მწყაზარი სახე და მოლოდინით ამობურცოდათ გასაშლელად გამზადებული მკერდი...

ჰყვავდნენ ვარდები... წითელი და თეთრი ვარდები... ქუჩებში, ეზოებში, სკვერებში, ბაღებში და ყველგან... ჰყვავდნენ და სიცილით ავსებდნენ მიწას და ზეცას, სულსა და გულს.

მომწონდა ვარდები, მომწონდა უსაზღვროდ... სილამაზე და სიყვარული ლამაზ ვარდებად მესახებოდა და მიყვარდა. შენ კი ყურადღებას არ აქცევდი აისის ფერებს. და არც ეშხიან თვალებს აპყრობდი მეწამულ ვარდებს.

მიკვირდა.

...და იცი? შენ უფრო ლამაზ ვარდებს ხედავდი სასიცოცხლოდ, სასიყვარულოდ გადაშლილს სულსა და გულში.

დაზამთრდა.

ალარ იცინოდნენ მიწა და ზეცა ვარდების პირით, და იცი რა?

— მე უფრო ლამაზი ვარდები დავინახე... ისინი ჰყვავდნენ სულში.

უცნობ ჯარისკაცს

არ გახუნდება შენი მაზარა,
 შენ გერგო ცრემლი ჩვენი დედების,
 შენს ნათელ ხსოვნას, აწ და მარადეამს,
 წმინდად ინახავს კრემლის კედელი.
 დღეს შენს სამარეს ვარდები შვენის,
 მარადიული ცეცხლით გიზგიზებს,
 არ დაიშურე სიცოცხლე შენი,
 რომ ჩვენ მხნედ გვევლო ნათელ მიზნისკენ.
 შენ ომის გზები მკერდით ჩარაზე,
 მამულს აშორე მტერი ამკლები,
 ისევ გვარგუნე ცის სილამაზე,
 კვლავ დაარწიე ქვეყნად აკვნები.
 არ გახუნდება შენი მაზარა,
 შენ გერგო ცრემლი ჩვენი დედების,
 შენს ნათელ ხსოვნას, აწ და მარადეამს,
 წმინდად ინახავს კრემლის კედელი.

ზ ღ ვ ა

შენ ხარ უძირო, როგორც ოცნება,
 ცასავით ღრმა და მთასავით დიდი.
 ხშირად აღმართავ ტალღებს ბორცვებად
 კაცის გულივით მღელვარეც, მშვიდიც.

შენს ცისფერ მკერდზე მიცურავს გემი
და ის შორეულს ნაპირებს იპყრობს.
ასე მგონია, რომ შენც ჩვენსავეით
ოცნებობ, დელავ, დუმხარ და ფიქრობ.

მ დ ი ნ ა რ ე ბ ბ ა შ ა

ნიავის სუნთქვა აშრიალებს ჩინარებს ნელა,
 მზე კოლხიდური ღიმილივით იღვრება ციდან,
 და სადაც ცისფრად დაბინდულა ნაპირი ჭალის,
 მოსჩანს მდინარე, ამორძალის ცრემლივით წმინდა.
 იცით? მურვან-ყრუს მსოფლიო რომ მოუჯეგია
 და კიდევ რაღაც სასწაული ქვეყნად ენდომა,
 ამ ტურფა მიწას შეხებია ღორული დინგით
 და მდინარესთან გაუშლია თავის მხედრობა, —
 ადიდებულა, აფოფრილა ჩემი მდინარე,
 მიწა შეუძრავს მრისხანებით ზვირთებს ღელვიანს
 და რა მოუსრავს აბაშეთის მთელი მხედრობა,
 მისთვის აბაშა — შმაგი წყალი დაურქმევიათ.
 მაინც ნუ იტყვით მეგობრებო, რომ ის შმაგია,
 მომხდურთ წინაშე სიმშვიდე თუ დაუკარგია.
 ნიავის სუნთქვა აშრიალებს ჩინარებს ნელა,
 მზე კოლხიდური ღიმილივით იღვრება ციდან
 და სადაც ცისფრად დაბინდულა ნაპირი ჭალის,
 მოსჩანს მდინარე —
 ამორძალის ცრემლივით წმინდა.

* * *

მე ყველაფერი მსურს მქონდეს მეტი,
 მოვითხოვ, ვიბრძვი,
 ვყვირი და ვჩემობ,
 და რასაც ბრძოლით მანიჭებს ღმერთი,
 მე მინდა შენთვის —
 სამშობლოვ ჩემო!

შახსოვს მშვილდივით იმარჯვე არფა,
ბროლის თითებით მოზიდე ლარი,
ამომირჩიე, ზვარაკად ალბათ,
და მზერა მტყორცნე როგორც ისარი.
გავფითრდი, ველარ დავძარი ენა,
თუმცა სათქმელი მქონდა რამდენი!
ჩვენი ცხოვრება ეს არის სცენა,
ყველაფერს ჩუმად იტანს პარტერი.

ღევან სანიკიძე

წიგნი რძისა არსობისა

პროლოგი რომანისა — „ლაზური წიგნები“

„ნამდვილს მოგიტხოვებთ, გარნა ისეთს—
ზღაპარით მოვეჩვენებათ“

ოვიდიუსი

„ღმერთო, შეკარ, შებეჭდე პირი მგლისა,
ენა მიე ნაბღისა, კბილი მიე სანთლისა“

შელოცვის წიგნიდან

„ეს ქალი სიცოცხლეში არ ყოფილა ისე ლამაზი, როგორც ახლაა, —
მკვდარი“.

გაიფიქრა კაცმა, როცა საფლავის გათხრა დაამთავრა. სატევარი ახ-
ლად ამოყრილ მიწაზე მიაგდო და მთვარის სხივებივით დასანთლული
ქალის სახეს დააცქერდა.

„კი, ძალიან ლამაზი ყოფილა“.

მის თავით ჩაჯდა. დიდხანს ორივე უძრავად იყვნენ, მკვდარიც
და ცოცხალიც.

ირგვლივ ჰყინავდა. ყინვისაგან პირი შეჰკვროდა თოვლიან მიწას და
ვარსკვლავებით მოჩითულ ზეცას. ყინვა ჰყინავდა ყველაფერს და ყველას,
მკვდრებსაც და ცოცხლებსაც.

„მკვდრებსაც?!“

კაცს გაახსენდა, ქალის მკვდარ სახეს წამით მოშორდა და მიმოიხედა.
იქვე, საფლავიდან ცოტა მოშორებით, ორი ადამიანი იწვა, გაუძძრევ-

ლად, მშვიდად, უდრტვიწველად. ერთი თავდაღმა ეგდო, სხეულზე ხე-
ლებმიტმასნილი, ბლაგვად თავწამახული ნამორის მსგავსი; ხოლო მეორე
გულადმა ესვენა და ხელმკლავგაშლილი თოვლზე დაგდებულ მოდრეცილ
შავ ჯვარს ჰგავდა.

„იმათ მომიკლეს მე... მე მოვკალ ისინი...“

მგლის შორეულმა ყმუილმა გამოაფხიზლა.

კაცს თითქოს გაუხარდა, რომ ამ უსასრულო, სიკვდილითმოსილ სი-
მყუდროვეში თავისი ხმით ქვეყნიერებას სიცოცხლე ამცნო რაღაც
სულდგმულმა.

ქალი კვლავ ფრთხილად დაასვენა და სწრაფად წამოდგა. წუხილითა
და ყინვით დამზრალი სახე მოისრისა. დაწვისთავებზე ოდნავ თბილი სის-
ველე იგრძნო. კვლავ ჩაიჩოქა და ქალის სახეზე მიმოფანტული, მთვარის
სხივებით აციმციმებული წვეთები შენიშნა.

„არა, ყველაფერი არ იყინება, ცრემლები არ იყინება“.

თვალეზი ხელისგულებით შეიმშრალა, ფუთა აიღო და ცხედრის
გულზე ფრთხილად, ძალიან ფრთხილად დასდო.

დიდხანს დასცქეროდა, გაშტერებული, შეგრძნებული, განლიგებული.
ისევ მგლის ყმუილმა გამოაფხიზლა უსასრულო არყოფნისაგან.

„კარგი, გეყოფათ, დამშვიდობეთ ერთიმეორეს, თქვე უბედურნო!“.

უცებ ბავშვის ტირილი გაიბნა ჰაერში. წამსვე მეორე ხმაც შეერთო
პირველს.

ფუთა შეირხა ქალის მკერდზე.

კაცს მოეჩვენა, რომ ქალმა ამოისუნთქა. მუხლებზე დაეცა, მიცვა-
ლებულს დააცქერდა, პირი პირს დაადო და ერთჯერ კიდევ დარწმუნდა:
ის ვინც მისი მეუღლე იყო, იგი ახლა აქ აღარაა: მისგან მხოლოდ ეს
უსულო და უტყვი ცხედარი დარჩენილა. ის ვინც ამ ბავშვების დედა
იყო, დედა! — ის სამუდამოდ გაშორდა თავის ორ ძეს, ძუძუთა ტყუ-
პებს.

ბავშვების ტირილმა გამოარკვია. ბავშვებს შიოდათ, ძუძუ შიოდათ.
ხოლო დედას მკვდარი ჰქონდა ძუძუ. დაშრეტილი იყო ღვთაებრივი ქა-
ლური წყარო არსობისა.

ბავშვები სტიროდნენ.

მათი ხმა სიცოცხლის ძახილად ისმოდა სიკვდილის საუფლოში მყო-
ფი კაცისათვის.

ახალწამობი სიცოცხლე მძაფრად, ჰირვეულად უტევედა ჟამნათევ
სიკვდილს.

კაცი ამოქმედდა. ფუთა ქალის მკერდიდან აიღო და სამარიდან მო-
შორებით დასდო. მერე ქალს მივარდა, გაყინული შუბლი და ისარნაქ-

რავი მკერდი დაუკოცნა და შავად პირღარენილ სამარეში ჩაასვენა. მიწა მუქით აიღო და დააცქერდა.

მიწა შავი იყო და მზრალი.

„ეს ქალიც ამნაირი იქნება, როგორც ეს მიწა დამიწებულა და იქნება ეს იქნება და მეტი არაფერი“.

ფქრთან ერთად სამარეში ჩაჰყარა თითებით გაფხვიერებული მიწა. კარგა ხანს აყარა მიწას მიწა.

მიწის გარდა ვერც ვერაფერს ჰხედავდა და ვერც ვერაფერს გრძობდა.

გარნა კვლავ სიცოცხლის შემოტევამ გამოაფხიზლა. ბავშვები ითხოვდნენ ძუძუს, ანუ სიცოცხლის გაგრძელებას. ითხოვდნენ კი არა, მოითხოვდნენ მძაფრი, ჰირვეული, შემტევი ხმით.

კაცმა ფუთა აიტაცა. ერთჯერ კიდევ მოჰხედა ადამიანის სიგრძეზე გაწვართულ მკვდრისზედა მიწას და გაიქცა.

მირბის და ატირებულ ბავშვებს მიაქროლებს. ირგვლივ ღამეა ყინვიანი. არის ცაც, დედამიწაც, ყველგან ყველაფერია. ალბათ, სადღაც არიან ადამიანებიც, მათ შორის ქალები, რომელთაც აქვთ რძით სავსე ძუძუნე; გარნა ყველაფერი ეს არის სადღაც, თავისთვის. მაშ, ქვეყანაზე სუფევს სრული უნაყოფობა, რაკი ძუძუზე ატირებული ბავშვისათვის არ არსებობს ძუძუ, ღვთაებრივი წყარო რძისა არსობისა.

ბავშვის ტირილი არის მოუთმენელი და გაუძლისი. ანდა იგი იმდენადაა მოსათმენი, რამდენადაც არსებობენ საშუალებანი მისი დაწყნარებისა და გულის მობრუნებისა. გარნა რა გაუძლებს ძუძუზე დამშეული ბავშვის გოდებას, როცა არსაიდან არავითარი იმედი აღარა ჩანს ტირილის წყაროს დახშობისა.

გულგარღვეული და სულდაფლეთილი მირბის კაცი. ამ უკაცრიელ და უპატრონო ქვეყანაზე მარტო მისი შვილების გამყივანი და გამყინავი ტირილი ისმის.

დიდი ტრიამელი ველი გაირბინა. რომელიღაც ბექობს გადაადგა. თვალსამზირიდან თვალსამზირამდე ყოველივე თვალთ მოსალტა, გარნა სულიერის და კაცთავანის არარა ჩანდა ყინვით შეკრულ ცას და ხმელს შორის.

გულგრილი დედამიწა ცას შესცქერის მისგანვე ჩამოფრქვეული თოვლით. ეს არის და ეს.

ქვემოთკენ დიდი, თვალჩაუღწეველი ხევი ეშვება, ლილოჭრილოდ შეთეთრებული, ტანმორჩილი ხეებითა და ბუჩქებით. იქედანვე თითქოს რაღაც შორეული ზათქნარევი ბუბუნი მისწვდა ბავშვთა წიოკობით ყურდახშულ კაცს. შესაძლოა, ეს ხმა ზღვიდან მოდიოდეს. არა, ალბათ მო-

ეჩვენა. ან რა ბედენაა, ზღვაა თუ ხმელი. თუნდაც ზღვა რის მაქნისა.
ზღვა კი არა, რძე, რძე!!! ზღვის რძე, თუ რძის ზღვა!!!

ბექობიდან ხევში გადაეშვა.

ოო, როგორ სტირიან, ჩხავიან, წიოკობენ, ჰგოდებენ! როგორ უძლებენ, როგორ უძლებენ! რა საგანგებო, განუზომელ და შეუცნობელ ძალღონეს აძლევს დედაბუნება უსუსურ არსს პირველარსობის წყაროსათვის გასაბრძოლებლად!

ხოლო ყოველი პირველარსობის განსხეულება არის რძე!
რძე! რძე! რძე!

ფიქრი გაუწყდა. თოვლით წალესილ ღრანტეში ჩაუცდა ფეხი. დაეცა. ბავშვებით დატვირთული ხელები მიწაზე დაუცვივდა. წამსვე აიტაცა, მუხლი გაიმართა და თავქვე სრბოლა განაგრძო.

ცრემლით გაბინდულ თვალებში ლიბრშერეული თეთრი სამყაროს მდინარება მისრიალებს. თეთრი, რძესავით თეთრი. თუმცა რძე თეთრი არ არის. რძეს თავისი, საკუთარი ფერი აქვს, რძისფერი!

და ასეთი რძისფერი რძე მისრიალებს ახლა კაცის ცრემლნაყურ თვალებში.

რძე! რძე! რძე!

თურმე, როცა სადმე უდაბნოში მზის მცხუნვარებით გათანგულ კაცს წყურვილისგან გონება უბნელდება, მას წყლის მდინარება მოელანდება. იგი ხედავს მთის ანკარა წყაროს (ანკარა გველსაც ჰქვია) და ესმის მისი რაკრაკი; მისცურავს აზვირთებულ წყლის ტალღებში და ესმის ამ ტალღათა ზათქი და ზრიალი. სწორედ მაშინ კაცი უნდა მიხვდეს, რომ ჰკუიდან შეცდა. გარნა ვერ მიხვდება, რადგან ჰკუიდან შემცდარმა ხომ არ იცის, რომ ჰკუიდან შეცდა. იგი მაშინ მხოლოდ წყალს ხედავს. თუმცა ვერ გრძნობს, მაინც ხედავს. ხოლო ხედვა და ვერშეგრძნება უკვე ყელს-ჩამდგარ სიკვდილსა ნიშნავს.

ალბათ ახლაც ასე ხდება. კაცის თვალებში რძისფერი სამყარო მისრიალებს; რძეს ხედავს, რძის წყაროებს, რძის მდინარეებს, რძის ზღვებს. ხედავს და ვერ შეიგრძნობს.

მაშასადამე, ჰკუიდან შეცდა. უეჭველია, მალე კიდევაც მოკვდება. მერე რა, მოკვდეს. ასეც აჯობებს, ვიდრე რძის წყურვილით შემოლილი შვილების სიკვდილს დაესწროს.

მგლის ყმუილმა წამით გამოარკვია.

ისევ ჩაუცდა ფეხი ღრანტეში. ცალი ხელით ფუთა იმარჯვა, ცალი-თაც ჩირგვს მოეჭიდა და დგვაფედან ამოიმართა. ჩირგვის ძირიდან რაღაც მუშტის სისხო შავი არსი ამოხტა, თოვლზე გასრიალდა და გაუჩინარდა.

ლმერთები ადამიანებზე უფრო უღმერთონი არიან. ახლა რძე ვირ-
თავის ბასარსლებსაც აქვთ, ადამიანის შვილებს კი...

ისევ იყმუვლა მგელმა.

რძე! ქალის რძე იმითაც სხვანაირია, მასზე არ ამბობენ „სვამენო“;
ქალის რძეს ჭამენ.

დაღმართი ჩაათავა. ჩაივავა.

მგელმაც ჩაათავა დაღმართი.

ზღვის ხმა გარკვევით ისმოდა, გარნა თვითონ ზღვა არ ჩანდა. ნურც
გამოჩნდება. რად სჭირდება! ის ხომ წყალია, მხოლოდ წყალი!

ისევ ცას ახედა.

ზეცას მირიადი ანთებული ძუძუ ჰკიდია, უთვალავნი, უბრწყინვა-
ლესნი, გარნა მაინც ურძეონი, უნაყოფონი.

მთვარესაც უნაყოფო ძუძუებით გაევსო უბე.

მგელი არც ცას უცქერდა, არც მთვარეს, არც ზღვას, არც დედამიწას.

მგლის ყმუილი სულ ახლოს გაისმა. ნადირის ხმა ზურგიდან მოდიო-
და.

აქამდე კაცს მგლის მხოლოდ ხმა ესმოდა, ცარიელი ბგერად-ჟღერა-
დი ხმა და მეტი არაფერი. მხოლოდ ახლა გაახსენდა, რომ იგი სისხლ-
მოწყურებული ნადირის ხმაც იყო, სისხლზე ჟინდაუმცხრალი მგლის ხმა!
ისე ვითარცა რძეზე ჟინდაუმცხრალ ბავშვთა ხმა!

სისხლი და რძე! რძე და სისხლი! ესე არს არსობა არსთა ყოველთა,
მათ შორის კაცთა და მგელთა...

მგელმა გეშით უკვე ისისხლა კაცის ნაკვალევი.

კაცმა სირბილს უმატა. ღმერთმა ხომ კაცი დაასუსტა და ნადირი გა-
ამძლავრა. სადღაა ის ღრო, მგელი რომ ველური კაცის მუხლსა და კბილს
ნატრობდა.

კაცის მუხლი და გული მეტს ვეღარ შესძლებენ.

ზურგიდან კი უკვე გაისმა ნადირის დაოთხებულ ფერხთა ხმა.

კაცი ინსტინქტით წამიერ შესდგა და მოიხედა.

მგელმაც მგლური სრბოლა ერთბაშად ჩააქრო და თვითონაც შესდგა.

კაცი და მგელი ერთმანეთს უცქერდნენ.

მათ შორის კაცისთვის ოცდაათი ნაბიჯი იყო, ხოლო მგლისთვის სამი
ნახტომი.

წელზე ხელი მოისვა. გაახსენდა, რომ სატევარი იქ დარჩა, სადაც
სამარე გათხარა.

მგელმა გაბმულად შეჰყმუვლა.

„ალბათ, ხროვას უხმობს“.

ფიქრის დასრულებაც ვერ მოასწრო, რომ უცებ, თითქოს მიწიდან
ამოსხლეტილიყვნენ, მგლის გვერდით ორი ლეკვი გაჩნდა.

მგლის ლეკვები ადამიანზე ნასისხლ-ნაგეშარ დედას წამოსწოდნენ. წკმუტუნებდნენ, დედას ფეხებში ებლანდებოდნენ, ძუძუსამულ მუკე-
ლზე ელაციებოდნენ.

„რძე უნდათ. იმათაც უნდათ, როგორც ამათ“.

შვილებს თვალი ჩაავლო და ახლა შეამჩნია, რომ ისინი სღუმდნენ. გულმა ავად დარეკა. ფუთა მძლავრად შეანჯღრია. ბავშვები ისევ აბორგდნენ და ატირდნენ მომთხოვნი, შემტევი, ყინიანი ხმით.

კაცმა შენიშნა, ბავშვთა შეტირებაზე მგელი შეხტა. შეხტა და გაირინდა. მერე რაღაც ყრუ ჩაღმუვლებით გაიწვართა, გაიზმორა და წელში მოსხლეტით ისევ ზე აღიმართა.

ლეკვები, თითქოს ბავშვთა ტირილით წაქეზებულნი, უფრო მომთხოვნი, შემტევი, ყინიანი წკავწკავით ეტევებოდნენ დედას.

„იმათაც რძე სწყურიათ, მგელთაგან ლეკვებს; ვითარცა ამათ, კაცთაგან ლეკვებს. რძე, რძე არსობისა!“

საშინელი, თავდაუხსნელი სიზმარ-ცხადით დანისლული გონება ერთბაშად გაანათა ელვასავით მოვარდნილმა აზრმა:

„რძე იმას აქვს, ძუ მგელს, დედა მგელს, დედას!!!“

და მგელმა შეხედა, როგორ მოწყდა კაცი ადგილიდან და მისკენ, მგლისკენ გაექანა.

მგელი კაცისაგან ასეთ რამეს არ მოელოდა. ამიტომ იგი თითქოს შეჩქვიფდა, შეკრთა კიდევ. მაგრამ ეს იყო მხოლოდ წამით და წამსვე კამარა შეჰკრა.

კაცი და მგელი ერთუერთს ეძგერნენ.

ეძგერნენ, ჩაეხლართნენ. ერთ სხეულად — მგელკაცად თუ კაცმგელად იქცნენ.

მგელი მგლურად ტანმოქნილი და ხელდაუბრუნებელია, კაცი კაცებრ თავგანწირული და უშიშარი, როგორც უხორცო. მთავარი მაინც მგლის თავკისერი და ეშვებია, ხალიბური ფოლადივით უმტკიცესი და უბასრესი. მგლის დამარცხება სწორედ მისი ხანჯალ-ეშვების უვნებელქმნაა. ამიტომ უპირველესად მგლის ყელი უნდა იგდო ხელთ, ისე ვითარცა იგი ცდილობს შენს ყელს ეძგეროს.

ადამიანმა მოასწრო ნადირის ყელში ჩაფრენა. მგელმა ლოშქრიანი ღმუილ-ღრჭენით დაიქნია თავკისერი; ლამის კიდევაც დასხლტომოდა ცივ სალტეებად ქცეულ თითებს კაცისას. გარნა კაცს გაყინულ თოვლზე დაყრილ ბავშვთა წიოკობამ მგელზე უარესი ცოფიანობა ჩაუსახლა მთელს სხეულში. ხოლო ცოფიანობა ძალმოსილებაც ყოფილა. არაქათგაცილი თითებს ნადირის ყელის გაშვება აღარ შეეძლოთ; მათ ეს თვისება თითქო დაჰკარგოდათ. ისინი ან უნდა დამსხვრეულიყვნენ, ან მგელი დაეხრჩოთ.

მაგრამ არა, მგელი არ უნდა დაიხრჩოს. ის ხომ დედაა. მას ხომ რძე აქვს, რძე. დედა... რძე... დედა... ის არ უნდა მოიკლას; მხოლოდ უნდა მოშინაურდეს, როგორც ოდესღაც ადამიანთა წინაპარმა მოიშინაურა წინაპარმა ნაპარი თუნდაც ამ მგლისა. მოიშინაურა და ძალღად აქცია, ერთგულ, თვინიერ ძალღად.

„მე ახლა ის ვარ, ადამიანთა ველური წინაპარი. ხოლო ეს მგელი, დედა-მგელი, ჩემგან თვინიერქმნილი ცხოველი, რძით სავსე ცხოველი“.

და კაცმა იგრძნო, როგორ დაუფლითა მგელმა ტორებით მკერდზე სამოსი, თუ სხეული.

არა, არ სტკივა. შეიძლება გაფატრა, გარნა ახლა ტკივილს ვერ იგრძნობს. არც სცალია ტკივილისათვის. ოღონდ კი მგელმა სისხლის გეშად აღება ვერ მოასწროს.

მკერდით მგლის მკერდს კიდევ უფრო მკვრივად მიეკრა. იგრძნო ნაჯახის პირივით მჭრელი გულისფიცარი ნადირისა და მისი ძუძუასხმული მუცელი, ძუძუასხმული!.. უფრო გახელდა. მარჯვენა ფეხი ფერხთა შორის ჩახლართა და მთელის სხეულით გადააწვა.

მგელკაცი ძირს დაეცა და დაგორდა.

გორავდა უცნაური არსი, — ხან მგელკაცი, ხან კაცმგელი.

ბავშვთა წიოკობა და ლეკვთა წკაცწკავი ერთნაირი ძალით აქეზებდნენ და ახელებდნენ კაცსა და ნადირს, თავიანთ მშობელთ, თავიანთ გმირებს.

გორავდნენ ერთურთს ჩაკირულნი და ჩაციებულნი; ლოშქრს და ოხშივარს შიგ სახე-პირში აფრქვევდნენ ერთურთს.

კაცმა იგრძნო, რომ მოპირდაპირის ფოლადურ სხეულში სადღაც რომელიღაც ძაფი შეთრთოლდა. შეთრთოლდა და კიდევაც გაწყდა. ისიც იგრძნო. რაც ნადირის სიმძლავრეს მცირეთად მოაკლდა, იგი მის უკიდურესად დაძაბულ ძალღონეს ახალ დიდ ცხოველ ნაკადად შეუერთდა... მას უნდა გაემარჯვნა. რძისკენ ლტოლვას უნდა დაემარცხებინა სისხლისკენ ლტოლვა, რადგან რძის წყურვილი სისხლის წყურვილზე უფრო მძლავრია.

კაცმა მთელი სხეული კამარად შეჰკრა და წამით ზემოქცეული მგელი ისევ ქვეშ მოიგდო.

ბავშვები სულ ახლოს იყვნენ. ლეკვებიც იქვე იდგნენ, ბავშვთა თავით ჩაცუცქულნი და გარინდებულნი. კაცი მათკენ გაცურდა. მგელი თან გაითრია. ნადირიც თითქოს დამორჩილებოდა ადამიანის ნებასურვილს.

კაცმა ფუთას ფეხი მოსდო და მოითრია. მგლის მუცელთან მიაცურა.

ბალღებს მჯილთა და ფერხთა ქნევით უკვე სავსებით დაეხსნათ თავი

არტახებისგან. არც ძუძუზე მინიშნება და ზედმიდნა დასჭირვებიათ. თვითონვე იგრძნეს სურნელ-მხურვალე რძისა არსობისა...



საოცარი საზეიმო სიმშვიდე იდგა ქვეყანაზე:

ნადირი ადამიანთა ნაშიერს ძუძუს აკმევდა.

მგელი აღარ იყო მგელი, არამედ — დედა! დედა! ცხოველ-მაცხოვარი არსთა ყოველთა!

აღარ ისმოდა აღარც ბავშვთა წიაქი, აღარც ლეკვთა წყნავილი. პირველნი რძით ნეტარებას მისცემოდნენ, მეორენი გარინდებულნი ჩამსხდარიყვნენ და გაშტერებით უცქერდნენ მათი კუთვნილი რძით ამ უცხო-უცნაურ არსებათა ნადიმობას.

მხოლოდ სამყაროს დემიურგს თუ შეეძლო ეთქვა, რას გრძნობდა ამ დროს დედამგელი. კაცი კი მხოლოდ იმას ხედავდა, როგორ მშვიდად იწვა მგელი და მის შვილებს, კაცის შვილებს ძუძუს აწოვებდა.

იწვა ძუ ნადირი და ადამიანის მამრ-ნაშიერთ რძეს აკმევდა.

კაცს არ შეეძლო თუნდ მიახლოებით განესაზღვრა რამდენ ხანს გრძელდებოდა ეს უცნაური, იდილიური რძით ნადიმობა. ისე კი საერთოდ უნდა ყოფილიყო საცნაური, რომ ასეთი დაუჯერებელი სინამდვილის ხანგრძლივად განამდვილება არ შეეძლო დაეშვა არც ღმერთს, არც კაცს, არც მგელს.

და შეცრად ისკუბა იმ ლეკვმა, რომელშიც მგლური შემართება განსაკუთრებით ძლიერი იყო. ისკუბა და ზედ დააცხრა ლეკვთა მეტოქე ძუძუმწოვარებს.

იმ წამსვე ბავშვის წივილმა შეარყია გარემო.

კაცმა უნებურ უშვა ხელი მგლის თავისერს, მოიერიშე ლეკვს დასწვდა, გასტყორცნა, უმაღვე მტირალი ბავშვი აიტაცა და სახით მთვარის მქრქალ სხივებს მიუშვირა.

„შვილო!“ ხმადახშულად აღმოხდა მას, როცა ჩვილის შუბლზე სისხლი შენიშნა.

მარცხენა ხელით ბავშვი ჩაკეცილ მუხლებში ჩაიწვინა, მარჯვენათი მკერდის სიფართეზე პერანგი მოიგლიჯა და ბავშვს შუბლი ათრთოლებული თითებით ძლივს შეუკრა.

ზურგიდან მგლის ამოქშენა და კვლავ ბავშვის შეკივლება მოესმა და კაცს მაშინ მოაგონდა მეორე შვილი, მგლის ძუძუსთან დატოვებული. ელვასავით მობრუნდა და გაქვავდა.

მგელი ფეხზე იდგა. მის დინგთან, ჰაერში, ჩვილი ხელ-ფეხს ასავსავებდა. იგი პერანგით კბილთ ეპყრა მგელს.

კაცმა დაიღრიალა.

არასოდეს მგელს, ბუნების წიაღში უთვალავ ხმათა გაწაფულ მცო-

დნეს ასეთი შემზარავი ხმა არა სმენია. იგი თავზარდაცემული მოსხლტა და გაფრინდა.

კაცმაც კამარა შეჰკრა, გარნა რაღაც მწველმა და მოელვარებდა რბინა თავიდან ფერხთა ფრჩხილებამდე.

მოსხლეთით დაეცა, ძუძუდამწვარი, ისე როგორც მკვდარი შვილის დედას დაეწვება ორივე ძუძუ.

დიდხანს იწვა გაყინულ თოვლზე გონწართმეული კაცი, გულალმა, ხელ-მკლავ გაშლილი, დიდი შავი ჯვრის მსგავსად განტოტილი.

არ მოკვდა.

ისევ ბავშვის ტირილმა არ დაანება სიკვდილი.

* * *

„...რომის დამაარსებლების, რომულუსისა და რემუსის დაბადების შესახებ არსებობს უაღრესად ზღაპრული თქმულება. ვითომ ალბას მეფეს ტარხეტიუსს, მეტისმეტად სასტიკსა და მანკიერ კაცს, საოცარი მოჩვენება ჰქონდა: მის სახლში შუა კერაღან ფალუსი-საწულო ამოიძარათებოდა და მთელი დღეები არა ქრებოდა. ეტრურელებმა მისანმა ტარხეტიუსს ურჩია როგორმე მამაკაცის საწულოსათვის ახალგაზრდა ქალწულის მოჩვენებაც დაეწყვილებინა, რაც თავის მხრივ წარმოშობდა ძეს, სიმამაცით უებროსა და ძალგულოვნებით სახელგანსმენილ გმირს. ტარხეტიუსმა თავის ერთ-ერთ ასულს უბრძანა გამიჯნურებოდა კერიიდან აღმოცენებულ საწულოს. მაგრამ ახალგაზრდა ქალმა არ იკისრა შეეწირა ქალწულობა უკაცო კაცობისათვის და თავის მაგივრად საწულოსთან შეგზავნა მსახური გოგო. შეერთება შესდგა. ტარხეტიუსმა შეიტყო, რომ მოატყუეს და განრისხებულმა ქალიშვილი მსახურთან ერთად საპყრობილეში ჩააგდო. გადაწყვეტილი ჰქონდა ორივეს სიკვდილით დასჯა, მაგრამ ძილში ქალღმერთი ვესტა გამოეცხადა და ასეთ სასტიკ განჩინებაზე ხელი ააღებინა. მაშინ ტარხეტიუსმა ცბიერებას მიმართა: დატუსაღებულ გოგონებს საქსოვი დგამი შეუგზავნა, საქორწინო სამოსთა მოქსოვა უბრძანა და გათავისუფლებაც და ქორწინების უფლებაც იმ დროისათვის გადაუდო, როცა ისინი ქსოვას მოათავებდნენ. გოგონები მთელი დღეების მანძილზე შეუსვენებლივ ქსოვდნენ, მაგრამ საღამოს მათ მოქსოვილს ტარხეტიუსისგან შეჩენილი სხვა ქალები არღვევდნენ და დილით ყველაფერი ისევ თავიდან დასაწყები ხდებოდა. ასე გრძელდებოდა რამდენიმე თვე. ამასობაში მსახურმა გოგომ მოიმშობიარა კიდეც. მას ტყუბი ვაჟები შეეძინა. უარესად გაბოროტებულმა მეფემ ახალშობილნი მოსაკლავად გადასცა რომელიღაც ერთგულ მსახურს, სახელად ტერატიუსს. თა-

ვის მხრივ ტერატიუსმა შეიბრაღა ტყუპი ყრმანი და მდინარე ტიბრის პირზე ღვთის ანაბარად დასტოვა ისინი. უპატრონოდ დაყრილ და დამშეულ ბავშვთა ტირილი გაიგონა ძუ მგელმა, რომელიც მოვარდა და თავისი ძუძუთი გააძლო ჩვილნი ძენი ადამიანისა. შემდეგ მგლის ძუძუნაჭამი ბავშვები იპოვნა ვილაც მწყემსმა. მწყემსის ოჯახში გაიზარდნენ ძმები, დიდი გმირები, რომლებმაც ბოროტი ტარხეტიუსიც მოჰკლეს და ახალი ქალაქიც დააარსეს იმ ადგილზე, სადაც მათ დედამგელმა ძუძუ აჭამა. ასე გადმოგვცემს ამ ამბავს ვინმე პრიმატიონი თავის „იტალიის ისტორიაში“.

„ყველაზე უფრო მართალი და მრავალი მოწმობით გამაგრებული თქმულება რომულუსისა და რემუსის შესახებ პირველად გადმოგვცა დიოკლე პეპარატოსმა. იგივე თითქმის უცვლელად გაიმეორა ფაბიუს პიქტორმა. ისინი გადმოგვცემენ შემდეგს: ალბაში თანმიმდევრობით მეფობდნენ ტროადან მოსული დიდი გმირის ენეასის შთამომავალნი; მათ შორის იყვნენ ძმები — ნუმიტორი და ამულიუსი, რომელთაც მამისგან დატოვებული ქონება ასე გაიყვეს: მეფობა ნუმიტორს, ხოლო დიდძალი სიმდიდრე ამულიუსს. ამულიუსმა ოქრო-ვერცხლის წყალობით ნუმიტორს მალე ტახტ-გვირგვინიც წაართვა. თან იმის შიშით, რომ ტახტიდან ჩამოგდებულ ძმას მოსარჩლე-მემკვიდრე არ გასჩენოდა, ამულიუსმა ნუმიტორის ერთადერთი ასული, სახელად რეა-სილვია, ქალღმერთ ვესტას ქურუმ ქალად აღკვეცა და ამრიგად იგი სამუდამო სიქალწულის მსხვერპლად გასწირა. მაგრამ მალე გამოირკვა: რეა-სილვია ფეხმძიმედ ყოფილა. დაიბადნენ ტყუპი ძმები, არაჩვეულებრივი სიდიდისა და სილამაზის ყრმანი. შეშფოთებულმა ამულიუსმა იხმო მსახური, ბავშვები გადასცა და მდინარეში მათი გადაყრა უბრძანა. მსახურმა ბავშვები ვარცლში ჩასვა და ტიბრისკენ წაიყვანა, მაგრამ რაკი მდინარე აღიდებულ იყო, ახლოს მისვლა ვერ გაბედა, ვარცლი ნაპირზე დატოვა და თვითონ სახლში დაბრუნდა. ტიბრი კიდევ მეტად აღიდდა, ნაპირები გადმოლახა და ვარცლი თავისი უცნაური ტვირთით გაიტაცა. ბოლოს და ბოლოს ჩვილი ძმები წყალმა ერთ მყუდრო ადგილზე გარეყა. ამ ადგილს ძველად უწოდებდნენ „გერმანუსს“, რაც „ძმებს“ ნიშნავს. სად იყო და სად არა, ბავშვების ტირილი გაიგონა ძუ მგელმა, რომელიც სასწრაფოდ მოიჭრა და ძუძუზე დამშეულ ადამიანის შვილთ მაშინვე ძუძუ აჭამა. ასე განმეორდა რამდენჯერმე. ბოლოს ეს შენიშნა მწყემსმა ფაუსტულუსმა, ბავშვები თავისთან წაიყვანა და გაზარდა. სწორედ ესენი არიან მგლის ძუძუნაჭამი რომულუსი და რემუსი, ქალაქი რომის დამაარსებელნი“.

ქუჯი ლასკარმა კითხვა შეწყვიტა, წიგნი დახურა, დაღლილი თვალები მოისრისა და ჩაფიქრდა.

„რა შეიძლება მართალი იყოს ამ ლეგენდიდან? განა ის, რომ მგელმა ადამიანთ ნაშიერს ძუძუ აჭამა?“

ბუხარში ცეცხლის ნაკვეთი გასკდა. მუგუზალმა გაიტკაცუნა. შუალამის სიწყნარით ავსებულ სახლში მამლის პირველი ყვირილი შემოიჭრა. მაშინვე მეორე ოთახიდან ბავშვის ტირილი გაისმა.

„აიეტმა გაიღვიძა“, ღიმილით წაიჩურჩულა ქუჯიმ.

ბავშვი ტიროდა მძაფრი, ჭირვეული, შემტვევი ხმით.

„პირველი ტირილი რძის მოთხოვნით იწყება. ტირილი და რძე ერთად იბადებიან“.

ბავშვი ტიროდა.

„რძე დააწყნარებს. დედა გაიღვიძებს და დააწყნარებს; დედის რძე, ქალის რძე, ქალის...“

ქუჯი სავსებით წაიღეს ფიქრებმა.

„ვინ, ან რა ძალამ დაადგინა სამყაროში ყველაფერი ეს?.. ქალი და დედად გარდასახულ ქალის რძე, უპირველესი მარსებელი არსთა ყოველთა!.. ვანა, შეიძლება ადამიანის ძისთვის ქალის რძე მგლის რძემ შესცვალოს?.. ყოველი მდედრი არსის ბუნება მარტო სისხლში როდი ვლინდება, არამედ რძეშიც... ალბათ ვლინდება... იქნებ...“

ბავშვის ტირილმა ქუჯი ისევ გამოარკვია ფიქრებისაგან. გაუკვირდა, ნუთუ დედა ვერ გააღვიძა ძუძუმთოწყურებული ბავშვის ტირილმა?

ადგა და სანთობოს კარი შეაღო.

სარეცელზე ბლონდედ ჩანდა სანთლის უმწეო შუქით გარემოსილი, ბალიშზე მისვენებული ახალგაზრდა ქალი. პირისახე და ყელკისერი ხშირი თმის ვარჯებში ჰქონდა ჩაფლული. თვალები დახუჭვოდა. მარჯვენა მკერდი ყრმა აიეტს დაეპყრო: იგი ძუძუს ჰამდა. მაშასადამე, რძით მონადიმე ჩვილი არ ტიროდა.

„მომჩვენებია“, გაივლო ქუჯიმ და კარი ფრთხილად გამოიხურა. ბუხართან მივიდა, საკარცხულზე ჩამოჯდა და ისევ წიგნს გადასწვდა.

მაგრამ ისევ შეეჭრა ვაჟკაცის გულს ბავშვის გოდება. ქუჯი წამოიჭრა, ისევ სანთობოსკენ წარსდგა ფეხი, მერე ერთბაშად შემობრუნდა და აივანზე გამავალ ლანდებს მიაპყრო მზერა.

ბავშვის ხმა ეზოდან მოდიოდა.

ქუჯი კარებს ეცა და აივანზე გავარდა.

მთვარით, თოვლითა და გაცრეცილი წყვდიადით მოცულ ეზოში იდგა კაცი, ბრგე, ახოვანი. მკერდზე ბალლი მიეკრა ორივე ხელით. სწორედ ის ბავშვი ჰგოდებდა მოქანცული, საწყალობელი ხმით.

„ვინა ხარ?“ შესძახა ქუჯიმ და უცბად გაახსენდა, რომ ამ შუალამისას, ომიანობის ჟამს, უიარაღოდ გამოსულა გარეთ. ის იყო, ფიცხლავ საჭურვლისთვის უნდა შებრუნებულიყო, რომ მოსულმა დაასწრო:

„მე ამის მამა ვარ!“

რაღაცნაირი მავედრებელი და თან ზეიმური ხმით შეჰლაღა და ბავშვი უზარმაზარი, გრძელი ხელებით მალა აღმართა.

ქუჯიმ ერთბაშად ირწმუნა, ძუძუთა ბავშვი კაცს სამტროდ ვერ მოუძღვებოდა. უმანკობას მხოლოდ სასიკეთოდ შეეძლო მოსვლა. იგი უცქერდა ეზოში ასვეტილ კაცს და გრძნობდა საკუთარ უმწეობას ადამიანური ვედრებისა და ბავშვის ტირილის წინაშე. ხედავდა და თან ისეთი შთაბეჭდილება ექმნებოდა, თითქოს ბავშვი მამას ქვემოდან ზემოთ კი არ აღმართა, პირიქით, ზემოდან, ღმერთებით დასახლებული ზეციდან, ქვემოთ, მიწიერთა სამყაროში ეზიდებოდა.

„შემოდინ!“ შესძახა ქუჯიმ.

კაცი აივანზე სწრაფი ნაბიჯით ამოვიდა და სალამიც არ გახსენებია, მაშინვე სთქვა მთრთოლვარე ხმით:

„მე აქ ბავშვების ტირილმა მომიყვანა“.

„ბავშვების?!“

„ჰო, ჩემი შვილის და... კიდევ იმ ბავშვის, რომელიც ამ სახლში ტიროდა. ის ახლა აღარ ტირის იმიტომ, რომ...“

და ხმა ჩაუწყდა.

ქუჯიმ მაშინვე შეაგება სიტყვა:

„ჰო, მესმის. შენ ჩემი შვილის ტირილი გაიგონე და მიხვდი, რომ აქვე რძეც იქნებოდა ძუძუმოწყურებული ბავშვისათვის“.

„ჰო, ჰო!“ საღდაც გულის სიღრმიდან აღტაცებული ღმუილი აღმოხდა მოსულს.

ქუჯიმ სტუმარს უხმოდ მოხვია ხელი აცახცახებულ მხრებზე და სახლში შეიყვანა.

გულთბილი მასპინძლის თბილ სახლში უმძიმესი წუხილით გაკერპებული და გაყინული კაცი ერთბაშად გაღღვა და მოიშალა. საღდაცაა, მუხლმოკვეთილი უნდა დაეცეს, გარნა ქუჯი მყისვე მივარდა, სტუმარი ბუნრის პირს საკარცხულზე დასვა და ბავშვი ჩამოართვა.

„ოჰო, ესეც ბიჭი ყოფილა!“ სიცილით თქვა ქუჯიმ.

„ესეც და კიდევ ის... ვინც აღარა მყავს“, ტვინი დაუწვა მოგონებამ მოსულ კაცს. მერე უცებ მიხვდა და მხურვალედ იკითხა:

„აჰა, მაშ ამ სახლშიც ვაყი გყავთ?“


„ჰო. ახლა მითხარი, რა ჰქვია შენს ვაჟკაცს?“

მოსულს ელდა ეცა. მე ხომ არ ვიციო რომელი გადარჩა? ცეცხლს დაშტერდა, სახე სულ მოედრიცა.

„რა ჰქვია-მეთქი, შენს შვილს?“ ისევ ჩაჰკითხა გაოცებულმა ქუჯიმ.

დაცალეებული ტყუპის მამამ იფიქრა, რაკი არ ვიცი რომელი დამელუპა და რომელი გადარჩაო, სულერთიაო და ქუჯის უპასუხა:

„ფარტაზი“.



„ფარტაზი? ძალიან კარგი. აბა, ფარტაზ, წავიდეთ აიეტთან!“

ქუჩიმი ტირილით დაოსებულნი ჩვილი მალა აიტაცა, სანთობოს კარი გააღო და გაუჩინარდა.

კაცი მარტო დარჩა. იგი სუნთქვაშეკრული უსმენდა შვილის ტირილს.

„ცოტა კიდევ, შვილო, ცოტაც და... ღმერთო, დაწყნარდა, გადაჩნა. აღარ ტირის. იგი ჭამს ძუძუს, რძეს! რძეს ქალისას და არა მგლისას!“

კაცი სულ სხვანაირი გახდა. ეგონა თვითონ აღარ იყო „თვითონ“. იქცა სულ სხვად, როგორც იგი არასოდეს არ ყოფილა. არ სჯეროდა, თუ ასეთი უბედური უცებ ასეთ ნეტარებას იგრძნობდა: მისმა შვილმა ხომ მოიპოვა რძე არსობისა!

„შეუძლებელია, რომ ესეც და ისიც, აქ რაც ხდება და იქ რაც მოხდა, ორივე ერთნაირად სიზმარი იყოს, ან ორივე სიცხადე. მაშ, რომელია სიზმარი და რომელი ცხადი? ან ეს კაცი, რომელიც ახლა ბუხართან ზის, ნეტარი სიწყნარით ტკბება და შვილის სიმამლრით ჰხარობს, როგორ შეიძლება იყოს იგივე კაცი, რომელიც ამავე ღამით უდიდეს უბედურებათა და სიმძიმითა მტვირთველი გახდა? მაშ, რომელია ამ კაცთაგან, სხვადასხვა კაცთაგან, ნამდვილი და მოჩვენებითი, ცხადლივი და სიზმარეული?“

რალაც ნეტარმა ნისლმა მოიცივა კაცის გონება. აღუზღუხებულ ნაკვეთალ-ნაკვერცხლებზე დაშტერებული თვალეები სულ დაებლანდა. თითქოს უსაზღვრო ცეცხლის ოკეანეს ხედავდა. ხედავდა კი არა, თვითონაც მასში მიტურავდა და საოცარი ის იყო, მოვარვარე ცეცხლთა ზვირთებში ცურვა-სრბოლისას მისი სხეული რალაც უსაზღვრო ტკბობით ივსებოდა და იტვირთებოდა.

უცებ მან რძისა და ცეცხლის ფერებით შეზავებულ ნისლში თვალი მოჰკრა მგელს, რომელსაც პირთ ეპყრა ძუძუთა ბავშვი. ხმა არ ისმოდა არც მგლის, არც ბავშვის. მხოლოდ ჩანდა სრბოლა მგლისა და ხელ-ფერხთა სავსავი ყრმისა. მერე კაციც გამოჩნდა, დიდი შავი ჯვარივით თოვლზე დაგდებული.

ბუხართან მჯდარ კაცს შეებრაღა ის უბედური კაცი, მგელმა რომ შვილი წარსტაცა და ახლა გონწართმეული მიწაზე დაცემულა...

...ქუჩი შეაძრწუნა სტუმრის სახის ხილვამ.

„ასეთ სახეს დიდი ჰიპოკრატე მკვდრის სახედ განსაზღვრავდა“, გაუელვა, გარნა უმაღლვე სიკვდილზე ფიქრი მოიშორა, როცა ბურანში წასულს საფეთქელზე ამძლავრებული ძარღვის ცემა შენიშნა.

„ძმობილო!“ ჩასძახა და მხარი მსუბუქად შეუჩნია.

სტუმარმა უცებ რალაც ამოიზმუნა და ფეხზე წამოვარდა. ერთ ხანს ქუჩის გაოგნებული შესცქეროდა. თითქოს ვერ მოეგონებია, სად და ვისთან იმყოფებოდა.

„იჯექ, იჯექ!“ და მასპინძელმა ხელახლა დასვა.

„დაღლილი ხარ და დამშეულიც იქნები“.

უცნობი წამსვე ისევ წამოიჭრა ფეხზე.

„არა, არა, მე არა... იმან, იმას, ის...“

„დამშვიდდი-მეთქი! მასზე ფიქრი ნუ გექნება. ფარტაზი და აიეტი უკვე დაუძმობილდნენ ერთუროს“.

სტუმარი აცახცახდა, მასპინძელს მივარდა და მხურვალედ შესძახა:

„მინც სად და ვისთან მომიყვანა გულმოწყალე ჩემმა ღვთაებამ?“

„ამ სოფელს გონია ჰქვია, ხოლო მე — ქუჯი“.

„ქუჯი?! მე ეს სახელი გამიგონია“.

„მერე რა, ქუჯი ბევრს ჰქვია კოლხთა და ლაზთაგან“.

„მე ვიცი ქუჯი ლასკარი“.

მასპინძელი გაოცდა.

„ქუჯი ლასკარი?!“

„ჰო, ქუჯი ლასკარი, რომელსაც განმებრძნობელსაც ეძახიან“.

„შენ მას შეხვედრიხარ?“

„არასოდეს“.

„მაშ, საიდან იცი?“

„სხვებისგან ხშირად გამიგონია“.

ქუჯის სახე გაეზადრა.

„სწორედ მე ვარ ქუჯი ლასკარი“.

„ღმერთო, ნუთუ მართლა?!“

„სწორედ“.

„ქუჯი განმებრძნობელი, ვინც ფაზისის მუხათა ტაძარში ასწავლის ჟამთაღწერილობას!“

„ჰო, ის“.

„მერე, ასე სახელგანსმენილი და ასე ახალგაზრდა!“

„შენ ეს მითხარ, ვისგან გაგიგონია ჩემი სახელი?“

„სინოპელი და ტრაპეზუნდელი ბერძნებისაგან“.

„შენ ბერძენი ხარ?“

„არა, გარნა ტრაპეზუნდსა და სინოპში ჟამ-ჟამად დამქონდა ჩემი ნახელავი“.

„რა ნახელავი?“

„სამუშაო იარაღი და საომარი აღჭურვილობა“.

„მჭედელი ხარ?“

„ჰო“.

„თვითონ სადაური ხარ?“

„ხალიბი“.

„აბა, შენ ჩემზე სახელგანთქმული ყოფილხარ“.

„მე?!“

„მთელმა ქვეყანამ იცის ხალიბი — მჭედელი რკინისა და რვალისა“.

„ეჰ, რა ვიცი, ჩვენ თუ გვიცნობენ ისევ ჩვენი სიღუბნით და ვაი-ვაგლახით უნდა გვიცნობდნენ. ვინ მოთვლის, ვინ როდის და როგორ გვტანჯავდა: აქემენიდი, მაკედონელი, ბერძენი, რომაელი. ახლა კიდევ ხან სპარსეთის ვართ, ხან ბიზანტიის“.

„მართლა და, ჩვენი ბრალი!“ გაუელვა ქუჯის და ისევ სტუმარს მი-უბრუნდა:

„სწორედ ეგ უნდა მეკითხა ახლა: რა შეგმთხვევია, აქ როგორ მოხვ-დი, ასე მარტო, ძუძუთა ბავშვით?“

ხალიბმა დაიწყო:

„ჩემს სოფელს სპარსელები შემოესივნენ, შუალამისას, ძილში ჩაპი-რულს. ბიზანტიელებმა გვიღალატეს. ხალხი, ვინც სიკვდილს გადაურჩა, დედაბუდიანად აიყარა. დაიფანტა და დაიხიზნა. მეც წამოვედი ცოლით, შვილებით. ხუთი დღე-ღამე მოვეხეტებოთ მთასა და ბარში, თოვლსა და ბუჩქში, ტყესა და ღრეში. წუხელის მდედრები შემოგვეფეთნენ და ისარი დაგვიშინეს. ფუთაში გამოკრული ბავშვები მე მყავდა მკერდზე აკრული. აღარ მახსოვს, როგორ მოხდა. ისე კი თვალის დახამხამებაში დატრიალდა ყველაფერი. ქალი ალბათ ჩვენ ჩამოგვიდგა წინ. ისარი მას მოხვდა და დაეცა. მეც უკვე გამართული მშვილდ-ისარი მეჭირა ხელში. ის, რომელ-საც ვესროლე, მოჭრით დაეცა. მეორეს სატევრით მიფუვარდი და ისიც მოვკალი. ცოლი იქვე დავასაფლავე. უდედო და უქუძური შვილები წა-მოვიყვანე. რძე მოითხოვეს. რძისათვის გაგიჟდნენ და მეც გამაგიჟეს. მე-რე მგელი შემხვდა, ლეკვებიანი დედამგელი. უცებ გამახსენდა, რომ დე-დამგელს რძე ექნებოდა. ალბათ მგელმაც იცოდა, ჩემი სისხლით და ხო-რციით ძუძუში მეტ რძეს დაიგროვებდა თავის ლეკვთათვის. ჩვენ შევებით ერთიმეორეს. ჯერ მე დავამარცხე მგელი: იგი ვაიძულე ძუძუ ეწოვებინა ჩემი შვილებისათვის. შემდეგ მგელმა დამამარცხა მე: მან შვილი მომტა-ცა, შვილი! აი, იმ ბიჭის ტყუპისცალი, შენ და შენმა მეუღლემ სიკვდი-ლისგან რომ გადამირჩინეთ“.

ხალიბი დადუმდა. ცეცხლს თვალი მოაშორა და მასპინძელს შეამ-ტერდა.

ქუჯი განლიგებული იდგა. ბოლოს ენა ძლივს დასძრა:

„შენ დაუჯერებელს ამბობ“.

„შეიძლება ყველაფერი ეს სიზმარია“, ამოვიმინა სტუმარმა და იმე-დისმაძიებელი მზერით შეაქქერდა მასპინძელს.

ეს ნათქვამი ქუჯის არ გაუგონია, ისე ჩაძირულიყო ფიქრებში.

„მე კი დაუჯერებლად მიმაჩნდა, რომ მგელი ადამიანის ნაშიერთ ძუ-ძუს აჭმევდა“.

„სწორედ ეგ დაუჯერებელი შემემთხვა მე“.

თითქოს სადღაც შორიდან ყრუ ხმად მოსწვდა მასპინძლის გონებას სტუმრის ნათქვამი.

მამლის მეორე შეყვივლებამ გამოათხიზლა ქუჩი.

„მაშ, ყველაფერი ეს ცხადად მოხდა?“ მიუბრუნდა იგი სტუმარს.

„იქნებ სიზმარიც იყოს-მეთქი“. თქვა და ფეხზე წამოიჭრა ხალიბი. იგი ისევ იმედის მავედრებელი თვალით მიაშტერდა ქუჩის და პასუხი რომ ვერ მიიღო, ერთბაშად აიშალა, აზვავდა და აღრიალდა:

„ხოლო თუ სიზმარი არაა, მაშინ სადღაა ჩემი შვილი?!“

„დაჯექი!“ თითქმის ბრძანებით შესძახა ქუჩიმ.

ხალიბი მორჩილად დაჯდა და ისევ იმედის მთხოვნელი თვალთ შეა-ცქერდა მასპინძელს.

„ჰო, მე მოვისმენ, განმებრძნობელო, რამეთუ იქნებ შენ გამაღვიძო და ამ საშინელი სიზმრისგან მიხსნა“.

„მომისმინე, შე უბედურო. შენს შვილს ახლა იქ სძინავს, გამთბარს და გამძღარს, ჩემს შვილთან ერთად. თუ მოისურვებ, ახლავ მოგიყვან“.

„არა, არა, მე იმ შვილს ვამბობ, მგელმა რომ წამართვა!“ ეს სავსებით მშვიდად, უბრალოდ, თითქოს გულს გარეთ სთქვა ხალიბმა და ისევ ცეცხლს ჩააშტერა დამეწყურილი სახე.

სტუმრის ასე მოულოდნელად ჩაწყნარებამ სულ გააოგნა ქუჩი.

ერთ ხანს ორივენი სდუმდნენ. თითქოს არცერთ მათგანს არ სურდა სახლში ჩამოწოლილი, რაღაცნაირად შენივთებული სიწყნარის დარღვევა.

ცეცხლის ნაკვეთი გასკდა და მისმა ხმამ შეაკრთო ქუჩი. ხალიბი არ განძრეულა. ქუჩი დაიხარა და ცეცხლს შეუკეთა.

ბუხრიდან შემონათებულ სინათლეზე მასპინძელს ისევ არ მოეწონა სტუმრის სახე.

„*facies hippocratis*“, ისევ ძრწოლით გაუელვა, გარნა ფიქრი უმა-ლვე შეუწყდა. ხალიბმა მისკენ სახე მშვიდად მოაბრუნა და ასევე სავსე-ბით მშვიდად ჰკითხა:

„ქუჩი განმებრძნობელო, შენც ხომ გესმის ბავშვის ტირილი?“

„ბავშვის ტირილი?!“

„ჰო“.

„ააარა“, აბორძიკდა ქუჩი.

„მე კი მესმის“, ესეც ისე მშვიდად და დაბეჯითებით თქვა ხალიბმა, რომ ქუჩი გაოგნებისაგან სულ დაიბნა და დაიფანტა.

უცებ მას ანაქსაგორა გაახსენდა, ანაქსაგორა... სტუმარს მხარზე ხე-ლი მოხვია და უთხრა:

„იცი, ძმობილო, ერთხელ ერთ დიდ ბერძენ ფილოსოფოსს დავაეკა-ცებული შვილების სიკვდილის ამბავი მოუტანეს“.

„მერე?“ უცებ დაინტერესდა ხალიბი.

„ყველა ინტერესით შესციცინებდა, რას იზამდა ამ უმძიმეს ჟამს ეს დიდი კაცი“.

„ჰო, ასეა. ადამიანებს არაფერი ისე არ აინტერესებთ და ხიბლავთ, ამ ქვეყანაზე, როგორც სხვისი უბედურების ცქერა“.

„მაგრამ ხომ სწუხან და უთანაგრძობენ მწუხარებაში?“

„სწუხან, გარნა უფრორე უხარიათ, რომ ეს უბედურება მათ არ დამართნიათ. თანაუგრძობენ, გარნა უფრო ის აინტერესებთ, რას ჩაიდენს ადამიანი უმძიმესი უბედურების ჟამს. რაც უფრო დიდია უბედურება, მით უფრო საინტერესოა სანახაობა“.

„მაინც რა არის საინტერესო ასეთ მძიმე ჟამს?“

„უდიდესი მწყურვალეობით აინტერესებთ, როგორ იტირებს მკვლარ შვილს მშობელი; ან მწუხარებით თუ მოკვდება, როგორ მოკვდება“.

„შემზარავია!“ ჟრჟოლამორევით ჩაილაპარაკა ქუჯი.

„აკი შენ თვითონ სთქვი, რა ინტერესით შესციცინებდნენ უბედური ამბის მომტანნი შვილებდახოცილ ბრძენ ფილოსოფოსს. მათ განსაკუთრებით აინტერესებთ, როგორ იტირებს ბრძენი, როგორ მოკვდება იგი და იმ ბრიყვებმა, — სანამ თვითონ არ გამხდარან საკუთარი უბედურების მოწამენი — მანამ არ იციან, უბედურებაც სწორედ იმაშია, რომ ამ უმძიმეს ჟამს უდიდესი უბედურებით გასრესილი ადამიანი, არ იქნება და, არ მოკვდება. განა, ის ფილოსოფოსი მოკვდა, როცა გაიგო შვილების სიკვდილის ამბავი?“

„არა“.

„ასეც ვიფიქრე“.

„ის კი არა და, მოინტერესე ამბის მომტანებს ფილოსოფოსმა სავსებით მშვიდად უპასუხა: მე ყოველთვის ვიცოდით, რომ მოკვდავნი შევქმენი“.

ხალიბის სახეს რალაცნაირი სინათლე შეეფინა. ქუჯი ვერ მიხვდა, რა იყო ამ უცნაური ნათების წყარო, უბრალოდ ბუხრიდან ამდგარი ალი, თუ ანაქსაგორას საოცარი თავშეკავება უდიდესი უბედურებით გამოწვეული სულიერი და ხორციელი რღვევა-დაშლის საპირისპიროდ.

ბოლოს ისევ შეირხა და ამეტყველდა კერპი ბუხართან:

„მივხვდი, რისთვისაც მიამბე იმ უბედური მამის ამბავი. მეც მშვიდად ვარ. თუმცა ასეთ დროს სიმშვიდეა სწორედ სიკვდილი. მშვიდად ვარ, გარნა ჩემი შვილის, ძუძუნაწყვეტი შვილის გოდება ჩემს ყურთასმენას მაინც ახშობს, გონებას არღვევს, ტვინს არყევს, გულს აცივებს, სისხლს აშრობს“.

წყნარად, თანწყობილად ჩამოთვალა და გაქვავდა.

ქუჯის უკვე აღარ შეეძლო ერთ ადგილზე უმოქმედოდ დგომა. იფი-

ქრა, ყველაზე მეტად სწორედ ახლა უნდა გამომდგარიყო ცოცხალი შვილი დაღუპულ შვილზე გლოვის გასაქარვებლად.

„მე ახლავე...“ სასწრაფოდ წამოდგა და სანთიობოში შევიდა. სტუმარს არც რამე უპასუხნია და საერთოდ არც განძრეულა. მას მარცხენა მკერდზე ძუძუ დაეწვა, ისე ვითარცა შვილმკვდარ დედას დაეწვება ორივე ძუძუ.

ქუჩი შემობრუნდა. ხელში შეხვეული მძინარე ბავშვი ეჭირა.

„აი, ნახე შენი ფარტაზი, როგორ დავაჟაკებულა და დამშვენებულა“. პასუხი არ მიუღია.

გახედა.

ხალიბი კვლავ უძრავად იჯდა და გაკერპებული უცქერდა ცეცხლს. ალბათ ჩაეძინაო, იფიქრა ქუჩიმ. დაძახება უნდოდა, გარნა ახლა გა-ახსენდა, რომ სტუმრის სახელი ჯერ კიდევ არ იცოდა.

„ძმობილო, შენი სახელი?“ ალერსიანად შესძახა და მხარზე ხელი ფრთხილად შეახო.

ხალიბი ერთბაშად შეტოკდა და საკარცხულიდან მძიმედ დაცურდა.

ქუჩი ბავშვიანად დაეცა მუხლებზე.

ხალიბი მკვდარი იყო...

...მთვარეც ჩასულიყო. რძის გზა (რძის!) ველარ იტევდა აურაცხელ ცეცხლოვან ძუძუს.

უთვალავი ძუძუმნათობი მოისწრაფოდა ცის თალიდან დედამიწისაკენ.

დილით, დღე-ღამის განსადრეკელზე, მოხდა კიდევ ერთი ამბავი, რაც სპარსეთის მობედთა მობედმა უზენაესი აჭურამაზნას მინიშნებად მიიჩნია:

ლაზიკა-ბიზანტია-სპარსეთის საზღვართა შესაყარში სპარსელმა მეომრებმა ძუ მგელს სადღაცოდან მოტაცებული ჩვილი ყრმა დაავდებინეს. ქეიბურით გულშეღეწილ მგელს მგლური თვლებიდან ადამიანის ცრემლები სდიოდა.

ხოლო ყველაფერი ეს მაშინ მოხდა, როცა კოლხეთის ტახტზე მეფედ დაჯდა ჭაბუკი გუბაზ.

დაჯდა და ცოლად დაისვა მშვენიერი ასული ხელმწიფისა იბერიისა.

ადექსანდრე ჩავლიშვილი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

მომხვეჭელოვის ღაგომოვის მოტივი ქართულ ლიტერატურაში

არ მარადის იშვიათ...

მტაცებლობით და ხვეჭით

ალ. ჭავჭავაძე

1

ახალი საზოგადოების მშენებლობა მოითხოვს ადამიანის შეგნებიდან აღმოიფხვრას ისეთი უარყოფითი მოვლენები, როგორც არის სახელმწიფო ქონების დატაცება, მომხვეჭელობა, უღისციბლინობა, ეგოიზმი, კარიერიზმი, ბიუროკრატიზმი, მამებლობა, ლოთობა და სხვ. ამ საქმეში დიდი როლი აკისრია მხატვრულ ლიტერატურას. ჩვენი წერილის საგანს შეადგენს მომხვეჭელობის კერძოდ, მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი და შემოვიფარგლებით მხოლოდ იმ მასალების მოკლე ანალიზით, რომლებიც გვიჩვენებენ მომხვეჭელ-მექრთამის სახეს ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში.

ძველი ქართული ლიტერატურიდან

„ვეფხისტყაოსანში“ გვხვდება ცალკეული ადგილები ქრთამის შესახებ. მაგალითად, საყოველთაოდ ცნობილია აფორიზმი: „თქმულა: „ქრთამი საურავსა ჯოჯოხეთსცა დაიურვებს“ (სტრ. 755, 1966 წ.).

პოემაში ერთგან აღწერილია თანამდებობის პირის მოსყიდვა. ეს არის ის ადგილი, სადაც გადმოცემულია ნესტან-დარეჯანის გაპარვა ზღვათა ქვეყნის მეფის სასახლიდან. ვაჭართა უხუცესმა უსენმა გასცა ნესტან-დარეჯანი და საჩუქრად უძღვნა გულანშაროს მეფეს. მეფემ ნესტანი სარძლოდ დაიგულა და დაელოდა ლაშქრად მყოფი შვილის დაბრუნებას. მანამდე ნესტან-დარეჯანს დარაჯობდნენ საჭურისები. ნესტანს ბევრი ოქროვერცხლი ჰქონდა, შეაძლია იგი ხადუმებს და სთხოვა გამიშვიოთ:

მონათა მიხვდა სიხარბე
მის საჭურჭლისა ძვირისა,
დავიწყდა შიში მეფისა,
ვითა ერთისა გზირისა,
გამობარება დაასკვნეს
მის უებროსა პირისა.
ნახეთ, თუ ოქრო რასა იქმს,
კვერთხი ეშმაკთა ძირისა

(სტრ. 1184)

მასაშადამე, ნესტანმა ოქროთი თავი
იხსნა ტყვეობისაგან. ეს იყო კეთილი
საქმე, რადგან ამას საბოლოოდ მოჰყვა
ნესტანისა და ტარიელის შეხვედრა. კე-
თილი საქმისათვის გაცემულ საჩუქარს
თითქოს ქრთამი არ უნდა ეწოდოს, მაგ-
რამ თუ ამ საქმეს ხადუმების მხრიდან
შევხედავთ, ისინი ნამდვილად მექრთა-
მეები არიან, რადგან მათ სრულიადაც
არ ამოძარავებთ სიკეთე. მართალია, ობი-
ექტურად კეთილი საქმე კეთდებოდა,
მაგრამ საჭურისების მხრიდან მას ანგა-
რება ედვა საფუძვლად. ხადუმები, ერთი
მხრივ, დაშინდნენ და მეორე მხრივ, ოქ-
როთი მოიხიბლნენ, რაც ნათლად გამო-
მდინარეობს ნესტანის იმ სიტყვებიდან,
ხადუმებს რომ უთხრა:

უცილოდ თავსა მოვიკლავ,
გულსა დავიცემ დანასა,
თქვენ დაგზოცს თქვენი პატრონი,
სოფელს ვერ დაჰყოფთ ხანასა;
ესე სჯობს: მოგცე საჭურჭლე,
მძიმე მარტყია ტანასა,
მე გამაპარეთ, გამიშვით,
თვარა დაიწყებთ ნანასა.

(სტრ. 1182).

ცხადია, რომ ხადუმები მხოლოდ ამ
მოტივით ხელმძღვანელობდნენ და არა
სიკეთის ჩადენის განზრახვით. სწორედ
შიშითა და ანგარების მიზნით უღალა-
ტეს მათ თავიანთ თანამდებობას და გა-
ჰყიდეს იგი მარგალიტებსა და ოქრო-
ში. ამიტომ ეს ხადუმები არიან მექრ-
თამის სახეები ძველ ქართულ ლიტერა-
ტურაში. საერთოდ უნდა ითქვას, რომ
ძველ ქართულ ლიტერატურაში ხში-
რად არ გვხვდება მექრთამის სახე, მა-
გრამ სადაც კი გვხვდება, იქ სასტიკად

გმოხენ ქრთამსა და მექრთამეებს. ნა-
გალითად, დიდებულად ჟღერს არი-
ლის შემდეგი სიტყვები: „შვილისა სი-
კეთისაგან იხარებს მამა
კაცს უნდა სძულდეს საფასე სხვის
ქრთამად შემოძლეული“ (იხ. არჩილიანი,
ტ. 1, 1936 წ. გვ. 79). ასევე საგულის-
ხმოა მისი სიტყვები: „ბრძენმან ვინმე
განგვიკეთა წყალ, მარილი, რკინა, ცეცხ-
ლი, ჩვენდა საზრდოდ, კმა-საყოფლად არ
ქრთამითა ბევრი ვეცხლი... ზომით უნ-
და ყოვლი საქმე, თორ ნამეტანს თავ
დაიხლი“ (იქვე, გვ. 86).

სულხან-საბა ორბელიანის წიგნში
„სიბრძნე სიცრუისა“ გვხვდება ადგი-
ლები, სადაც არის ნახსენები სიტყვა
ქრთამი. დავასახელებთ ერთ მაგალითს.
ეს არის მეფის ნათქვამი არაკი. „მოყ-
ვარული ცოლ-ქმარნი“ (იხ. სულხან-სა-
ბა ორბელიანი, თხზ., ტ. 1, 1959 წ.). ერთ
ქალაქში იყვნენ ერთმანეთის მოყვარუ-
ლი ცოლ-ქმარი. ქმარი სხვა ქალმა შე-
იყვარა და ნეტარებას მიეცა: „წავიდა
კაცი იგი... მას ქალს შეეყარა, ელხინეს
და იმუსაიფეს“. მაგრამ ეს შეუმჩნევე-
ლი არ დარჩა: „მოვიდნენ ბაზრის მცვე-
ლნი და მათ ქალ-ყმათ კარი დაუჭირეს.
მრავალი ქრთამი აძლიეს და თავი ვერ
დაიხსნეს“ (გვ. 150). ცხადია, რომ აქ
ქრთამად წარმოდგენილია ის, რაც ბო-
როტების მომასწავებელია. ამ შემთხვე-
ვაში ზუსტად უდგება ქრთამის ის გან-
საზღვრება, რაც შეტანილი აქვს ს. ორ-
ბელიანს თავის ლექსიკონში: „ქრთამი.
— საცოდავი ძღვენი“ (ტ. მე-4-ე,
გვ. 233), ე. ი. ისეთი ძღვენი, რომე-
ლიც ცოდვას, ავს, ბოროტს ჩაადენი-
ნებს კაცს. მართლაც, ამ შემთხვევაში
იგი შეძლეულია იმისათვის, რომ შერ-
ხეთ სიძვა. მაგრამ ეს ქრთამი არ აიღეს
მცველებმა და გამოიჩინეს პრინციპუ-
ლობა.

შეიძლებოდა კიდევ რამდენიმე მაგა-
ლითის მოტანა ქრთამის შესახებ ძვე-
ლი ქართული ლიტერატურიდან, მაგ-
რამ, ჩვენ გვსურს უმთავრესად ვიმს-
ჯელოთ ახალი და თანამედროვე ლი-
ტერატურის მაგალითებზე.

ქართული რეალიზმის ფუძემდებლის გიორგი ერისთავის „გაყრაში“ გვხვდება ერთი ასეთი ადგილი: მევახშე მიკირტუმი ეუბნება თავად ივანე დიდებულძეს — ძემბს გაეყარე, სამსახურში ჩადექი, ჯამაგირი ასი თუმანი გექნება, ხოლო ასიც ისე მოვაო.

ივანე — ქრთამი უნდა ავილო?

მიკირტუმი — ვაა, ინჩის ასუმი! ჩემთვის რომ საქმე ჰქნა, შენი ოფლისათვის ოცი ოქრო მოგცე — ეს ქრთამე? (იხ. გ. ერისთავი, პიესები, 1950 წ., გვ. 151).

ყოველი მექრთამე ასე ამართლებს თავის ბოროტმოქმედებას: საქმე გავაკეთე, ვიშრომე, ოფლი დავდვარე და ამგვარი შრომის ანაზღაურება არ შეიძლება ქრთამად ჩაითვალოსო. თუ ამ „თეორიას“ ვაკყვებით, მაშინ სულ გაქრება ქრთამისა და მექრთამეობის ცნება. ნამდვილად კი, განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით რომ ვთქვათ, „ქრთამი არის თანამდებობის პირისათვის მოსასყიდად მირთმეული ძღვენი ან ფული“ (იხ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. 7, გვ. 358).

მექრთამეობის განსაზღვრებაში მთავარია მოსყიდვის ცნება. კანონიერი საქმე თუ კეთდება, მაშინ მოსყიდვა არც არის საჭირო. უკანონო საქმის, ან კანონიერი საქმის უკანონოდ შესრულება შეადგენს მექრთამეობის არსს. ხოლო უსამართლო საქმეზე დახარჯული შრომა არ შეიძლება პატიოსან შრომად ჩაითვალოს.

ლიტერატურის კლასიკოსებმა კარგად იცოდნენ მექრთამეობის ეს ბოროტი ბუნება და ამის გამო ყოველთვის ამხელდნენ ხოლმე მექრთამეებს.

მოვიტანთ ამის მაგალითებს. ჯერ ისევ გიორგი ერისთავის კომედიებს მივმართოთ. ავიღოთ „დავა ანუ ტოჩკა და ზაპეტაია“. აქ ერთმანეთს ედავება ორი თავადი: ამირინდო და ონოფრე. დავის საგანს წარმოადგენს მიწის ნაკვეთი ჩალიანი, რომელიც ქრთამის წყალობით

ხან ერთის ხელშია და ხან მეორესი, გამოხატულია ჩინოვნიკი მოხელეები, რომელთა შორის განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობს ხარიტონ ვსიატიანი, რომლის გვარიც კი მექრთამეობაზე მეტყველებს. მასთან ქრთამი მიაქვთ ამირინდოს შვილს ბეგლარს და ონოფრეს შვილს მიხაილს. პირველი ცდილობს ხარიტონი მოისყიდოს ნივითთ, შესთავაზებს ბეჭედს და უნდა ჩამოაცვას თითზე. ხარიტონი უწყდის საჩვენებელ თითს და ეუბნება: „Извольте наденуть“ (იქვე, გვ. 113). ქრთამი მიაქვს აგრეთვე მიხაილსაც ასი მანეთის ოდენობით. ხარიტონი თითქოს არ დებულობს და ეუბნება: შეურაცხყოფ, თავადო, მე ქრთამს არ ვღებულობ, ხელს არ ვკიდებ. ამაზე მიხეილი პასუხობს: „И что я подумаю под поукы“. და მართლაც ბალიშქვეშ ამოუღებს ას მანეთს (იქვე, გვ. 114). აქ განსხვავებულია მხოლოდ ქრთამის მიცემისა და აღების ფორმები; პირველ შემთხვევაში უტიფრობასთან გვაქვს საქმე, მეორე შემთხვევაში ვითომ მორიდებულობასთან. ორივე შემთხვევაში კი ბოროტება კეთდება.

ლ. არდაზიანის მოთხრობიდან „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“ ცნობილია, რომ სოლომონი თავის ღარიბულ ქონში დაბრუნდა. აქ მან ნახა და ესაუბრა იმ დედაბერს, რომელიც ერთ დროს შეეცადა სოლომონის ახალდაქვრივებული დედა გაიანე ბოროტი ადამიანის მსხვერპლად გაეხადა. საუბრის შემდეგ ეს დედაბერი მოკვდა, ხოლო დედაბრის შვილმა დედის სიკვდილი სოლომონს დააბრალა. ეს დაბრალება მოხდა იმის გამო, რომ სოლომონისაგან ქრთამი უნდოდათ აედოთ „აქლემა“ პრისტავს, „წიპონკა“ დესეტნეკს და „ნემსიყლაპია“ პერეგოჩიკს, რომელსაც ეს სახელი დარქმევია, რადგანაც „ქრთამები უყლაპავს“. ფიქრობდნენ: სოლომონი შეშინდება და ქრთამს შემოგვადლევსო, ჩვენს მოსყიდვას მოინდომებსო, მეჯღანუაშვილი შეიპყრეს და წაიყვანეს. „გზა-

ზე პერეგოჩიკმა მირჩია, — მოგვითხრობს სოლომონი, რომ ქრთამით მეჰველა ჩემი თავისათვის. მე დავარწმუნე, რომ ცალი ფულის პატრონიც არ ვიყავი. პერეგოჩიკმა, მგონია, შეატყობინა ამაზედ პრისტავსა. მაშინ პრისტავი და მისი კამანდა ასე გაიპარ-გამოიპარნენ, რომ მე ვერ გავიგე“ (იხ. ლ. არდანიანი, თხზ., 1964 წ., გვ. 33). ეს არის ტიპური მაგალითი იმისა, თუ როგორ ცდილობდნენ პრისტავი და მისი კამანდა თანამდებობის ბოროტად გამოყენებას. მექრთამეთა მხილებით მწერალი დაუნდობლად იბრძვის ცარიზმისდროინდელი მექრთამეობის წინააღმდეგ, რომელიც მაშინ მასობრივ-გავრცელებული მოვლენა იყო.

მექრთამეებს სასტიკად ვმობს ილია ჭავჭავაძე. ამის საწინააღმდეგო მაგალითია მისი ლექსი „ხმა სამარადამ“. აქ ნაჩვენებია მექრთამე დიამბუვის სახე, რომელიც ასე ამბობს თავის თავზე:

სამართალს ფულითა ვჭრიდი,
გროშისთვის კაცს გავყიდდი,
თვით ძმას ორმოს გავუთხრიდი
და ჩემს ჯიბეს ნელ-ნელ ვზრდიდი...
ირჩობოდა, კაცს ვხედავდი,
მე შემეძლო მის მოჩვენა, —
მის მორჩენას ვაკრძლავდი
თუ მესმოდა ვერცხლის ზნენა...
..შეიბრალებთ ჩემი გვამი!
თუ ოდესმე ვინმე ჰნახებთ,
საიჭიოს თუა ქრთამი,
გამახარეთ, ჩამომახეთ.

(იხ. ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი 10 ტომად, ტ. 1, გვ. 6-8).

მექრთამეები სამარცხვინო ბოძზე მი-
აღურსმნა აკაკი წერეთელმა.

ამ მხრივ საგულისხმოა მისი ლექსი
„აპელაციის მცოდნე“. აქ ხატუვანია,
რომ ჩანსურას ჰყავს აპელაციის მცოდ-
ნე შვილი:

ამბობენ, — ქრთამი სძულსო,
არ იძღვის არც ქათამსა,
მხოლოდ მაშინ არ იწყენს,
თუ მსუქანი ვაცია,

მაგრამ ეს ზვარაკია!

ამას ვინ ეტყვის ქრთამსა?

სხვამ რომ ჰქნას, ის სხვა არის **საქართველო**
ეს სწავლული კაცია. **ზინკლირთისა**

(იხ. აკ. წერეთელი, თხზ. 15 ტომად,
ტ. 1, გვ. 94).

ამჟამად, რომ აკაკი სარკასტულად და-
სცინის გადაგვარებულ პიროვნებას, რომელიც ქრთამს ნატურის სახით ლებ-
ლობს. სწორედ ეს ვაცია ქრთამის სახე,
რომელსაც „მოსასყიდად მიართმეული
ძღვენი“ ეწოდება.

ძალზე საინტერესოა აკ. წერეთლის
ლექსი „პასუხი“. (ტ. III, გვ. 426). ამ
ლექსს გააჩნია ადრესატული ეპიგრაფი.
სათაურს ქვემოთ მას აქვს ასეთი წარ-
წერა: „წინააღმდეგ გუნდს, ქრთამის
შემომძღვეს“. იმ დროს არსებობდა
ადამიანთა ერთი ჯგუფი, რომელსაც არ
მოსწონდა აკაკის მამხილებელი ნაწარ-
მოებები. ამ ჯგუფს გადაუწყვეტია, რომ
აკაკი მოესყიდა და ამით მისი პოეტუ-
რი მუზა დაედუმებინა. ამ მიზნით, რო-
გორც ეპიგრაფიდან ჩანს, მისთვის
ქრთამი შეუძღვევიათ. რასაკვირველია,
აკაკის მოსყიდვა შეუძლებელი იყო. ეს
ჩანს აკაკის საპასუხო ლექსიდან, რომ-
ლის აზრი ის არის, რომ ჭეშმარიტი მწე-
რალი არ შეიძლება ვინმეს მიუღდეს.
მწერალმა უნდა „კარგი აქოს, ავი და-
გმოს... თავი შრომას არ დარიდოს,
იწურვოდეს ოფლით-ოფლად“. ქრთამის
შეძღვევამ აკაკის ცხოვრების დევიზი ვერ
შეაცვლევინა და მწერალი ისევ დაბეჯი-
თებით ამბობს: „მტერსაც ვეტყვი, მო-
ყვარესაც, მათზე რასაც გავიგონებ“ (იქვე,
გვ. 426). აკაკი ამ დევიზს ატარებდა
სიკვდილამდე და ამით იგი იძლეოდა
უშიშარობისა და პრინციპული ბრძოლ-
ის მაგალითს.

აკაკი გულდაწყვეტილი ამბობდა თა-
ვისი დროის შესახებ:

ფულით სწონიან კაცობას,
ფულითვე ჰზომენ გამირებსა,
ბედაურები გადენეს,
მოედანი აქვსთ ვირებსა.

(ტ. III, გვ. 431)-

მექრთამეობის დაგმობის თვალსაზრისით მეტად საინტერესოა აკაკის პატარა მოთხრობა: „ძველი ჩინოვნიკის აღსარება“. (ტ. 7). ერთი ძველი ჩინოვნიკი მოგვითხრობს თავის თავგადასავალს, რომ იგი პირველად მუშაობდა კანცელარიის მწერლის უფროს თანამემწედ. ერთ დღეს ხაზინაში წასულა მისი უფროსი სტოლონაჩაი. მოსულა სულ უფროსი ბობოლა მოხელე და უთქვამს: მაგიდის უჯრაში საიდუმლო ქაღალდებია და მომაწოდეთ. მაგიდის უჯრა „გამოვწიე, — მოგვითხრობს ეს უფროსის თანამემწე, — მაგრამ მისთანა თქვენს მტერს“, უჯრიდან მწერები გამოფრინდნენ, „თუმცე სტოლონაჩაილის იმ დილას ქრთამად მოსვლოდა მწერები და ხელად იქ ჩაემწყვდია“. (გვ. 261). უფროსი გამოაგდეს და მის მაგიერ ეს მოადგილე დანიშნეს. აქედან დაიწყო ჩემი ბედნიერება, — განაგრძობს თხრობას დაწინაურებული, — ყაპის ჰიასავით გამოვიცვალე ძველი კანი და მოვემზადე.

„აბრუნდ-ჩაბრუნდიც“ მალე ვისწავლეთ. ერთს მაგალითს გეტყვით ამ „აბრუნდისას“: ერთხელ ორი მომჩივარი მომადგა: მტყუანმა ცხვარი მომართვა და მართალმა კი ხმაც არ გამცა. ვუთხარი საქმეს „აბრუნდი“ და დავაჰხარაკე. შეუტყვია მართალს, რომ ვიღუპებო და მოაბღავლა ჩემთან ჭრელი ძროხა. ეჰ, რაღა უნდა მექნა? დავანებე თავი „აბრუნდის“ და შევეუდექი ისევ „დაბრუნდის“... გაეგო მტყუანს, მოვიდა და მკითხა: — ჩემი ცხვარი რასა იქნა?

— შენს ცხვარს რქა ამოჰკრა და გვერდი შეახალა იმ ძროხამ, რომელიც შენმა მომჩივარმა მომართვა.

— უჰ, მაგას ნუ ინებებ, ღმერთი ვადღეგრძელებს, ოღონდ იმ ცხვარს უეჭიმეთ და საეჭიმო ჩემგან მიიღეთო — ამოიღო ორი წითელი და მიჩიტა ხელში.

ამისთანა ბევრი ბედი მომდგომია კარზე და მეც წიხლი არ მიკრავს. (გვ. 262-263). ბოლოს ეს მექრთამეც

დაისაჯა და საერთოდ აკაკისთან ყველა მექრთამე საბოლოოდ მარცხდება და ნადგურდება. ამაშია აკაკის შემოქმედების სიძლიერე. აშკარად იგრძნობა, რომ აკაკი წერეთელს ეზიზღება მექრთამეები და ასეთივე გრძნობას იწვევს მათდამი მკითხველებში. ამით აკაკის შემოქმედება დიდი აღმზრდელობითი ძალით ხასიათდება, დღესაც.

მექრთამეობის წინააღმდეგ ასევე დაუნდობელი მებრძოლია ქართული ლიტერატურის კლასიკოსი გიორგი წერეთელი. ამის ცოცხალი მაგალითია „ჯგირკოჩას მოქმედება „პირველ ნაბიჯში“. ბახვა ფულავამ იერემია წარბა დაქრა. ამით ისარგებლა ბოქაულმა ჯგირკოჩამ და ბახვას დაპატიმრებით დემეუქრა, თუ ხუთას მანეთს არ მისცემდა. ბოლოს სამას მანეთზე შეთანხმდნენ. ბოქაულმა ქრთამი მიიღო. ბახვამ იგი მოისყიდა და თავი გადაირჩინა დაპატიმრებისაგან. „ჯგირკოჩამ რომ ბახვა გაისტუმრა, მერე მივიდა სარკესთან სანთელანთებული, ჩაიხედა შიგ და წამოიძახა: „აი ბისმარკის შუბლი“ — მიიღვა თითი შუბლზე. ხელად 30 თუმანი ავსწაპნე. „И Бисмарк, Би-смарк“ (იხ. გ. წერეთელი, რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. I, 1947 წ. გვ. 269).

„პირველ ნაბიჯში“ მექრთამის კოლორიტული სახეა აგრეთვე უმაღლესი სასამართლოს წევრი. როგორც ცნობილია, ესმას მკვლელი იერემია გაასამართლეს და მიუსაჯეს „12 წლით გაგზავნა კატორღაში“, (იქვე, გვ. 418), მაგრამ კატორღაში იერემია არ გააგზავნინა მისმა ნათესავმა, ზნედაცემულმა ქალმა ვალიდამ. საქმე უმაღლეს სასამართლოში გადაატანინა. აქ კი ვალიდამ მოაჯადოვა სასამართლოს ერთი ახალგაზრდა წევრი. იგი ვალიდას ბინაზე ეწვია, ვალიდამ მას უთხრა:

— იერემია არ უნდა დამიკარგოთ... თქვენ უნდა გაამართლოთ.

— სჯობს უმალ დამბაჩა დავიციე, ვიდრე სინდისს გადავუდგე.

— ჰა, ჰა... კაცების სინდისი! —
გადაიხარხარა ვალიდამ...

კაცი წამოდგა ზეზე დაფიქრებულა. მის გულში საშინელი ბრძოლა მოხდა, იგი ყოყმანობდა მოვალეობასა და გულისტყმებს შორის. ბოლოს საიდუმლოთ გადასწყვიტა: „სჯობს ამ მომხიბლავ სატანის სიტყვების სახეს მოვშორდეთ“. ვალიდამ თითქოს იგრძნო ეს გადაწყვეტილება, უცებ მოტრიალდა და მისი მშვენიერი ფეხის წვერი, თეთრ ატლასში გახვეული, გამოჩნდა თავჩაქინდრულ სტუმრის წინ. იგი აენთო ახალი გრძობით, უცებ ასწია თავი, მისი გულისტყმით სავსე თვალეები შეხვდა ვალიდას ლაყვარდ თვალეებს, რომელშიაც ელვადნენ აზღვავებული ვენებანი.

სტუმარმა უნებურად მოხვია მას წელზე ხელი, ჩაიკრა გულში, ტუჩი-ტუჩს შეუწყება და მისვენა გრძელ სელზე.

— ოჰ, შენ შემოგვევლოს, ვალიდა, ჩემი ცხოვრება, ჩემი სინდისიც შენს ფერხთა მტვრად გამიხდია!

ვალიდამ გადააგდო ბროლის კისერი...

— მე თქვენ გთხოვთ, თუ ჩემი თავი გინდათ, იერემია გამიმართლეთ, — უთხრა კიდევ დაჟინებით ვალიდამ“ (იქვე, გვ. 426-428).

უმალღესი სასამართლოს წევრმა ვერ გაუძლო ცდუნებას. ვალიდამ მანამ არ ასიამოვნა მას, ვიდრე იერემია ციხიდან არ გამოაშვებინა. ამ შემთხვევაში ვალიდამ სასამართლოს წევრს ძღვნად მიართვა თავისი სხეული და ამით მოისყიდა იგი, ამ მაგალითიდან ისიც ჩანს, რომ მექრთამეობის სიმძიმის ცენტრი უფრო მეტად ქრთამის ამღებშია, ვიდრე მიმცემში. მართალია, სიმართლეს ორივე ღალატობს, როგორც ქრთამის ამღები, ისე ქრთამის მიმცემი, მაგრამ ქრთამის ამღები ციხეს შიგნიდან ტეხს. უმალღესი სასამართლოს წევრს, რომ ნებისყოფის სიმტკიცე გამოეჩინა, მაშინ ვალიდას ცბიერება ფუჭად ჩაივლიდა, იერემია წარბა თორმეტი წლით კატორღაში გაიგზავნებოდა და ამით სიმართლე იხეიბებდა.

გ. წერეთელი მექრთამეებს გმობს მეორე რომანშიც „გულქანი“. გულქან ბაკურიძის მეშვეობით გამფლანგველებმა მოინადირეს რევიზორის გული. იგი არის რევიზორის მოსასყიდად შირთვეული ძღვენი. ზემოთ მოტანილი მაგალითების ძალა იმაშია, რომ ისინი მკითხველებს აძულებენ მექრთამეობას და ამით ხელს უწყობენ ადამიანის წესიერად აღზრდას.

ვაჟა-ფშაველას კალამსაც არ გამოორჩენია მექრთამეების მავნებლური მოქმედება. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს მისი ლექსი „სვინდისის სიმღერა“ (იხ. ვაჟა-ფშაველა, ლექსები, ტ. I, 1946 წ. ა. აბაშელისა და ა. შანიძის რედაქციით გვ. 15). აქ სვინდისი გულდაგულ იძახის:

სუყველას გამოვამეღავნებ,
რაც კაცის გულში ბრალია,
ერთსა მოხელეს ვესტუმრე,
მექრთამეს, ქვეყნის მცრცელსაო,
მითხრა: „სად მოხვალ, მურდალო,
არა მცალიან დღესაო!“...
მე ვუბასუხე: „გაჩუმიდ.
გრცხვენოდეს საწყლის ღღეტაო,
ულუქმაპუროდ გასწირე
ოთხი წვრილ-შვილის დედაო“.

აქ ნათლად ჩანს ვერაგი, გულქვა და უსინდისო მექრთამის სახე.

მექრთამეთა სახეები შექმნა ეგნატე ნინოშვილმა „მოსე მწერალში“.

მოსე გულფუჭაძე მექრთამის ტიპური სახეა. იგი არის ხორცმეტი, სოფლის მუწყუცი, პარაზიტი, რომელიც ქრთამის საშუალებით მდიდრდებოდა, ხოლო უდანაშაულო ადამიანებს ციმბირში გზავნიდა. ისარგებლა რა ბაბაღეს უსაზღვრო დედური სიყვარულის გრძობით, შვილი ოქრუას სალდათობისაგან გადასარჩენად მეორე შვილი სოფრონა გერად დააწერინა მხედრული ანბანის უცოდინარ მღვდელს და ამ ყალბი საქმის მოწყობაში ქრთამად ორმოცდაათი მანეთი მიიღო. „ყოლიფერი მოსე მწერლის ბრალია, — მოუთხრობდა ოქრუა უნათლოშვილი გამოძიებელს, — იმან

დაგვლუბა, იმან გაგვაციდვია უღელი ხა-
რი, შეაცთინა ღვდელი, სინდისიერი მო-
წამე, მამასახლისის პოპოშნიკი და ყვე-
ლაყაი. იმან, ჩეიქცია ჩვენი სისხლი“
(იხ. ე. ნინოშვილის თხზულებათა სრულ-
ლი კრებული სამ ტომად, ტ. II, 1932
წ. გვ. 201).

თავიდანვე მექრთამეობის გზას დაად-
გა მოსე გულფუჭაძე, „შეეჩვია ქრთა-
მების აღებას და ყალბი ქაღალდების
შედგენას“ (იქვე, გვ. 176). მოსეს გარდა
ამ მოთხრობაში მექრთამის სახეა სოფ-
ლის მამასახლისი.

„— ჩვენს მამასახლისს წითელი ჩოხა
შეუქერავს, — თქვა ერთმა გლეხმა,

— რაც ეს ქრთამებს იღებს, წითელ-
საც შეიქერავს და ყვითელსაც, — უთხ-
რა მეორემ“ (გვ. 180). მოთხრობა ისე
მთავრდება, რომ მექრთამე მოსე გულ-
ფუჭაძე დაუსჯელი რჩება. მოთხრობის
ასეთი დაბოლოებით ეგ. ნინოშვილი ორ
რამეს შთაგვაგონებს. პირველი ის არის,
რომ მოსე გულფუჭაძის ირგვლივ შეკ-
რებილი იყო უკულო ადამიანები, ბიუ-
როკრატი მოხელეები, რომლებიც თვი-
თონ ჩადიოდნენ უკანონო საქმეს და
ამიტომ მოსეს ვერ სჯიდნენ. ამით ეგნა-
ტე ერთეულიდან ადის ზოგადმდე და
მთელ მაშინდელ მმართველობას მექრ-
თამეს უწოდებს და ამით მოთხრობა
მკითხველს აღაშფოთებს არა ცალკეუ-
ლი მექრთამეების, არამედ მთელი ბი-
უროკრატიული წყობილების წინააღმდე-
გაც. მეორე მხრივ, გულფუჭაძის დაუს-
ჯელობით ეგნატე მოუწოდებდა მკითხ-
ველებს: ადამიანებო, იყავით ფხიზლად,
გააუქტიურდით და ბოლო მოუღეთ ამ
უსამართლო წყობილებას, დაამხვეთ ის
მმართველობა, რომელიც არ სჯის მექ-
რთამეებს. ამ დიდი იღვის ქადაგება-
შია მოთხრობის მებრძოლი სული.

მართალია, ჩვენ მექრთამის სახეს გან-
ვიხილავთ ქართული ლიტერატურის მა-
სალებზე დაყრდნობით, მაგრამ აქვე უნ-
და ვთქვათ, რომ ლიტერატურის ისტო-
რიაში საერთოდ გვხვდება ისეთი მექრ-
თამის სახეც, რომელსაც შეუგნია თავი-

სი ბოროტეა და დასდგომია გამოსწო-
რების გზას. ეს არის სინდისგაღვიძებუ-
ლი მექრთამის სახე, რომლის ტიპური
მაგალითი მოცემულია რუსულ მწერ-
ლობაში, ნოველის კლასიკოსის ანტონ
ჩეხოვის შემოქმედებაში. ამის საყურა-
დღებო მაგალითია პატარა ნოველა „ად-
ამიანის საუბარი ძაღლთან“. (იხ. ა. ჩე-
ხოვი, თხზ. სამ ტომად, ტ. I, 1961 წ.
გვ. 360).

კოლეესკი სეკრეტარი ალექსეი ივა-
ნიჩ რომანსოვი სამსახურიდან სახლში
დაბრუნდა, ეზოში შევიდა. აქ ერთი
ძაღლი იყო, რომელმაც ვერ იცნო პატ-
რონი და ყეფა დაუწყო. ვერ იცნო იმი-
ტომ, რომ რომანსოვს რაღაც უცნაუ-
რი ახალი ქურქი ეცვა. თურმე ეს ქურ-
ქი ქრთამად აღებული ფულით უყიდა.
რომანსოვს შეეწიზლა თავისი თავი, რო-
გორც მექრთამე და ამიტომ ძაღლს კი
არ მოერიდა, არამედ, პირიქით, პირში
ჩაუვარდა:

— დამკბინე, ჭამე ჩემი ხორცი, —
ეუბნება იგი ძაღლს...—შენ გგონია, რომ
მე რომანსოვი, კოლეესკი სეკრეტარი
ბუნების მეფე ვარ... გეშლება! მე ერთი
მუქთახორა, მექრთამე, ფარისეველი და
საზიზღარი არსება ვარ... აჰა, ქურქიც
დაგლიჯე, სულ ერთია ქრთამით არის
ნაყიდი...—რომანსოვმა ძაღლს გახედა და
ნება მისცა ერთხელ კიდევ ეკბინა კანჭ-
ზე მისთვის, შემდეგ ქურქში გაეხვია და
შინისაკენ გასწია ბარბაცით“. (იქვე,
გვ. 361-362).

რასაკვირველია, ეს ნოველა იმ პირო-
ვნებაზე მოახდენს დიდ გავლენას, რო-
მელსაც ჯერ კიდევ მძიმე დანაშაული
არ ჩაუდენია. სინდისი ეს ისეთი მსა-
ჯულია, რომელსაც შეუძლია გამოიწვი-
ოს „მოქცევაი მექრთამისაი“, და ამ
მხრივ ამ ნოველას აქვს დიდი აღმზრ-
დელობითი მნიშვნელობა.

• აქამდე ჩვენ განვიხილავდით ისეთი
მექრთამის სახეს, რომელიც შექმნილია
კლასიკური ლიტერატურის მიერ. ახლა

მოკლედ ვიტყვით იმ მექრთამეთა სახე-
ების შესახებ, რომლებიც გვხვდებიან
საბჭოთა მწერლების ნაწარმოებებში.

ამ მხრივ მასალა მრავალია, მაგრამ
ყველას ანალიზი ერთ წერილში შეუ-
ძლებელია. ამიტომ ვიწროდ შემოვიფა-
რგლებით და მხოლოდ რამდენიმე ავ-
ტორის ნაწარმოებებს შევხებით.

მომხვეჭელ-მექრთამეები დიდი მხატ-
ვრული დამაჯერებლობით გვიჩვენა მწე-
რალმა გ. ფანჯიკიძემ თავის გახმაუ-
რებულ რომანში „თვალი პატროსანი“. აქ
ნაჩვენებია მგელ-ადამიანების ხროვა,
რომელშიც შედიან თავწვრილა დავითი,
ანზორ და გიზო ხელაძეები, არჩილი, ვი-
ლაც მიშა და სხვები. ესენი ფულიანი სა-
ქმოსნები არიან. მოხდა ისე, რომ ანზორ
ხელაძემ საკუთარი მანქანით კაცი გაი-
ტანა. ამ მარცხს შეესწრო რომანის
მთავარი პერსონაჟი ოთარ ნიჟარაძე, რო-
მელმაც მანქანის ნომრის ჩაწერა მოას-
წრო და მძღოლის სახეც აღიბეჭდა. ამის
შესახებ გამომძიებელს აცნობა, მაგრამ
დამნაშავეებმა მოქრთამეს გამომძიებელი
და ახლა საქმე ისე უნდა წარმართონ,
თითქოს ხელაძის მანქანა ვილაცამ გაი-
ტაცა და კაცი მოკლა. გამოჩნდა მანქანის
გამტაცებელიც, რომელმაც მკვლელობა
თავის თავზე იდგა. ახლა ერთადერთმა
მოწმემ ოთარ ნიჟარაძემ უნდა დაამტ-
კიცოს, რომ ეს ცრუმარქვია იჯდა საჭე-
სთან და ამით ხელაძე გამოძვრება ამ
საქმიდან. რომანში ნაჩვენებია ოთარის
მოქრთამვის ცდის სურათი:

— თქვენ დამნაშავეს დააკვირდებით
და იტყვით: არა მგონია ვცდებოდე,
ნამდვილად ეს კაცი უჯდა საჭეს-თქვა.

— მერე, უდანაშაულო კაცი ჩაკავდო
ციხეში?... ძალიან კარგი, ჩემთვის ყვე-
ლაფერი გასაგებია. ახლა ეს მითხარით,
ჩემს თანხმობაში რამდენს იძლევი?

— ათი ათას!

— რასაკვირველია, ახალ ვუღლებ,
არა? — ჰკითხა ოთარმა.

— ძველ ფულზე საქმიანი ხალხი დი-
დი ხანია აღარ ლაპარაკობს.

ოთარმა ჩაიციხა და სკამი უკანა ფეხ-
ზე შეაყენა.

— გახსოვს, შენი მეგობარი ერთა
შტერი ოფიცინანტის ნეკა-თათში რამ-
დენს იხდიდა? — მიუბრუნდა ოთარი
დავითს.

აქ უნდა შევწყვიტოთ დიალოგი და
მკითხველს მოკლედ მაინც უნდა ვუთხ-
რათ ამ ნეკა თითის შესახებ.

რესტორანში ქეიფობდა ათი კაცი.
აქვე იყვნენ პატროსანი ადამიანები
ოთარი და თამაზი. სხვებს ფული ჩიჩ-
ქივით ჰქონდათ და ფლანგავდნენ უპა-
ტიოსნოდ ნაშოვნ ფულს. ერთმა მათგა-
ნმა, რომელსაც მიშა ერქვა, ოფიცინან-
ტი მოიხმო და უთხრა:

— ისეთი რამე მოიტანე, ჯერ რომ
არავისთვის მიგიტანია.

— ისეთი რა უნდა მოვიტანო, შენა
ჭირიმე.

— შენი ნეკი მოგიტანე...

— რა მოგიტანო?...

— შენი ნეკი მოგიტანე, შემწვარი
ნეკი. დიდ ტაფაზე შეწვი, ზღსტრად
შუაგულში დადვი და მოიტანე.

ოფიცინანტს ეგონა, ხუმრობსო და გა-
იღრიჯა...

— თქვენ გგონიათ ვხუმრობ? —
გაბრაზდა მიშა... ჯაბიდან მთელი ზღუ-
ჯა ასმანეთებიანი ამოიღო... — ათი ათას
მანეთს გაძლევ ერთ ნეკში, მეტი რა
გინდა... თხუთმეტ ათასს დაძლევ.

— მიშა, სირცხვილია, ხალხი გვიყუ-
რებს...

— ხალხი ფეხებზე მკიდია, მე ნეკი
მინდა (გვ. 64-65).

აი, თურმე სანამდე შეიძლება დაე-
ცეს უშრომლად და უპატიოსნოდ შე-
ძენილი ფულის პატრონი. ამ შემთხვე-
ვაში ნეკი ისეთი მხატვრული დეტალია,
რომელიც სრულყოფილად ავლენს გა-
დაგვარებული პიროვნების ბოროტ ბუ-
ნებას. ნეკის ისტორიის გაგებას შემდეგ
შეგვიძლია განვაგრძოთ შეწყვეტილი
დიალოგი:

— მაშინ შენ თქვი, რამდენს ითხოვ—
ჰკითხა გიზო ხელაძემ ოთარს.

— რამდენს? რამდენს და ორმოც-
დაათი ათასს... მე ჩემი გითხარით და
დავამთავრე. დანარჩენი უკვე იცით.
ზეგ სამსახურში ვიქნები. თუ ჩემს მი-
ერ დასახელებული თანხა ჭკუაში დაგი-
ჯდეთ, თორმეტ საათამდე დაძირვეთ.
შენ კი, — მიუბრუნდა არჩილს, — სას-
წრაფოდ ჩამსვი მანქანაში და თბილისში
ჩამიყვანე. ესენი აქ დაეკლოდებიან.
(გვ. 198-199).

ოთარი მართლაც ქალაქში ჩავიდა და
ყველაფერი საგანგებო საქმეთა გამოძი-
ებელ ნიკოლოზ თვაურს მოახსენა.

ასე მოუსყიდავი აღმოჩნდა ოთარ ნი-
ყარაძე, იგი ბოლომდე ერთგული რჩე-
ბა მთავრობის, პარტიის, ხალხის. გურამ
ფანჯიკიძის რომანის სიძლიერე იმაშია,
რომ აქ ნაჩვენებია ბრძოლა ძველსა და
ახალს შორის, ხოლო ამ ბრძოლაში იმა-
რჯებებს ახალი. ეს არის სინამდვილის
გამოხატვა მის რევოლუციურ განვითარ-
ებაში, რაც შეადგენს სოციალისტური
რეალიზმის ერთ-ერთ ძირითად ნიშანს.

ასევე საყურადღებოა ნოდარ ღუმბა-
ძის ახალი რომანი „თეთრი ბაირაღები“,
რომლის პირველი ნაწილი ყურნალ
„მნათობში“ (1972 წ. № 12) დაიბეჭდა.
განსაკუთრებით საინტერესოა ის თავი,
რომელსაც ეწოდება „სანტიმენტალური
პუმანიზმი“.

საუბარი სწარმოებს ციხის ერთ-ერთ
საკანში. აქ არიან სხვადასხვა სახის და-
მნაშავეები. მათ შორის არის ზაზა ნა-
კაშიძე, რომელსაც უმართებულოდ
ბრალად ედება კაცის მოკვლა და საქმე
გამოძიების პროცესშია. ავტორი ზაზას
პირით გადმოგვცემს იმ საუბარს, რასაც
ადგილი ჰქონდა პატიმრებს შორის, კე-
რძოდ, სასაფლაოს ყოფილ დირექტორ
ლავრენტი პავლეს ძე მებურიშვილსა
და სხვა პატიმრებს შორის.

— ეე, საიქიოს დირექტორო! იმას
რატომ არ ყვები ოცდაათი ფალსიფიცი-
რებული საფლავი რომ აღმოგიჩინეს
თავისი წარწერებით, მკვდარზე მკვდარს
რომ ასაფლავებდი და ჭირისუფალს...
უღმერთოდ ფულს ართმევდი, — ახსე-

ნებს მებურიშვილს თავის წარსულს
ერთი პატიმარი, რომელსაც შოშიას ეძა-
ხიან.

— მე, გენაცვალე, ფალსიფიცირებუ-
ლი საფლავი ჩემთვის კი არ შემინახავს,
ან რად მინდოდა ოცდაათი საფლავი!
ისევე მეგობრებისათვის მინდოდა, თქვე-
ნთვის ვზრუნავდი, — უხსნის მებური-
შვილი შოშიას.

— ვერ გავიგე! — თავს იქნევს შოშია.

— მაგას მაშინ ვაიგებ, ოთხი კაცი
რომ ვაიგებდეს მხარზე ვაჭიმულს, რომ
მიგასვენებს ვაკეში და იმ ფალსიფიცი-
რებულ საფლავში რომ ჩავასვენებს, —
ამშვიდებს ლავრენტი პავლეს ძე.

— ხალხო!!! — კივის შოშია, — რა
უფლებით ყიდის ეს კაცი ფალსიფიცი-
რებულ საფლავს.

— ფალსიფიცირებული რა არის ლო-
თიანად! — აწყვეტინებს შოშიას ტიგ-
რანა.

— ფალსიფიცირებული, ესე იგი, ვი-
თომ! — საფლავი გათხრილია, ზედ
რკინის ფირფიტა და წარწერაა: „აქ გა-
ნისვენებს ტიგრან გულოიანი... სინამ-
დვილეში კი რა ხდება? საფლავში არა-
ვინ არ არის...“

— გამოდის, რომ ცოცხალ ხალხს მა-
რხავს? — ისევ აწყვეტინებს ტიგრანა.

— დაახლოებით აგრეა, ასეთი ღიპა
საფლავი 30 აქვს. შემდეგ იმ საფლა-
ვებს ყიდის... ქრთამს იღებს, — უხსნის
შოშია.

— არ დაუჯეროთ... ქრთამი რას მიქ-
ვია, ვაჭირვებულ ადამიანს რომ ხელი
მოგუშართო, და იმათ რომ პატივი
მცეს, ქრთამია ეგა?.. კითხულობს გან-
ცვიფრებული ანგელოსივით ლავრენტი
პავლეს ძე.

— ტყუილად გგონია მაგი შენ, მებუ-
რიშვილო, რომ გულს აგვიჩუყებ და
წმინდანით რომ ჩამოგიკიდი ეს პა-
ტიოსანი ჯვარი გულზე, რაც არ უნდა
იქადაგო, მაინც გადაგვარებული, ზნე-
დაცემული მექრთამე ხარ შენ. — ჩაე-
რია ლაპარაკში კიჭიკო გოგოლი“
(გვ. 77-78).

ციხის საკანში შემდეგ დიდი ამბები დატრიალდა, მაგრამ ამის შესახებ საუბარი არ არის ამჟამად ჩვენი წერილის მიზანი. ზემოთ მოტანილი ადგილის მიხედვით დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნოდარ დუმბაძემ თავის ახალ რომანში დაუნდობლად ამხილა მექრთამეები, დანტე ალიგიერის მსგავსად ჩაყარა ისინი ჯოჯოხეთში და ალაპარაკა მათ მიერ ჩადენილი მექრთამეობისა და სხვა ბოროტი საქმეების შესახებ. ეს არის მექრთამეების მხილება თვით მექრთამეების თვითმხილების ჟორნალში.

მექრთამის გრძნობად-კონკრეტული სახეა ნაჩვენები ბათუმელი პროზაიკოსის გიორგი ლორთქიფანიძის მოთხრობაში „ცხოვრების კარიბჭესთან“, რომელიც 1972 წელს გამოიცა. აქ მექრთამის სახეა ვახტანგ მამეიშვილი, მაღალი თანამდებობის პირი. იგი მექრთამეების უსტაბაში გამხდარა. ავტორი ოსტატურად ამხელს მის ბოროტ საქმიანობას და მკითხველებში იწვევს მისადმი ზიზღს. მოთხრობაში მრავალი სცენაა მოცემული, სადაც თვალნათლივ ჩანს ვახტანგის მექრთამეობა. ერთხელ, მაგალითად, ზღვისპირას გასეირნების დროს კლიენტს გამოართვა პაპიროსის კოლოფი, რომელშიც ეწყო დატკეპნილი თუმნიანები ათასი მანეთის რაოდენობით. შემდეგ საჩუქრად მიიღო ათას ხუთას მანეთად ღირებული სამაჯური, რომელიც ოქროთი და ბრილიანტებით იყო შემკული. ეს ქრთამი აიღო ერთი პიროვნების სხვა, უფრო „შემოსავლიან ადგილზე“ გადაყვანის საფასურად. ვახტანგს ჰყავს შვილი ჯაბა, რომელიც ვერ ეგუება მშობლის მექრთამეობას. ვაიგო სამაჯურის ამბავი და ასეთი საუბარო გაუბა მამას:

— ეს ქრთამია მამაჩემო. გამაგებინეთ, ვინ ხართ, რატომ გინდათ თქვენი შვილი მუდამ იმის შიშში იყოს, ვინმემ არ წამოუძახოს და დედ-მამა არ შეუგინოს? ნუთუ არ იცით, რომ თქვენ იმასაც სძულხართ, ვისაც ეს ნავავი მო-

აქვს. ის ხომ კაცი არაა. ამ ბრილიანტებით თვალბეჭდით ნაცარს გაყრიოთ, თავის გზას იკაფავს, იგი არამზადაა, ბელნიერებას სალახანების ბაზარზე ფულით და ოქროთი ყიდულობს...

— რას რომავ, იცი რას ნიშნავს სალახანა? — დაიღრიალა ვახტანგმა.

— ზნედაცემულს, გაფუჭებულს, თუნდაც გათახსირებულს! — უბასუხა ჯაბამ.

მამეიშვილმა ამას კი ვეღარ გაუძლო და ისეთი სილა გააწნა, ეგონა ფეხზე ვეღარ დადგებოდა, მაგრამ ჯაბა ადგილიდანაც ვერ დასძრა. კიდეც მეტი, გაიღმა და მშვიდად მიუგო:

— მამა ხარ, ხურდას ვერ გაკადრებ. ისე კი, ვაჟაკმა სიმართლეს თვალი უნდა გაუსწოროს და სიმართლის მთქმელს ხელი არ უნდა მოუქნიოს“ (გვ. 73-74).

პატიოსნებისა და უსინდისობის შეჯახების ამაღლეგებელი ფაქტია. მეტად სიმპატიურია ახალგაზრდა კომკავშირელი ჯაბა, რომელიც იჩენს თანმიმდევრობას და ბოლომდე ამხელს მექრთამე მამას.

რამდენჯერ სცადა ვახტანგმა შვილის გულის მოგება, ერთხელ დღესასწაულთან დაკავშირებით შესთავაზა ამხანაგეები მოეყვანა სახლში და ფულიც მისცა ორი თუმანი — დღესასწაულზე დაგვირდებო.

— მამა, სახლში ამხანაგებს არ მოვიყვან.

— რატომ?

— კარგ ხასიათზე არიან და არ მინდა გული დავწყვიტო.

— ეს რას ნიშნავს?

— არაფერს, შენ გიფრთხილდები. მაგათაც ჰყავთ მამები, მაგრამ მუზეუმები ვერ გაუხსნიათ ოჯახებში. არ იტყვიან ეს ვინ ყოფილაო? მე მრცხვენია!.. რა ვქნა!

— ფული მაინც წაიღე, ბიჭო!

— ჩემს მოსაწყობად შეინახე, — ცივად მიუგო ბიჭმა“ (გვ. 81-82).

აქ შემთხვევით არ არის ნახსენები სიტყვები „ჩემს მოსაწყობად შეინახე“.

მართლაც, მშობლებს სურთ ჯაბა სამედიცინო ინსტიტუტში მოაწყონ და ამისათვის აგროვებენ ქრთამად მისაცემ ფულს. განსაკუთრებით თავადადებულისა ჯაბას დედა ლეილა. კიდევაც სცადა მისი განხორციელება, თბილისში ჩავიდა და ვილაც თაღლითის ანკესზე წამოეგო. ჯაბამ ამხილა ის მექრთამე და თავისი ცოდნით მოეწყო ინსტიტუტში. ჯაბას კონფლიქტი მშობლებთან იმით დამთავრდა, რომ მან კავშირი გაწყვიტა მექრთამე ოჯახთან და დაადგა დამოუკიდებელი, პატიოსანი ცხოვრების გზას. დაბეჯითებით უნდა ითქვას, რომ გ. ლორთქიფანიძის ეს ახალი ნაწარმოები ღრულთა, ეხება თანამედროვეობის მღელვარე საკითხებს, დაუნდობლად ებრძვის მექრთამეებს და ახალგაზრდაში ნერგავს სიყვითისა და სიმართლის გარღვევად გამარჯვების რწმენას.

მექრთამეები მრავალჯერ გაუკენწლავს პოეტ შოთა როყვას თავის ლექსებში. ლირიკული გმირი აქ ზოგჯერ იუმორისტულად, ზოგჯერ სატირულად გმობს ხალხის მტრებს და მათ შორის მექრთამეებსაც.

ავტორს ეხერხება იგავ-არაკის გამოყენება. როგორც ცნობილია, იგავ-არაკის თავისებურებას ის წარმოადგენს, რომ აქ უმთავრესად ცხოველებისა და მცენარეების გამოხატვის საშუალებით ნაჩვენებია ადამიანთა ურთიერთობა. ამ სახის ნაწარმოებს აქვს უდიდესი მნიშვნელობა ადამიანთა ზნეობრივი აღზრდისათვის. იგი დამრიგებლობითი ხასიათისაა. ასეთია, მაგალითად, შ. როყვას ლექსი „დათვი და მგელი“.

ცხარმა დათვთან მგელს უჩივლა:
— აგვიკოლო წუწკმა მგელმა,
სულ ქრთამებით გაგვატყავა,
ამოგვაგლო საძაგელმა.

ამას წინათ ჩვენი ბატონები წაიყვანა ისეთები, რომლებიც მარგალიტის თვალად ღირდაო. გთხოვთ მოგვაშორეთ და ჩვენგან სანაცვლოდ რაც გნებავთ ის

მიიღეთო. დათვიც შეპირდა: მგელს და ვიბარებ და ტყავს გავაძრობო:

და კიდევაც დაიბარა,
დათუნიამ წუწკი მგელი,
იმისთანა თქვენს მტერს, რაც მას
დღე წაჰკიდა საშინელი...
მაგიდაზე მუშტი დაჰკრა...
შენ წუწკო და ვირისთაო,
ამდენ ქრთამს თუ იღებ მართლა,
მე რა ცოტას მიზიდავო.
(იხ. შ. როყვა, აიწონა-დაიწონა, 1962, გვ. 36).

როგორც იტყვიან, აქ კომენტარი საჭირო აღარ არის.

შესანიშნავია ლექსი „ეზოში ავი ძაღლია“. შეშინებული მექრთამეები ავძაღლს იყენებენ ხოლმე მცველად და ეზოს კარზე აკეთებენ წარწერას — „ეზოში ავი ძაღლია“. შ. როყვა აღნიშნულ ლექსში სატირულად გმობს ასეთ ავძაღლიან მოსახლეებს. ავტორი გვიყვება, რომ ეზოს კარზე წარწერა დაუნახავს და შეჩერებულა, უკვირს თუ რა საჭიროა ავი ძაღლები. ეზოს ვინ ელის მპარავი, თავდამსხმელი და ამკლები: „ძმობას, ერთობას ვქადაგებთ, რად გვიწინდა ავი ძაღლებიო“. მშვენიერი ეზოა, მანქანა დგას, ლირიკული გმირი გაკვირვებულია, ავი ძაღლი აქ რა შუაშია? ამ კითხვას პასუხი გასცა იქვე მდგომმა ყავარჯინანმა მეზობელმა:

განა მიხვედრა ძნელია?
ძაღლი კი არა ეზოში
ავგული მასპინძელია.
აქეთ და იქით ძვრებოდა,
სხვათა და სხვათა წყალობით,
ეგ სახლი აგებულია
ქრთამით და მამაძაღლობით.
განა დაზვასთან შრომობდა,
განა ხნავდა და ბარავდა?
საწყობებს ღრღნიდა თავივით,
ცემენტს და ფქვილს იპარავდა.
დღისით ძაღლითა გვაშინებს,
რადგანაც თავად ქორია,
და ყველა ამვლე-ჩამვლე
მასავით ქურდი ჰგონია.

(გვ. 37-38).

ეს ლექსი იდეურად ჯანსაღია, გამს-
ჭვალულია კომუნისტური პარტიულობის
სულისკვეთებით, ამასთან მისი გამომსა-
ხველობითი საშუალებები — მეტაფო-
რები, შედარებები, რითმები მაღალმახ-
ტერულია.

პოეტი ფრიდონ ხალვაში აღშფოთე-
ბულია მექრთამეების მოქმედებით. ამის
იშვიათი პოეტური ნიმუშია მისი ერთი
უსათაურო ლექსი, რომლის პირველი
ტაეპია — „და არა მარტო სიტყვა იფე-
თქებს“. აქ პოეტი ამბობს მექრთამეებ-
ზე:

იმათი ყალბი ხმები მახლეებს,
ნუთუ სენია, ნუთუ გაიარს?
ტკივილით ვუმზერ იმათ სახეებს,
როგორც ტალახში დასვრილ ბაირაღს.
ზოგ-ზოგს ვიცნობდი, ახლო ვიყავი,
ზოგი ჩემსავით გლეხის შვილია,
მაგრამ გაქარდა, მძიმე ნიღაბით
შორიდან მივლის და ეშინია.

პოეტი უდიდეს სიძულვილს განიცდის
ამ არაკაცებისადმი. სჯერა, მათდამი ზი-
ზლი იმდენად დიდია, რომ წალეკავს მე-
ქრთამეებს:

და არა მარტო სიტყვა იფეთქებს,
ბოღმით ნათენი და ნაავდრალი,
მექრთამეების უკმეხ სიფათებს
დაეძგერება მუშტი მართალი.

(იხ. ფრ. ხალვაში, ლექსები და
პოემები, 1972 წ. გვ. 109).

ახლა პოეტის სიტყვები. დღეს, მექრ-
თამეების უსირცხვილო სახეებს უფრო
მძლავრად დაეძგერა ხალხის მუშტი მართალი.
ზიზლი იმდენად

ჩვენი წერილი გვსურს დავამთავროთ
იმაზე მითითებით, რომ ასეთ მყლაპავ-
თა შესახებ აკაკის დაწერილი აქვს შე-
სანიშნავი მოთხრობა-ზღაპარი „კუჭია“.
ერთხელ კუჭმა ყველაფერი ჩაყლაპა, მა-
გრამ ვერ მოინელა და ბოლოს გასკდა,
ყველაფერი გადმოყარა. კუჭიდან გამო-
ვარდნილმა მეჩონგურემ ასე დაამღერა
ჩონგურზე:

სულსვაგი და ღორმუცელა,
ძალდაპირა „კუჭიაო“,
უსამართლოდ ჩანაყლაპი
ყველა თურმე ფუჭიაო.

(აკაკი, ტ. 8, გვ. 160).

ამ შესანიშნავ განაჩენს მხოლოდ იმას
დავუმატებდით, რომ ჩვენს დროში ეს
ყველაფრის მყლაპავი კუჭი მისით არ
გასკდება, იგი ვინმემ უნდა გახეთქოს და
ასეთი ძალა შეიძლება იყოს და არის
ხალხის რისხვა. ამ რისხვისა უნდა ეში-
ნოდეს ყველა მომხვეჭელ-მექრთამეს,
უსინდისო პიროვნებას.

ისინი ვერ ასცდებიან სამართლიან სა-
სჯელს. დიდებულად უთქვამს შოთა რუ-
სთაველს: „ქმნა მართლისა სამართლი-
სა, ხესა შეიქმნს ხმელსა ნელლად“.



აპთანელიც ნიკოლეიშვილი

პოეტის ცხოვრების მიმწუსრის სავანე

სიმონ ჩიქოვანის პოეზიის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანთვისება, რომელიც იმავდროულად ქართული პოეზიის თემატური ხილვადობის გაღრმავებაცაა, გზის თემის ორიგინალურ-მხატვრულ გააზრებაში გამოიხატება. მთლიანობაში წარმოდგენილ სიმონ ჩიქოვანის პოეტურ მემკვიდრეობას გეოგრაფიული მასშტაბებით თუ გავანაწილებთ, დავინახავთ, რომ პოეტი გამოხატავდა როგორც ჩვენი სამშობლოს ცალკეულ კუთხეთა თვითმყოფად შინაგან მშვენიერებას, ასევე მსოფლიოს ფართო შარაგზებზე გამოსული საბჭოთა მწერლის პოეტურ შთაბეჭდილებებს. შემოქმედებითი ფანტაზიის ამგვარი განლაგება და ციკლური გაერთიანებანი უფრო ღრმად და ტევადად წარმოსახავს ცალკეულ კუთხეთა კოლორიტულ სილამაზეს.

აჭარის ბუნების, მისი ისტორიული და თანადროული ყოფის პოეტური გააზრება სიმონ ჩიქო-

ვანის ლირიკის ერთ-ერთი ძირითადი მოტივი გახდა. ჯერ კიდევ შემოქმედებითი სიმწიფის ფორმირების ადრეულ ეტაპზევე, პოეტმა მოგვცა ისტორიული ავბედობის წიაღიდან გამოსული საბჭოთა სინამდვილის მშენებელი მშრომელი ქალის სახე. ლექსში „ჩადრიან ასულთან გაბაასება“ ავტორმა მოახერხა ერთმანეთისათვის შეერწყა წარსულის ტრაგიზმი და თანამედროვეობის ამაღლებული რომანტიკა. ოციანი წლების დასაწყისში ბათუმში ჩასული პოეტის თვალს, პირველ ყოვლისა, ხვდება ჩადრიან ასულთა სიმრავლე. ეს ხილვა ხდება იმ სევდიანი განწყობილების მიზეზი, რომელიც მას ეუფლება. ერთ-ერთ ასეთ ასულს გამოელაპარაკა პოეტი, ჰკითხა ქედაში მიმავალი გზა, მაგრამ პასუხად დუმილი მიიღო მხოლოდ: „შენს სავასუხო ხმას ვერ ვეღირსე, მზის ჩასვლა ჩანდა თუ მთის ბინდობა“, — ასეთი მაღალმხატვრული პოეტური

სახით გადმოსცემს ავტორი უცნობი ასულისაგან გამოწვეულ სევდას. გავიდნენ წლები და ბათუმის სილამაზეს ლაზათს მატებენ თვალმოციმციმე ქალიშვილები. გამქრალა ჩადრი, როგორც სიმბოლო მწუხარებისა. მაგრამ პოეტი ჩადრისადმი გულგრილი ვერ დარჩება, მის შრიალში მას ესმის გარდასულ წელთა სისხლიანი გოდება, რომელიც უფრო ადრე, 1925 წელს დაწერილ ნაწარმოებში გამოიხატა. ლექსში, რომელსაც ჰქვია „სიდუ“, მოცემულია ქართველი ქალის სტამბოლში გატაცების ტრაგიკული სურათი, ფაქიზი პოეტური ფერებითაა გამოძერწილი გატაცებული სიდუს მორალურ - პატრიოტული შეგნება. მიჰქრის ღამის სიბნელეში ჩაძირული ნავი, ბორგავენ შავი ზღვის ტალღები, რომელთაც სიდუს ცრემლები ერთვიან და ნავზე თურქული ჩრდილი ტორტმანებს. ამ ნავმა კიდევ ერთი ქართველი დააობლა სამშობლოთი...

აჭარისადმი მიძღვნილ ლექსებში სიმონ ჩიქოვანმა ახლებურად დაამუშავა საზღვრის თემა. მათში პოეტმა ჰემმარიტი მამულიშვილის თვალთ დაინახა ისტორიულად საქართველოს კუთვნილ მიწაზე მოსახლე ღარიბი ლაზის სულიერი ტკივილი და სიმარტოვე. ისტორიის ჩარხი ბრუნავს და იცვლება ცხოვრება. საზღვარს აქეთ მოქცეულ ქართულ მიწაზე სიცოცხლე აყვავდა და გაიფურჩქნა, ჩამოშორდა თალხი ლამაზ მთა-გო-

რებს და ოქტომბრის ელვარებამ გაანათა მშრომელი კაცის საუკუნობით დაჩაგრული გული. მაგრამ სხვაგვარია საზღვრის იქით დარჩენილ მოძმეთა ბედი. ლაზის მიერ კაუზე გაკრული საკვესის სუსტი ალი ვერ გაანათებს მის სულში ჩაწოლილ უიმედობის სიბნელეს. საზღვართან მისული პოეტის მეხსიერებაში ცოცხლდებიან გარდასული ავბედითი წლები. მარადიდში დამკვიდრდა სიცოცხლე და სიკეთე, წამომართულან წაბლის ოდები, მაგრამ ხიდგაღმაც ხომ მარადიდია, როგორ სურდა პოეტს ხიდგაღმა ღვიძლი ძმა ჰყოლოდა, გაეწვდინა მისთვის მეგობრული ხელი და აქაური თანამოსაქმეებივით ისიც მხიარული ყოფილიყო. დიდი არ იქნებოდა ამ ლაზის სურვილი, მისთვის, როგორც რიგითი პატიოსანი მშრომელისათვის, საკმარისი იქნებოდა ლამაზი წაბლის ოდა, თბილი ფუძე და თხების ფარა. ღრმა თანაგრძნობით გამსჭვალულ სტრიქონებს უძღვნის პოეტი გაღმა ქოხში დამკვიდრებული ცრემლის ცხოვრებას.

საზღვრის მტკივნეული ტრაგედიის განცდა კიდევ უფრო მძაფრად იგრძნობა სოფელ სარფში. შუაზე გაყოფილ ეს სოფელი პოეტს ორად გაჭრილი გულისათვის შეუდარებია. გაღმა სიჩუმეა, თითქოს იქ უფრო ადრე ეშვება ღამის წყვილი და არც მაღლის ყივილი ისმის, გარემო რომ გამოაფხიზლოს. თითქოს გადამქრალა სიცოცხლე, გაღმელი

მოძმის ოჯახში სულს ღაფავს თა-
ფლის სანთელი და მომაკვდავი
თვალივით ბეუტავს.

მოჭრილ ძუძუს ჰგავს წყლის გაღმა
სარფი,

მათში ვაცეცებ ცრემლიან თვალებს,
ცაცხვის ყვავილში დამშრალა თაფლი
თუ შესევია ფუტკარი მთვარეს...
ორ ნაპირს შორის დაღლილა ტალღა,
გამწყდარა ჩუმი სიცოცხლის ძაფი,
რამ დაადუმა ჰადარი გაღმა,
ხმა ჩაუწყდა თუ ამოშრა სარფი?

ეს ლაზი ხშირად იცქირება აქე-
თკენ და შენატრის გამოღმელ მუ-
ხას, რომელსაც ფართოდ გაუშ-
ლია რტოები. ამ მუხის ფესვები-
სათვის არ არსებობს საზღვარი.
იგი თავისი ფესვებით გაღმისკენ
მიიწევს, რათა უფრო ამაყად იმ-
რილოს და ლამაზი ოცნება ასა-
ზრდოს.

ერთ-ერთი საუკეთესო ლირი-
კული ლექსია „მეზმანებიან ლა-
ზები ზღვაზე“. ზღვის პირას გან-
მარტოებული პოეტის ხსოვნაში
ირევინ მოძმე ლაზთა უცნობი
სახეები, რომელთაც ჰოროხთან
წამოწვევიათ თურქული ღამე. მუ-
მლი დახვევია მათ ოცნებებს და
ისმის ჩუმი გოდება თუ მწუხარე
სიმღერა ზღვისფერი ცრემლით
თვალავსებული ლაზისა. პოეტი
მოუხმობს მათ მახლობელ აჩრდი-
ლებს და ბრძოლისაკენ მოუწო-
დებს. ლაზური ხომ ქართულის
რტო არის.

საბჭოთა ხელისუფლების წლე-
ბში აჭარა განახლებისა და აღო-
რძინების ფართო შარავნაზე და-
დგა. სიმონ ჩიქოვანის პოეზია

სწორედ ამ გარდატეხისა და უკვ-
დავყოფის მეხოტბე გახდა. აჭა-
რისადმი მიძღვნილ ლექსებში
ყველაზე მკაფიოდ ჩამოყალიბდა
სიმონ ჩიქოვანის მსოფლმხედვე-
ლობრივი თვალსაზრისი, ადამია-
ნური ცხოვრების არსზე დაფიქ-
რება. აჭარაზე შექმნილი ლექსე-
ბის ციკლი — „შემოდგომის
დღეები“ პოეტური სიმწიფის
ფაზაში იწერებოდა. ამიტომაცაა,
რომ მასში პოეტმა ღრმა აზრობ-
რივი ქვეტექსტებით დატვირთა
მოახლოებულ მიმწუხარზე ფიქრი.
„ლექსების ამ პატარა ციკლში, —
წერს რევან ჯაფარიძე, — პოე-
ტმა საკუთარი ბიოგრაფიის ყვე-
ლაზე უფრო დრამატული მონაკ-
ვეთები ჩაატია, ხოლო ეს ბიოგ-
რაფია, თავისი ფეხით განვლილი
ცხოვრების გზა, მთელი თაობის
გზად გააცოცხლა მკითხველის წი-
ნაზე და ამით დიდი საქვეყნო სა-
ტივარის ფართო განზოგადება
მოგვცა“. აჭარის პოეტურ დღიუ-
რებში მკვეთრად გამოვლინდა სი-
მონ ჩიქოვანის ლირიკული დრამა-
ტიზმის სიმძაფრე, კონკრეტული
მიმართებები ლექსებისა ზოგად
მასშტაბებს შეერწყა და ადამია-
ნურ ტკივილთა განზოგადებამ
ახალი ჰორიზონტები მოიპოვა.
ყველა ლექსს სინანულის, სიშო-
რის, რაღაც ძვირფასთან გამოთ-
ხოვების ტკივილი აზის. ეს ტკივი-
ლი უაღრესად მართალია და მხო-
ლოდ ავტორის სულიერი სამყა-
როს ანარეკლი როდია. თითქმის
ყველა ლექსი შემოდგომის მიმ-

წუხრიდან დანახული სამყაროა, მეგობრის ჩუმი ღიღინივით მოყოლილი — საღამოს მიმწუხრიდან განცდილი ზღვისპირეთის პეიზაჟების მშვენიერებაა. ამ სიჩუმეში გარინდებულ ლირიკულ გმირს ისევ სიცოცხლის მძაფრი სურვილი იპყრობს; „ზღვისპირას მიჰქრის მატარებელი და ქრება იჭვით სავსე სიჩუმე“. იჭვით სავსე სიჩუმისა და მატარებლის სიმბოლური გააზრება სიკვდილ-სიცოცხლის შინაგანი ჭიდილის ახლებური ასოციაციური მიმართების ფორმაა. მატარებელმა პოეტის სულში ალაგზნო მინავლული მოგონებანი, ერთხელ კიდევ დადგა ამ მოგონებებთან გამოთხოვების მყუდრო საღამო. ეს გამოთხოვება გაფრენილი სიყრმის ნაბიჯების ძიებასთანაა დაკავშირებული. გარესამყაროს პეიზაჟურ აღქმაშიც მსგავსი, სიმბოლური დეტალებია დაჭერილი, რითაც გამძაფრებულია აზრობრივი ქვეტექსტი. ფსკერამდე დასულა დოქში სიცოცხლის წყალი და აი, მიდის პოეტი წყაროსაკენ ახალი რწმენით ასავესებად. გზა კი შორია და ირგვლივ ჩრდილები აფენია, ცვივიან შეყვითლებული ჭადრისა და ცაცხვის ფოთლები და ცაზე წეროები მიფრინავენ.

აჭარაში, ზღვის პირას განმართებული, სიყრმისდროინდელი მოგონებების ნაკვალევს ადევნებული პოეტის სულიერი სამყარო სიცოცხლის მძაფრი სიყვარულითაა გაყდენთილი.

ზღვის მომიჯნავე მამულის კუთხვე, მოველ და გიძვენ წრფელი მადლობა. ჩემო აჭარავ, მწუხრზე მაკურთხე, კვლავ დამიბრუნე ახალგაზრდობა შენ დამიმშვენე მტევნებით ვაზი, ზღვა—აფრებით და მთები—ფერებით, ხან ჩემს სტრიქონებს ფეხს
წაკრავ გზაზე,
ხან კი ხელთ იღებ და ეფერები.

მსგავსი სიახლოვე აჭარასთან, ზღვის უსასრულო ლივლივთან, სივრცეში გარინდებულ მთებთან თუ საღამოს ნათელ ბინდში გახვეულ მეწამულ დაისებთან ახალი რწმენითა და ვნებათაღელვით აღავსებს შემოდგომის ფანტაზიას.

ცხოვრების ავ-კარგს ლექსების ამ ციკლში სიმონ ჩიქოვანი სოფლის მშრომელი ადამიანის თვალთახედვიდან აღიქვამს. ხალხია ყველაფრის შემფასებელი, სოფლის პატიოსნება ყველაზე ძვირფასი და წმიდათაწმიდა განძია. „ხალხის ცხოვრების ალაყაფს ვაღებ და ზრახვებს სოფლის სასწორზე ვწონიო“, — ამიტომაც ამბობს პოეტი და გარეგნულად ძუნწი, მაგრამ ღრმა შინაგანი ვნებათაღელვით გადმოსცემს ლირიკული გმირის სულიერ სწრაფვას.

მალა აწეულ ჭილის ქუდებით მოგონებები მხვდებიან მთაზე, მე, ხანდაზმული, ზღვასთან ვბრუნდები და შენ სხივების ძნა მითავაზე. მწყურვალი ვარ და მიავგაროზე, ნუ დამიტოვებ სურას ცარიელს. მე უკვდავების წმინდა წყაროზე ჯერ ერთი პეშვი წყალი დავლიე.

ეს შინაგანი უკმარობა შეუფერებელი გამხდარა იმ მდგომარეობისათვის, რომელიც შემოდგომის

მიმწუხრს მოჰყოლია. ხშირია სევდა და მოწყენა, რომელსაც ზოგჯერ თავდავიწყება ამსხვრევს. ეს თავდავიწყება კი იბადება მძაფრი სურვილიდან, — რაც შეიძლება მეტი სიკეთე მოასწრო, მეტი ლამაზი ფერი დაუტოვო სამშობლოს, თორემ გასულა ცხოვრების შუაღლე, ჭკნობა შეპარვია შეყვითლებულ ფოთლებს და სულში ფოთოლცვენა შრიალებს. ამქვეყნიდან მიმავალ პოეტს კი დიდი სიკეთე, ბევრი აუხდენელი სურვილი და შიში მიჰყვება თან, შიში საკუთარ თავში დაეჭვებისა.

თქორი გაქრა და შარა მშრალია,
მცირე საგზალი მიღვეს აბგაში,
ჩემს სულში ქარვის ქარიშხალია,
მცირე იჭვი და ჩუმი განგაში.
მე ერთი ლუკმა პური მეყოფა,
ფინჩხა ყველი და ჭინჭილით ღვინო
და თუ შარაზე ღამემ შემლობა,
არ მეძინება, რად დავიძინო?!

ახლა მეტია საზრუნავი, პოეტი მძაფრად გრძნობს ღროის უკმარობას, ხშირია სევდაც და სინანულიც, თორემ მიდის ღრო, თვალსა და ხელს შუა დნება წუთისოფელი. სიცოცხლე სავსეა მწუხრის შრიალით, მაგრამ არის სურვილი მეორედ თესვისა, სულის და ვნების განახლებისა, ამ სურვილს გრძნობს ტკივილამდე პოეტი ცაცხვის დაცვენილი ფოთლის თრთოლვაში თუ ნეშოსავით მოშრიალე ზღვის ხმაურში.

მთა გავთიბე და ქარს მიაქვს თივა,
დამჰქნარა ნაზი ჩემი პირიშუე.
შორს ფართო-ფართო ფოთლები
ცვივა

და მთით ვეშვები ვიწრო ბილიკზე.
როგორც მწუხარე ჰანგი შობენის,
მე შემოდგომის შრიალი მესმის,
მიდის და მიდის წუთისოფელი
და მაინც ღროა მეორედ თესვის

სიცოცხლის ღრმა რწმენა, ნათელი ოპტიმიზმი, კეთილ საქმეთა უკვდავყოფა სიმონ ჩიქოვანის ლირიკის ამოსავალი წყაროა. მისი პოეზია განმსჭვალულია ჯანსაღი სიყვარულით სამშობლოსადმი, მშობლიური ხალხისადმი. პოეტმა თავისი შემოქმედება ფერდობზე მორაკრაკე მაცოცხლებელ წყაროს შეაღარა. მას ღრმად სწამდა: რომ ამ წყაროსთან მისი სიკვდილის მერე მოვიდოდნენ ადამიანები, შესვამდნენ მაცოცხლებელ წყალს და მოიგონებდნენ მათს სიყვარულში დაფერფლილი პოეტის გულს.

ფილოსოფიური გააზრების სიღრმითა და ლირიკული წარმოსახვის სიმძაფრით სიმონ ჩიქოვანის ლექსების აჭარული ციკლი მიღწევაა ქართული საბჭოთა პოეზიისა. ამ ციკლში მკაფიოდ გამოიკვეთა შემოქმედის იდეური და მორალური სახე. მისი ამაღლებული ვნებათღელვანი, საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი კუთხის — აჭარის ბუნების კოლორიტული მშვენიერება. ასოციაციურ მიმართებათა ფართო მასშტაბურმა გაშლამ ს. ჩიქოვანს საშუალება მისცა უფრო შთამბეჭდავად და ემოციურად გამოეხატა სათქმელი. „ჩემს სულში ჰქონდა სათავე ჭოროხს, დავშორდი, მაინც ჩამრჩა ფესვე-

ბიო“, — წერს ერთგან პოეტი. ამ ფესვების მონატრებამ, სიყრმის ოცნებათა იღუმალმა ძახილმა მოიყვანა იგი აჭარის მთებში; დადის ნარინჯოვან ფერდობებზე და მოგონებათა საუფლოში გარდასული გასცქერის მიდამოს, სოფლის ბილიკებზე თითქოს ფეხი აუდგამთ განვლილ წლებს. გასულან დღენი ხალხის სიყვარულში, დაბერებულა მგოსანი და თმებში ჭალარა გარევიან, ირგვლივ კი ისევ სიჭაბუკეა და პოეტს სიცოცხლის მძაფრი წყურვილი იპყრობს.

ჩემი წარსული ამ მთებში ცხოვრობს, მთები უმღერენ როგორც ღმერთები, მე ვეჯიბრები სირბილში ჭოროხს და სიჭაბუკის წლებს ვუერთდები.

აჭარის ბუნების მშვენიერების ხატვის დროს სიმონ ჩიქოვანი გადმოგვცემს ამ კუთხის კოლორიტულ თვითმყოფადობას. აქ ერთმანეთთანაა შერწყმული მთისა და ზღვის სილამაზის თავისებურებანი. ციკლში დახატული პეიზაჟები უშუალოდ ლირიკული გმირის შინაგანი განწყობილებიდან დანახული ბუნების სურათებია. როდესაც პოეტი მზის ჩამავალ მშვენიერებაზე და საღამოს ბინდში გარინდებული სამყაროს სილამაზეზე წერს, მკითხველის ყურადღების ცენტრში ექცევა ავტორის ცხოვრების სიმბოლური განცდა. მზე იძირება ზღვაში და მთები თითქოს თანდათან მიიწვევენ ზღვისაკენ, პოეტს ლექსში შემოაქვს უკიდურეს სიფაქიზეში გარდასახული ემოცია და მას რე-

ლიგიური იდილიის სიწმინდეს ანიჭებს. „მთები აწვდილან, როგორც ლოცვები, და ზღვა გაოთხმულა, როგორც ვედრება“, ხოლო შემდგომი გადრმავება სურათისა, ისტორიულ დეტალში პოულობს ლოგიკურ დასასრულს: „და მეჩვენება: მთები აჭარის მშვიდად გალობენ სარფის გარშემო“.

პოეტური შთაგონების ბუნებაში ძიება ფანტაზიას უფრო მეტ სილადესა და ლირიკულ სინაზეს ანიჭებს. პოეტის მიერ „აღმოჩენილმა“ შთამბეჭდავმა პეიზაჟებმა საშუალება მისცა სიმონ ჩიქოვანს თავი დაეღწია ტრაფარეტისა და დეკლარაციულობისათვის. ამით მან სათქმელი უფრო დამაჯერებელი, უფრო ლირიკული გახადა და თვისობრივად ახლებური ფორმით მიიტანა იგი მკითხველამდე.

მახინჯაური და მწვანე კონცხი,
ზღვა და ლაყვარდის გაშლილი ბადე,
დილით კოპწია, მიმწუხრზე მორცხვი,
გულის ორივე ერთგული მდადე.
შეყვითლება და სიწითლის რიდი,
ფერდაკარგული ცაცხვი და დაფნა,
ყველგან ბაასი წყნარი და მშვიდი
და ზღვაზე მარტოდ ქათქათა აფრა.
მსურს დავაღწიო სიწყნარეს თავი,
ღვლვა ავტებო ნიჩბების ცემით,
ზღვაურში მარტოდ შევაგლო ნავი
და ვატორტმანო სიცოცხლე ჩემი.

საგნობრივ დეტალთა ასეთი სწრაფი მონაცვლეობა და ურთაერთგადასვლა აქ ერთ მიზანს — მთლიანი განწყობილების შექმნას, მის შთამბეჭდავ გამოსახვას ემსახურება.

ზღვის პეიზაჟს სიმონ ჩიქოვან-
მა განსაკუთრებული სინაზე და
რომანტიკული ელფერი მიანიჭა.
ზღვის თემა ქართულ პოეზიაში
იმდენად ძუნწადაა წარმოდგენი-
ლი, რომ მისი წვლილი ამ თვალ-
საზრისით განსაკუთრებით თვალ-
საჩინოა. ლირიკული გმირის გან-
წყობილების მიმართება და სიახ-
ლოვე ზღვის უსაზღვრო სივრცე-
ებთან, ზღვა როგორც შთაგონე-
ბითა და ფანტაზიით ამვსები
მშვენიერების წყარო — სიმონ
ჩიქოვანის ამ თემაზე შექმნილი
ლექსების ლირიკულ საწყისებს
აძლიერებს. ზღვის პოეტურ ხილ-
ვებში ავტორი იძლევა მისთვის
სპეციფიკური სირთულითა და სი-
ღრმით ჩამოყალიბებულ მხატვ-
რულ სახეთა სისტემას. მეტაფო-
რულ ხილვათა ასოციაციური მა-
სშტაბები ახალ სივრცეებს პოუ-
ლობენ. პოეტის ფერწერა მკვეთ-
რი შტრიხებითა და რაფინირებუ-
ლი პეიზაჟური დეტალებითაა წა-
რმოდგენილი. ზღაპრულ-სიხშირი-
სეული განწყობის ფონზე დანა-
ხული პეიზაჟი ჰაეროვანების შე-
ვრძენებას უფრო მძაფრს ხდის.

ზღვა ნაწვიმარზე ადრე მწუხრდება,
მებადღურებმა დასძრეს სანდლები.
მთვარის ამოსვლა აფრებს უხდება,
თითქო ანთია ზღვაზე სანთლები.
ზღვა თითქო ნაპირს ემუდარება,
გულში ქარიშხლის მიპყრობს ეჭვები.
ზღვა ცას, მოკენჭილს, დაედარება,
და დაცურავენ ზღვაში კენჭები.
სანდლების მწკრივი მიეშურება,
ზღვა დამშვიდდება ალიონამდი,
დილით გააღებს თვალებს ბუნება
და მზე შემოვა, როგორც ხომალდი.

ზღვა არის დაუსრულებელი
ფიქრისა და ოცნების წყარო. სი-
ცოცხლის შემოდგომის შემს-
ფოთოლცვენის იდეალური შრი-
ლის დროს, ზღვის პირას განმარ-
ტობა და ფიქრი ჩამავალი მზის
მშვენიერებაზე ღრმა სიმბოლუ-
რობით მოსავს სიმონ ჩიქოვანის
პოეზიას. თავისი ცხოვრების მიმ-
წუხრის სავანე პოეტმა ჩამავალი
მზით აფერადებული ზღვის ლაყ-
ვარდებიდან აღიქვა და განიცადა.

ზღვისპირეთის კოლორიტული
სილამაზის ხატვის დროს ს. ჩი-
ქოვანი უხვად იყენებს ამალღე-
ბული განწყობილებით შეზავე-
ბულ ახალ-ახალ საღებავებს. თი-
თქმის ყოველ ლექსში, რომელიც
ზღვისადრე მიძღვნილი, მიმწუხ-
რის ლობრში განცდილი ზღვისპი-
რეთის მშვენიერებაა მოცემული.
თავისებურ სიმბოლიკასთან ერ-
თად პოეტი ცდილობს შექმნას
სინაზითა და მსუბუქი სევდით გა-
ყლენთილი ლირიკული განწყობი-
ლება. ზღვა უშუალოდაა შერწყ-
მული იმ მხარის ბუნებასთან, სა-
დაც იგია დანახული. პოეტი ხაზს
უსვამს კოლხური ბუნების თავი-
სებურ ელფერს, აქ ზღვა ალვის
ხეებისა და ევკალიპტების შრი-
ლითაა მოსილი. ირწვევიან ცად-
ატყორცნილი ალვის ხეები და
რტოთა შრიალით ზღვის ტალღე-
ბის ხმაურს ბაძავენ თითქოს. ალ-
ვების მშვენიერება პოეტს იმდე-
ნად განუყოფლად აქვს ზღვას-
თან შერწყმული, რომ მათი ერთ-
მანეთისგან გათიშვა წარმოუდ-

გენელია. ამ განუყოფელი მთლიანობის პოეტური დასკვნა ასეთია: „ალამაზებენ მზის ჩასვლას ზღვაზე და მზის ამოსვლას უმღერენ ნანას“.

ზღვისპირეთის პეიზაჟების ხატვის დროს სიმონ ჩიქოვანმა ხაზი გაუსვა შრომითი განახლების იმ რომანტიკას, რაც თვალშისაცემია ამ ადგილების ნახვის დროს. ამ თვალსაზრისით „ევეკალიპტები“ ერთ-ერთი საინტერესო ლექსია პოეტის შემოქმედებაში. თეთრი მერქნებით და გაშლილი რტოებით ჩამწკრივებულან ევეკალიპტები ზღვის პირას და ბუნების სილამაზეს განუმეორებელ კოლორიტს მატებენ. მაგრამ ამ პირველყოფილი სილამაზის წმინდა ესთეტიკური განცდის მიღმა ლექსში ხაზგასმულია შრომისა

და განახლების რომანტიკული შეგრძნება, ორიოდე შტრიხით მოცემულია საბჭოთა მშრომელის გმირული შრომითი შემართება.

სიმონ ჩიქოვანის აჭარაზე დაწერილი ლექსები ქართულ საბჭოთა პოეზიას ახალ შუქსა და ელვარებას მატებენ. მათში მკაფიოდ ჩანს ქართველი პოეტის მაღალი მოქალაქეობრივი შეგნება, მისი გულწრფელი სიყვარული სამშობლოსადმი, ჩვენი ხალხის წარსულისა და დღევანდლობისადმი. ლექსების ამ ციკლით სიმონ ჩიქოვანმა კიდევ უფრო გააღრმავა მისი პოეზიის რთული და თვითმყოფადი სამყარო, წინ წასწია ქართული ლირიკის ადრეული ტრადიციული ხაზი, ახალი ფერებით გაამდიდრა ქართული საბჭოთა ლირიკული პოეზია.

მეჩაბ ბეჩიძე

ფილოლოგიურ მეცნიერებათა
კანდიდატი

ფოლკლორიზმი ლადო მრალაშვილის რომანში „ყაბახი“

ქართული მხატვრული ლიტერატურა, რომელიც აღმოცენდა ხალხური პოეზიიდან, გაიზარდა და დავაჟკაცდა მის უკვდავ და მაცოცხლებელ ტრადიციებზე. ამიტომ რა გასაკვირია, რომ ამ ორ მხატვრულ შემოქმედებით სფეროს შორის ოდითგანვე, ყველა დროსა და ეპოქაში ურღვევი კავშირი და ურთიერთგავლენა არსებობდა. ეს ურთიერთობა განსაკუთრებით განმტკიცდა საბჭოთა პერიოდში, რადგან სოციალისტური რეალიზმის ნოვატორობა უცილობლად ემყარება ხალხურ რეალისტურ ტრადიციებს.

მაგრამ, როცა ამ ურღვევ კავშირს ვეხებით, ჩვენ ის წარმოდგენილი და გაგებული როდი გვაქვს, როგორც ყოვლისმომცველი და ერთგვაროვანი მოვლენა

ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში. უფრო მეტიც, ქართველ მწერალთა შემოქმედებაში ეს კავშირი განსხვავებულად, სხვადასხვანაირად ვლინდება. ასე, მაგალითად, ზოგიერთი მწერლის შემოქმედებაში ის იმდენად მკაფიო და აშკარაა, რომ გარკვეულ ფოლკლორულ ნიმუშებად გვევლინება, სხვა მწერალთა შემოქმედებაში — უფრო ფარული, არაზედაპირულია. არიან მწერლები, რომელთა შემოქმედებაში ფოლკლორული ელემენტების ნასახიცი არ მელავნდება. ამიტომ ცალკეულ მწერალთა შემოქმედების შესწავლისას დიდი ადგილი ეთმობა ფოლკლორის პრობლემას და ჩვენც ანალიზის ობიექტად ამჯერად ავირჩიეთ ლადო მრალაშვილის რომანი „ყაბახი“, რომე-

ლსაც განვიხილავთ სწორედ ლიტერატურულ - ფოლკლორულ ლიტერატურის ურთიერთობის ასპექტში.

თანამედროვე საბჭოთა ქართულ ლიტერატურაში იშვიათად თუ მოიპოვება სხვა ისეთი ეპიური ნაწარმოები, რომელშიც ასე უხვად და მრავალფეროვნად იყოს წარმოდგენილი ხალხური პოეზიის თითქმის ყველა ძირითადი ჟანრი და მხატვრული თავისებურებანი, როგორცაა ლაღო მრელაშვილის რომანი „ყაბახი“.

ფოლკლორული მასალის ცალკეული ჟანრების, სიუჟეტების, მოტივების მოშველიება-გამოყენება ლიტერატურულ ნაწარმოებში მხატვრული სახეებისა და მოვლენების დახატვის ერთ-ერთი ნაცადი კომპოზიციური ხერხია. მწერალი შესანიშნავად გრძნობს ხალხური პოეზიის მადლსა და ბარაქას. დიდია მისი სწრაფვა ზეპირსიტყვიერების ტრადიციებისაკენ. ამიტომაც არის, რომ მის რომანში ასე უხვად, მაგრამ გემოვნებითა და ტაქტით არის გაბნეული ხალხის გენიით შექმნილი ხელისხელ საგომანები მარგალიტები.

ფოლკლორისადმი გამახვილებული ყურადღება, ინტერესი როდია გამოწვევლი მარტო სუბიექტური ფაქტორებით, როგორცაა ხალხურობის რომანტიკით გატაცება. ამას დიდი ობიექტური მიზეზები უდევს საფუძვლად, რომლებიც დეტერმინებულია მთელი მისი შემოქმედებით და გამომდინარეობს მისი მხატვ-

რულ-ესთეტიკური პრინციპებიდან, მისი თვალთახედვიდან.

რომანში „ყაბახი“ ლაღო მრელაშვილის მიერ ფოლკლორის მიზნის გამოყენება არ არის ვოლუნტარისტული. ავტორი ბრძანდ, ძექანიკურად, ანგარიშმიუცემლად როდი ესესხება ხალხურ პოეზიას. ეს ღრმა ანალიზისა და სკრუპულოზური შერჩევის შედეგია. ყოველი ნასესხები შერწყმულია ნაწარმოების ავტორისეულ შინაარსთან, გამომდინარეობს მისი ამოცანიდან, იდეიდან, დაკავშირებულია რომანის ფილოსოფიურ-პოეტურ კონცეპციასთან. ამიტომ ის ნაწარმოების კონტექსტში არ არის უცხო, უადგილო, შესისხლხორცებულია, ორგანულად ასიმილირებულია მხატვრულ თხრობასთან.

ჩვენი მტკიცება უსაბუთო რომ არ იყოს, მივმართოთ თვით ნაწარმოებს.

ლაღო მრელაშვილმა თავის ორტომიან რომანში საინტერესოდ გვიჩვენა დღევანდელი საკოლმეურნეო სოფლის ცხოვრება, დასამახსოვრებლად დახატა სოციალიზმის მშენებელი ადამიანები.

ცნობილია, რომ მხატვრული ლიტერატურის არსებით თვისებას წარმოადგენს ადამიანისადმი შეუხელებელი ინტერესი. ბალზაკი ლიტერატურას უწოდებდა „ადამიანთა გულების ისტორიას“,

1 ლ. მრელაშვილი, ყაბახი, I, „ნაკადული“, თბილისი, 1964; II, „მერანი“, თბილისი, 1969.

გორკი — „ადამიანთმცოდნეობას“. ლიტერატურა ამტიციებს ესთეტიკურ იდეალს და მიილტვის მშვენიერებისაკენ. ეს უკანასკნელი კი აისახება დადებითი გმირის საშუალებით. ამიტომ მარქსისტულ-ლენინური ლიტერატურისმცოდნეობა როდია გულგრილი ამ ესთეტიკური კატეგორიის არსის განმარტება-გამორკვევისადმი.

ქართული მწერლობა არ არის გამონაკლისი. მის ყურადღების ცენტრში ყოველთვის იყო და არის ადამიანი თავისი მდიდარი და რთული შინაგანი ბუნებითა და ფსიქოლოგიით. მაგრამ ეს ინტერესი და დაკვირვება თვითმიზნური არ ყოფილა. ადამიანის მხატვრული სახის წარმოსახვას დიდი ფილოსოფიური, ეთიკური და ესთეტიკური საფუძველი უდევს. ამჟამადაც ჩვენი ლიტერატურა წყვეტს ერთ-ერთ მეტად მნიშვნელოვან პრობლემას: ცდილობს მხატვრულად წარმოსახოს ახალი გმირის სახე, რომელშიც ჰარმონიულად იქნება შერწყმული გონების მთლიანობა და ადამიანური გრძნობების სილამაზე.

ლადო მრელაშვილის „ყაბახი“ მოწმობს იმას, რომ მისი ავტორი ისწრაფვის ჩაწვდეს თანამედროვე სინამდვილის რომანტიკას. ამ ნაწარმოების გმირი შავლეგო ახალი ადამიანია. მას დღევანდელი ცხოვრების აქტიური მშენებლების ყველაზე საუკეთესო თვისებები შეუსისხლხორცებია და

ამავე დროს მომავლის ადამიანთნიშნებიც ახასიათებს.

მიუხედავად მკაფიო ინდივიდუალობისა, შავლეგო წმინდა ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ფსიქოლოგიური თვისებების მატარებელია. ეს არის გულისხმიერება, ადამიანთა სიყვარული, პოვალობის შეგნება, იდეური თანმიმდევრობა და სიმტიციე, საქციელისა და განზრახვათა მკაცრი ანალიზი. შავლეგოს ქცევაში, ჩვევებში, გარეგნობაში, ძალაში, მოხერხებულობაში, მამაცობაში, გულკეთილობასა და სამართლიანობაში ვლინდება ხალხური ეპოსის გმირების, ჩაგრულთა მოსარჩლეების — ბაში-აჩუკის, კაკო ყაჩაღის, არსენასა და სხვათა ძვირფასი თვისებები.

აი როგორ აცნობს მკითხველს რომანის პირველსავე ფურცლებზე თავის გმირს მწერალი, როდესაც ქართულ ხალხურ ასპარეზობას — ყაბახს აღწერს:

„და ამ საერთო ორომტრიალში, როდესაც შუა იარუსი აიჯაგრა და შიგადაშიგ მუშტმაც გაიელვა, ვილაც წამოდგა და ხალხის შვიდპირი ტალღა გაარღვია. ძლიერმა ხელმა მოჩხუბარნი თავთავის ადგილზე მიალურსმნა და აიძულა პირი მოედნისაკენ მიებრუნებიათ. ხალხმა ერთი კაცივით თანაგრძნობის გმინვა ამოუშვა. აქა-იქ გაისმა ტაშის ცემაც.“²

თავის გმირის პორტრეტს მწერალი დასაწყისში ზოგადად გვი-

2 I, გვ. 5.

ხატავს. მიუხედავად იმისა, რომ ის რომანის პირველსავე ფურცლებზე გვევლინება ამბის გაშლის აქტიურ მონაწილედ, ჩვენ ნაწარმოების 115 გვერდამდე არ ვიცით მისი სახელი, ვინაობა. ვიცით, რომ ამ კაცს „ვეება გრძელი“, „ძლიერი მარჯვენა“, „გოლიათური მხრები“, „უზარმაზარი ზურგი“ აქვს, რომ ის „ძლიერი მხარულით აპობს მორევს“ და ასე შემდეგ.

ეს მხატვრული სახე გვაგონებს ხალხური ეპოსის გმირს. მათ შორის ბევრია საერთო, ნათესაური. როგორც ცნობილია, საგმირო ეპოსში ადამიანი — კეთილის მატარებელი — ჰიპერბოლიზებულია, ბევრი მისი თვისება განზრახ, ხაზგასმით, მძაფრად არის გამოკვეთილი და იდეალიზებული. ის ხალხის სიმბოლოა და ამიტომ მეტწილად აღწევს სასწაულებრივ შედეგს ბოროტთან ბრძოლაში.

შავლეგო ძალზე გავს ასეთ გმირს. მისი გარეგნობა, ფიზიკური ძალა და უნარი ამჟღავნებს გავიადებულია, ამ სიტყვის კარგი გაგებით. ეს როდი ვნებს მის მხატვრულ სახეს. ხალხური ეპოსის დადებითი პერსონაჟის შექმნის უძველესი და ნაყოფიერი ტრადიცია მწერალმა შესანიშნავად და შემოქმედებითად გამოიყენა და განაახლა. ამიტომ შავლეგო მოწყვეტილი და უცხო კი არ არის იმ სამყაროში, სადაც მოქმედებს, არამედ რეალური და ზედმიწევნით თანამედროვეა — იგი ჰკვირ-

ნი, განათლებული, კულტურული ადამიანია, სპეციალობით ფილოლოგი, ფოლკლორისტი. ასპირანტურაში შესვლამდე შავლეგო მშობლიურ სოფელ ჭალისპირში ჩამოდის. იგი ვერ ითმენს უწესრიგობას კოლმეურნეობაში, თავმჯდომარის თვითნებობას, კანონიერებისა და პარტიული დისციპლინის ელემენტარული ნორმების დაუცველობას, აქტიურად ერევა კოლმეურნეთა ცხოვრებაში, გავლენას ახდენს სოფლად მოვლენების მსვლელობაზე.

მომთხოვნელ მკითხველს, ერთი შეხედვით, პარადოქსულად თუ არა, ბანალურად მაინც მოეჩვენება მწერლის მიერ ასეთი გმირის არჩევა: სად ფოლკლორისტი და სად კოლმეურნეობის საქმეები. მაგრამ არა, შავლეგო ქართული სოფლის სისხლი და ხორცია. მარტო ეს როდი ხდის მას დროის გმირად. შავლეგო ასევე დაინტერესდებოდა ფაბრიკა-ქარხნების, მშენებლობისა და ტრანსპორტის მუშათა საქმეებით, მათ წრეში რომ მოხვედრილიყო. შავლეგოსათვის მთავარია ქმედითობა, ცხოვრებაში აქტიურად ჩარევა. მას ყველაფერი აინტერესებს, პასუხისმგებლობას გრძნობს ადამიანების წინაშე.

ჭალისპირში ბევრი უსაქმურია. ახალგაზრდობა შრომას გაურბის, კოლმეურნეობას კი მუშახელი არ ჰყოფნის.

ახალგაზრდები რომ შრომითი საქმისათვის აღაფროთოვანო, უნდა მონახო მათი გულის გასაღე-

ბი, გაუღვიძო საკუთარი ღირსების გრძნობა, გააგებინო, რომ ისინი საჭირო არიან კოლმეურნეობისათვის.

შავლეგო მიტინგებს როდი აწყობს, დიდაქტიკურ ლექციებს როდი კითხულობს. იგი ახალგაზრდებს არწმუნებს პირადი მაგალითით.

შავლეგო რამდენადმე განსხვავდება მის ირგვლივ მყოფი ადამიანებისაგან (ფოლკლორული გმირის თვისებებით). კიდევაც ჰგავს და არც ჰგავს მათ. იგი იმავე სოციალურ და ზნეობრივ საფუძველზე აღიზარდა და დაეაყუცდა. როგორც მისი თანამედროვენი. მათ საერთო ინტერესები აქვთ. შავლეგოს პირადი ყოფა ერწყმის ხალხის ცხოვრებას. მაგრამ იგი გამოირჩევა მაღალი პასუხისმგებლობით საკუთარი თავისა და კოლექტივისადმი, ჩვენი ქვეყნის აწმყოსა და მომავლისადმი, კომუნისტური სიმართლისა და ზნეობისადმი.

როცა ამა თუ იმ გმირს ვაფასებთ, უკვე აღარ გვაკმაყოფილებს მისი საწარმოო მაჩვენებლები. ჩვენ გვაინტერესებს მისი სულიერი თვისებებიც. ახლა საბჭოთა ადამიანი უფრო გულისხმიერი, კეთილი, სამართლიანი გახდა. რაც უკანასკნელი დროის ყველაზე დიდი და აუცილებელი მონაპოვარია. სოციალისტური ჰუმანიზმი ცრემლნარევი, სენტიმენტალური სიბრაღული კი არ არის, არამედ ბოროტების წინააღმდეგ,

ცხოვრების აქტიურად გარდაქმნისათვის შეურიგებელი ბრძოლაა. შავლეგო მის ირგვლივ მყოფთა სიკეთისათვის იღვწის. ამას მოწმობს ის ადამიანური გულისხმიერება, რაც მან გამოიჩინა მართოხელა საბედოსა და პაპა თომასადმი, დაღუპული ძმის მეუღლის, ნინოსამდი.

შავლეგო არ სცნობს პასიურობას, ვერ ურიგდება უსამართლობასა და ბოროტებას, საჭიროების დროს იგი მზადაა ძალა გამოიყენოს, და ეს კი არ ამცირებს მას, პირიქით, ამაღლებს.

შავლეგოს ხასიათში დასაფასებელია ის, რომ მას შეუძლია ადამიანში, თვით ყველაზე გამოუსწორებელ პიროვნებაშიც კი ადამიანურის დანახვა. როცა სასაღილოს გამგეს სოლომონს, მეტსახელად „კუპრაჭას“ უფრო ახლო გაიცნობს, შავლეგო ამ საქმოსანსა და კომბინატორში ხედავს რაღაც დადებითს, გულწრფელად სწუხს, რომ ეს ნიჭიერი კაცი არასწორ გზას ადგას და მიაჩნია, რომ მას შეუძლია შესანიშნავი მეურნე იყოს.

შავლეგოს თვისებების გაზვიადებამ, მისმა დადებითობამ თითქოსდა შეაშინა მწერალი. თანადროულობასთან, სიმართლესთან შეუსაბამობა, ანაქრონიზმი ხომ არ გამომივიდაო და ამ შიშმა უკიდურესობაში ჩააგდო ის. შავლეგო მკითხველს რომ წმინდანად, სალოსად არ მიეღო, ისეთი არამოტივირებული ცოდო, დანაშაული ჩაადენინა, რომელიც სრუ-

ლიად არ გამოძინარეობს ამ მხატვრული ხასიათის დიალექტიკიდან, ეწინააღმდეგება მას.

აქ ჩვენ ისევ ერთ-ერთ საკმა-
თო საკითხს, პრობლემას მივადე-
ქით, რომელიც ესოდენ აქტუა-
ლური და ჭერჯერობით გადაუწყ-
ვეტელია საბჭოთა ლიტერატუ-
რისმცოდნეობაში.

როგორი უნდა იყოს თანამედ-
როვე საბჭოთა ლიტერატურის
დადებითი გმირი?

ამ შეკითხვაზე ჩვენი მწერლე-
ბი სხვადასხვანაირად სცემენ პა-
სუხს. უფრო შორს რომ არ წა-
ვიდეთ, მაგალითისათვის საკმა-
რისია დავასახელოთ 1954 წელს
შემდგარი საკავშირო დისკუსია
აღნიშნული პრობლემის ირგვ-
ლივ.

ამ დისკუსიას გამოეხმაურა
ცნობილი ქართველი ბელეტრის-
ტი აკაკი ბელიაშვილი. იგი აკრი-
ტიკებდა ე. პროტოპოპოვასა და
მის აპოლოგეტებს დადებითი გმი-
რის „ქიმიური კრისტალიზაციი-
სათვის“. ის მართალი იყო, რო-
დესაც ამბობდა, რომ ლიტერა-
ტურა არ არის ცხოვრების ხე-
ლოვნურად გალამაზებული ასახ-
ვა, რომ მისი გმირები ეგრე თა-
ვისუფლად, დაუბრკოლებლად
როდი აღწევენ თავიანთ მიზნებსა
და იდეალებს. მაგრამ ჩვენი თა-
ნამედროვე სკოდავდა, როდესაც
ილაშქრებდა ლიტერატურაში
მტკიცე ხასიათის მქონე, ჩამოყა-
ლიბებული პიროვნების ასახვის
წინააღმდეგ.

ა. ბელიაშვილი არა თუ იცავდა,
უპირატესობასაც კი აძლევდა
ისეთ მხატვრულ დადებით გმირს,
რომელსაც დადებით მხარეებთან
ერთად გააჩნია უარყოფითი მხა-
რეებიც.

ა. ბელიაშვილს თითქოს და
ეშინოდა, რომ დიდი, ღრმა აზ-
რები და გრძნობები ზიანს მიაყე-
ნებდნენ მხატვრული გმირის სი-
ცხოველეს. თურმე, მხატვრული
გმირი რომ დამაჯერებელი, „ცო-
ცხალი“, რეალური იყოს, საჭი-
რია მისი ხელოვნური „გაუარე-
სება“, „გაუარყოფითება“.

როგორც ვხედავთ, ე. პროტო-
პოპოვას ცალმხრივობასთან ბრძო-
ლაში ა. ბელიაშვილი მეორე უკი-
დურესობაში ჩავარდა.

ჩვენ აქ გავიხსენეთ ეს დისკუ-
სია იმიტომ, რომ ლაღო მრელა-
შვილის რომანის მეორე წიგნში
აკაკი ბელიაშვილის დებულების
რეალიზაცია გვენიშნა, რომანის
ბოლო ნაწილში მწერალმა თავის
დადებით გმირს შავლეგოს უდი-
ერი საქციელი ჩაადენინა, რომე-
ლიც სრულიად არ შეესაბამება
მის ხასიათს, ბუნებას, მის
მრწამსს. რასაკვირველია, ასეთი
ფაქტი ცხოვრებაში შეიძლება მო-
მხდარიყო, შეიძლება მხატვრუ-
ლი გმირის ცხოვრებაშიც ყოფი-
ლიყო, მაგრამ ამას მოტივირება
სჭირდება. მაშინ, როდესაც მხატ-
ვრული ნაწარმოების გმირმა თა-
ვისი სიმწიფისა და დაღულების
ხანას მიაღწია, როდესაც ის ზნე-
ობრივად უფრო მტკიცე და შეუ-

დრეკელი უნდა ყოფილიყო, მწერალმა მას მოულოდნელად ამორალური საქციელი ჩაადენინა, რითაც დიდი ზიანი მიაყენა ამ მხატვრული სახის აღმზრდელი ბიოტობას. თუ ასეთ მებრძოლ ადამიანს, რომელიც თავიდანვე სიმართლისა და კეთილის ეტალონი იყო, შეუძლია უმსგავსოება მოიმოქმედოს, მაშინ აღარ ყოფილა საშველი და ეს არის.

მწერალი თითქოს და მიხვდა, რომ დაუშვა შეცდომა, შეეცადა თავის მართლებას და დადებით გმირს ასეთი აზრები გამოათქმევინა:

„...ნუთუ რაღაც არი, რომელიც ზოგჯერ ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო სულ სხვაგვარად წარმართავს ცხოვრებაში აღებულ გზას? რა ბოჭავს ამ დროს ჩვენს ნებისყოფას?“³

ეს უკვე მეტისმეტია.

მხატვრული ლიტერატურის ენა დახვეწილი, გაშალაშინებული საერთო-სახალხო ენაა. ამ უკანასკნელს, თავისი გრამატიკული თავისებურებებით, მთელი ლექსიკური სიმდიდრით, მწერალი იყენებს მასალად, მხატვრული განზოგადებისა და სინამდვილის ასახვის ხერხად.

დამუშავებული ენის საფუძველზე მწერალი ძერწავს მხატვრულ სახეებს და ხასიათებს, აღწევს პერსონაჟთა ენის ტიპიზაციას და ინდივიდუალიზაციას, ქმნის სხვადასხვა სახოვანი საშუ-

ალებების მთელ არსენალს. შემოქმედების პროცესში საჭიროებისამებრ მას ხშირად პოეტურ ენაში შემოაქვს ხალხური მეტყველების მიერ გამომუშავებული მზა ფორმულები—ფოლკლორიზმები: ანდაზები, სიტყვის მასალები, იდიომები და სხვა, რომლებიც მადლიან გამომსახველობით საშუალებას წარმოადგენენ. ამიტომ ძალზე საინტერესოა შევისწავლოთ, თუ როგორ ხდება საერთო-ნაციონალური ენის ელემენტების ტრანსფორმაცია მხატვრულ ნაწარმოებში.

ანალიზმა გვიჩვენა, რომ ფოლკლორიზმებში ლაღო მრელაშივლი უფრო ანდაზებს არჩევს. მის „ყაბახში“ ჩვენ 200-მდე ამ ჟანრის ნიმუშს წავაწყდით, რომლებიც ჩართულია პერსონაჟების მეტყველებაში და დიალოგებში.

შეიძლება დაიბადოს კითხვა: მწერლის ესოდენ დიდი გატაცება ხალხური ზეპირსიტყვიერების ამ ჟანრით გადამეტებული ხომ არ არის?

სრულებით არა. ისინი, ანდაზები ამ ეპიურ ნაწარმოებს, სქელტანიან რომანს უფრო საინტერესოს და გატაცებით საკითხავს ხდიან, რომანის თხრობას კი არ ამძიმებენ არამედ მატებენ სიბრძნეს, ხდიან სხარტს, ბასრსა და ხატოვანს.

თემატიკა ანდაზებისა ფართო და მრავალფეროვანია. ის თითქმის ცხოვრების ყველა სფეროს ეხება — ადამიანთა პირად და საზოგადოებრივ ურთიერთობას,

შრომას, ინტელექტს, ფსიქოლო-
გიას, ზნეობას, სიყვარულს, ბო-
როტებას და მრავალ სხვას.

მწერალი იყენებს ისეთ ანდა-
ზებს, რომლებშიც გამოხატულია
მშრომელი ხალხის საუკუნოვანი
ტრადიციები, მაგალითად, შრო-
მისადმი პატიოსანი დამოკიდებუ-
ლება, აქტიური მოქმედება.

საინტერესოა რომანში გადაგ-
ვარებული ხელმძღვანელის, ეგო-
იზმითა და განდიდების მანიით
აღსავსე კოლმეურნეობის თავმჯ-
დომარის ნიკოს მხატვრული სა-
ხე. ის ძალზე დამაჯერებლად და
რელიეფურად არის გამოკვეთი-
ლი.

ნიკო შავლეგოს ანტიპოდი.
ისინი დიამეტრალურად საწინაა-
ღმდეგო პოზიციებზე დგანან. ნა-
წარმოების კონფლიქტი ფაქტიუ-
რად ამ ორ პერსონაჟს შორის
არის გადანასკვული. ერთი კეთი-
ლის, მეორე ბოროტის ფილოსო-
ფიის მატარებელია.

ნიკო ძალზე გონიერი, წინდა-
ხედული და ფრთხილია. ამიტო-
მა საზოგადოებისათვის უფრო
საშიში და ზიანის მომტანი. ის
განზრახ, მოფიქრებულად სჩადის
დანაშაულს, რყვნის სოფელს.
ახალგაზრდობას გულს უცრუებს
კოლექტიურ შრომაზე, ფლანგავს
და ითვისებს ხალხის დოვლათს,
ქონებას.

მრავალი ფრაზეოლოგიზმია ნი-
კოს მეტყველებაში. მას გაღესი-
ლი ენა აქვს. ის არასდროს არ იბ-
ნევა. ცხოვრების ნებისმიერ შე-
მოხვევისათვის მზად აქვს პასუ-

ხი, თავისებური შეფასება, და-
მოკიდებულება. მისი მსჯელობა
უხვად გაფერადებულია სენტენ-
ციებით, აფორისტული გამოთქ-
მებით, ანდაზებით. ამიტომაც,
რომ ერთი შეხედვით ის სოფლის
დინჯი თავკაცის შთაბეჭდილებას
ტოვებს და ბევრი თავყანისმცე-
მელი და მიმდევარი ჰყავს.

ნიკო თავის მონათლულს, საქ-
მოსანს ასწავლის „ცხოვრების
დიალექტიკას“, არიგებს, როგორ
მოიქცეს, როგორ მოიხვეჭოს ქო-
ნება ისე, რომ სხვამ ვერ შენიშ-
ნოს, ეჭვი ვერ მიიტანოს მის ან-
ტისაზოგადოებრივ საქმიანობა-
ზე.

„შენ მიქარვებს თავი დაანებე,
ვახტანგ, წუთისოფელი კაცმა
ჰკუთით უნდა მოჭამო. რაც შენ
ავტოინსპექტორებთან და ათასი
სხვა ჯურის მამაძაღლთან დაგეხა-
რება, სხვას მეტს რას შეიძენ?
თანაც რაიონის თვალში ცუდად
გამოჩნდები. აი, შვილო, რას გე-
ტყვი: ეს სოფელი დუშაა. იგრე
უნდა მოთალო, რომ სარგებელი
გქონდეს და შეტყობით არა შეე-
ტყოს რა. მგელმა იცის: როცა
ნახირს ვერ მიწვდება, მობრუნ-
დება დამშეული და იმათ ნეჭესა
ჭამს. შენ სამაგისო არა გჭირს რა.
სოფელი ღონიერიაო, ჩვენზე
ჰკვიან ხალხს უთქვამს და ამაში
საკუთარი გამოცდილებით დავრ-
წმუნდი“.⁴

როცა იცვლება მდგომარეობა,
ნიკოს დევიზებიც იცვლებიან.

4 I, გვ. 206.

ისინი ვითარების მიხედვით სხვა, მისთვის სასარგებლო ფორმულირებას ღებულობენ:

„ცოტა იყოს და ტკბილიო, ვიდრე ბევრმა მომკვეთოს კბილიო“,⁵ — ეუბნება ის თავის მესაიდუმლეს, ვახტანგს.

„...არც მგელი დარჩეს მშიერი და არც ფარეხი დაცარიელდეს“.⁶...

„გინდა სახედრის მძებნელმა, ბედაური დაკარგო?“⁷

„...სოფლის ყბაში ჩავარდნას, ვეშაპის ყბაში ჩავარდნა გერჩიოს“,⁸ — ასე აშინებს ნიკო გამოუცდელსა და მიამიტ რაიკომის ინსტრუქტორს, შეცდომაში შეიყვანს მას და მისთვის სასარგებლო მიმართულებით წაყვანივნებს გამოძიებას.

ნიკო მოჩვენებით დემოკრატია. ის თითქმის ხალხისათვის, სოფლისათვის ირჩება. მას საერთო საქმე აწუხებს, თორემ პირადული რა საზრუნავია. როცა წევრებმა მიუთითეს მას კოლბეურნეობაში ნაკლოვანებაზე, მის არაობიექტურ ხელმძღვანელობაზე, მან დემაგოგიურად განუცხადა მათ: „სადაც სოფლის ნახირი იქაც ბებრის ხბო...“⁹ ეს იმას ნიშნავდა: თუ ასე სურს კოლექტივს, მეც თანახმა ვარო, თქვენებო იყოსო.

ნიკოს მახვილი თვალი აქვს. ის იშვიათად ტყუვდება. როცა ეშმაკი თანასოფლელი ეფრემი ცდილობს გააბრიყვოს ის, ნიკო მიუგებს: „ეფრემ მე შენ იგრე გიცნობ, როგორც ძაღლი სალაფავს“.¹⁰ ეს იმას ნიშნავდა, რომ მეც შენი ჯიშისა ვარო და ნურას უკაცრავად, ვერ მომატყუებო.

შეურაცხყოფილი იმით, რომ ვერ შეაფასეს მისი შესაძლებლობა, უნარი, ნიკო რაიკომის მდივანს თეიმურაზს ეუბნება: „მე ის მონადირე არ ვარ, რომელიც მწვევრისაგან მარტო კურდღლის მობრუნებას სჯერდება“.¹¹

ის რაც მის ინტერესს, პირადულს სცილდება, ნიკოს აღარ აინტერესებს, აღარ აღელვებს. გაიგებს რა საყვარელი ქალის ცალყურაანთ მართას გათხოვებას, ამბობს: „ჩემი ურგები ქოთანი ქვასა და მაწონი ძაღლსა“.¹² „...თუმცა მე რა მრჯის: ქორის გაგდებულს ალალი წაიღებს თუ მიმიზნო...“¹³

ლადო მრელაშვილი „ყაბახში“ იყენებს არა მარტო ხალხურ, ზეპირსიტყვიერ ანდაზებს, არამედ მოაქვს საკუთარიც. ნიკოს სასოფლო საბჭოს თავმჯდომარის მისამართით მწერალი ასე ათქმევინებს: „ამ ზაფხულში ვის ეპრანკები, ჩექმებიან სიკვდილს ფეხ-

5 II, გვ. 15.
6 II, გვ. 15.
7 II, გვ. 15.
8. II, გვ. 130.
9 I, გვ. 441.

10 II, გვ. 18.
11 II, გვ. 38
12 II, გვ. 158
13 II, გვ. 159.

შიშველა სიცოცხლე არ გირჩევ-
ნია?“.14

სხვადასხვა დროს რომანის პე-
რონაჟები ხმარობენ ანდაზებს,
რომლებიც მწერალს ეკუთვნის.

ლადო მრელაშვილი შესანიშნა-
ვად იცნობს ქართულ ანდაზებს.
მათი ესოდენ ლალი გამოყენება
რომანში მოწმობს, რომ ის საკმა-
ოდ ღრმად არის ჩახედული ქარ-
თული ფოლკლორის ამ ქანარში.
დამახასიათებელია, რომ ანდაზე-
ბის ტექსტებისადმი მწერლის და-
მოკიდებულება არ არის ერთნაი-
რი. ზოგან ისინი რომანის პერსო-
ნაჟების მიერ გამოყენებულია
ტექსტის ზუსტი დაცვით, ე. ი.
ისე, როგორც არის შეტანილი
ფოლკლორულ კრებულებში. მა-
გრამ ამ პრინციპს მწერალი ყო-
ველთვის თანმიმდევრულად რო-
დი იცავს. უმეტეს შემთხვევაში
ის შემოქმედებითად ცვლის ან-
დაზების ან შინაარსს, ან გრამა-
ტიკულ მხატვრულ-სტილისტი-
კურ სტრუქტურას. შევადაროთ
ტექსტები:

ფოლკლორული კრებულის:

„ერთმა ჭუჭყიანმა ღორმა ასი
ღორი გასვარაო“.

„ყრუთათვის ორჯერ არ წირა-
ვენო“.

„ძალლი ახსენე და ჯოხი ხელში
დაიჭიროო“

„ნეტა თხა იყოს, წყვილი მო-
იგოს“.

ლ. მრელაშვილის:

„ერთ ლაფიან ღორს ასს ვერ
გავასვრევიანებდიო“.15

„ყრუებისათვის განა ორჯერ
რეკავენ“.16

„ეგ ისეთი ძალლია, რომლის
დანახვაზე ცალ ხელში რომ ჯო-
ხი მოიმარჯვო, მეორე ხელში
პური არ უნდა დაივიწყო“.17

„ნეტა თხა იყოს, ტყუპი მოი-
გოს“.18

რატომაა, რომ ლადო მრელაშ-
ვილი ესოდენ აქტიურად და შე-
დეგიანად იყენებს ანდაზებს თა-
ვის ნაწარმოებებში? იმიტომ,
რომ ეს მცირე ფორმის ფოლ-
კლორული ქანრი ძალზე ბევრი
მხატვრულ-იდეური თვისების მა-
ტარებელია. მასში გახსნილია ხა-
ლხური სიბრძნე, მისი ლოგიკა,
ფსიქოლოგია, მორალურ-ზნეო-
ბრივი კოდექსი. დიდია მისი მამ-
ხილებელი ძალა, ირონია, სარკა-
ზმი, საზოგადოებრივი ცხოვრე-
ბის უარყოფითი მხარეების დაგ-
მობა-გაკიცხვა. მოხერხებულად,
ტაქტიტ შეტანილია მხატვრული
სახეების, პერსონაჟების მეტყვე-
ლებაში. ისინი დამარწმუნებელ
ძალას ჰმატებენ მსჯელობას.

ლადო მრელაშვილს თავის რო-
მანში ოთხი ზღაპარი აქვს მოთხ-
რობილი. დამახასიათებელია, რომ
ეს ზღაპრები თავისი მოცულო-

15 II, გვ. 17.

16 I, გვ. 229.

17 II, გვ. 62.

18 I, გვ. 391.

14 I, გვ. 229.

ბით, ფორმით არ არის დიდი. ეს ალბათ იმიტომ აიხსნება, რომ მწერალს ისინი მოტანილი აქვს არა როგორც დამოუკიდებელი მხატვრული ჟანრი, არამედ ჩაქსოვილია პერსონაჟების დიალოგში. დიალოგი კი ვერ იტანს გრძელ თხრობას. დიალოგში ვრცელი რეპლიკა მონოლოგში გადადის. ზღაპრის მოქცევა დიალოგში კი მწერლის მხატვრულ-ესთეტიკურ და დიდაქტიკურ ამოცანას ემსახურება.

რომანის პერსონაჟები პაპა გოდერძი, აბრია, საბა, ლურჯანა, დაბალ-დათუა, გაბრუა სხედან და ბაასობენ სოფლის ჭირ-ვარამზე. გოდერძი პაპა სოფლის გაჭირვებას უხეირო თავმჯდომარეს ნიკოს აბრალებს, რომელიც 30 წლის განმავლობაში ტყავს აძრობს კოლმეურნეობას. ზოგი მოსაუბრეთაგანი ამართლებს ნიკოს და მის დაუსჯელობას ბედს აწერს; ლურჯანა, მაგალითად, ამბობს: „ბედი მომეცი და თუ გინდა სანახევზე გადამაგდეო“.¹⁹ გოდერძი პაპა უამცინავ უვალს გადავლებს თავის თანატოლებს და დასძენს:

„ბედიო? თარსა-გალავნის ერთ სიპზე ეწერა:

„ვისაც ჭკუა აქვს, თავში აქვსო“.

გამკვლელები ჩაუვლიდნენ, წაიკითხავდნენ და იტყოდნენ:

„მართალიაო“.

ერთხელ ერთმა სულელმა გაი-

არა, წაიკითხა და შეუკუროთხა: „ეს რა სისულელე დაუწერიათ, კაცს თავში აქვს ჭკუა, მამ, ფეხებში ხომ არ ექნებაო“.

აილო ერთი დიდი ქვა, თხლიშა და დაამტვრია. გასკდა თუ არა სიპი ნახეთქიდან სულ ოქრო-ვერცხლი წამოვიდა ჩხრიალით...

ეგრეა, ბედის ლოლიავი ხელს არ მოგცემს. ბედი ბრმა არი, ხშირად იმას აძლევს, ვისაც ის არა სჭირდება“.²⁰ ამით გოდერძი პაპა და მასთან ერთად მწერალი ვერ ურიგდება იმ „ფილოსოფიას“, რომელიც ქადაგებს — სიმდიდრე, სიუხვე, მომხვეჭელობა ბედზე დამოკიდებული არისო. ისინი ამათრახებენ მოშვებულობას, დანაშაულისადმი წაყრუების პოლიტიკას: აქ ბედი რა შუამია, საქმე ნიკოს ეშმაკობასა და თაღლითობაშია.

გაბრიას ამაზე თავისი შეხედულება აქვს. ამართლებს რა ბედისა და უბედობის ფილოსოფიას, ის მოსაუბრეებს შემდეგ ზღაპარს მოუყვება:

„ერთი მდიდარი კაცი იყო და ძილში რაღაცა ხმა ჩასძახოდა: „რაც შენ სიმდიდრე გაქვს, სულ მეჭურჭლე გოგიასიაო“. იმდენი იძახა, იმდენი, რომა ადგა ეს მდიდარი კაცი და გაბრაზდა: „არც ჩემთვის იყოს და არც იმისთვისიაო“. აილო ერთი დიდი ხე, გამოუღრუტნა გული, თავისი ქონება ფულად აქცია, იმ ხეში ჩაყარა და წყალში ჩააგდო. წყალ-

19 I, გვ. 118.

20 I, გვ. 119.

მა წაიღო, ატარა, ატარა და ქალაქში ჩაიტანა. მტკვარში ერთი კინტო თევზაობდა და ნაპირზე გამორიყული ხე რომ ნახა, გაუხარდა: „მოდით ამას წავეულებ, ჩემს მეზობელ მეჭურჭლეს მივუტან, ჩარხის ღერძად გამოთლის. მე მაინც არაფერში გამომადგება და ერთ ქილას მაინც მომცემს თევზების ჩასაყრელად“.

წაიღო და გოგის მიუტანა. მეჭურჭლემ როგორც კი ჩამოთალა ცალი გვერდი, მაშინვე ფულმა მოიღო ჩხრიალი. ადგა, დიდი ქარხანა გამართა, დასხა მეჭურჭლეები, დაჯდა თვითონაც და დაუწყო ჭურჭელს ჭრა. იგრე გამდიდრდა, რომ იმ ფულის პატრონამდის მივიდა იმისი სიმდიდრის ხმა. იმ კაცმა თქვა: „ერთი უნდა წავიდე, ვნახო, როგორ ცხოვრობსო“. მივიდა და ნახა... ეს მეჭურჭლე ძალზე ღვთისნიერი კაცი იყო. ფეხშიშველი და ჩამოგლეჯილ-ჩამოწეწილი კაცი რომ დაინახა მოსული, დაენანა და ფული აძლია. იმ კაცმა არ აიღო: „ბედს რომ ჩემთვის ფული სდომებოდა, რაცა მქონდა იმას არ წამართმევდაო“.

მაშინ მეჭურჭლემ დასვა, კარგა ასადილა და თანაც სამი პური გაატანა, გზაში მოშვივებოდა. ის პური განგებ გამოაცხობინა და შიგ ოქროები ჩააწყობინა მეპურეს.

წავიდა ის კაცი, წაიღო ის პურები, ხარაზისაგან ჩუსტები იყიდა და ის პურები მისცა იმაში.

ხარაზის ცოლს მეჭურჭლის ცოლისა სამი პური ემართა. ადგა და ის პურები ისევე მეჭურჭლეს მიუტანა.

მეჭურჭლემ ნახა და მაშინვე იცნო თავისი გატანებული. აიღო, გადატეხა ორივე და ფული სკივრშივე შეინახა: „რას იზამ, იმ კაცს მართლა ბედი არ ჰქონიაო“.²¹

ერთ დროს ნიკო სოფლის სპეტაკი მუშაკი იყო, მაგრამ უკონტროლობამ, მოშვებულობამ გაათამამა, დაავიწყა ხალხის ინტერესები, გაძღა, გასუქდა, ხელშეუხებ პატარა ფეოდალად გადაიქცა. დადგა ღღე და მოსთხოვეს პასუხი, ჩამოართვეს ხალხის მიერ მიცემული თანამდებობა, უფლებები. არც პირადულმა, ოჯახურმა ცხოვრებამ გაუმართლა. აი ასეთი ხელმოცარული, გულგამოკმული, მარტოდ დარჩენილი უფიქრდება ის თავის ცხოვრებას, განვლილ გზას და რწმუნდება, რომ საერთო ინტერესების იგნორირებამ, უგულვებელყოფამ, დანაშაულებამდე მიიყვანა. მძიმე შინაგან ფსიქოლოგიურ განწყობაში მყოფი იხსენებს ზღაპარს, რომანის პერსონაჟის, ტოპრაკას მიერ მისთვის საგანგებოდ მონაყოლს.

„ინდოეთში ერთი დიდი კაკალია, მოვა შშიერი თავვი, ნახვრეტს გამოიღებს და შიგ შეძვრება. ჰოდა ის თავვი იმდენს

²¹ I, გვ. 120.

ჭამს შიგა, იმდენს ჭამს, რომ გასუქდება, გასუქდება, გარეთ ვეღარ გამოვა იმ ნახვრეტიდან და შიგ გამოიხრჩობა“.²²

როგორც ვხედავთ, ეს ზღაპარი უაღრესად სიმპტომატურია, დიდი ზნეობრივი, დიდაქტიკურ-ფსიქოლოგიური შინაარსის მატარებელია, ის კიდევ ერთ დამახასიათებელ, კოლორიტულ შტრიხს მატებს ნიკოს მხატვრულ სახეს.

„ყაბახის“ მხატვრული სახეების ფსიქოლოგიის გახსნაში დიდი ადგილი უკავია მეტსახელებს. მეტსახელი ადამიანის ხასიათის, გარეგნობის, საქმიანობის, აშკარა შესამჩნევ თვისებაზე მიუთითებს. მეტსახელი ყოველთვის ემოციურ ელფერს ატარებს. ის აღნიშნავს ადამიანის დადებითობას, ან უარყოფითობას. მასში დიდი საზოგადოებრივი აზრი, ხალხის შეფასებაა მოცემული. ამიტომ ის ეგზომ გამომეტყველი და მოუცილებელია, ჩრდილავს სახელს, დევნის მას, თითონ პოპულარული, გამძლე ხდება, ადამიანის სიკვდილის შემდეგაც თაობიდან თაობას გადაეცემა და დიდხანს რჩება ხალხის მეხსიერებაში. უფრო მეტიც, მეტსახელი ხშირად ახალი გვარის საფუძვლად იქცევა. „სოფრომან ჭალისპირი მეტსახელად ბაღდმას ეძახდა. მის ენას მიაწერდნენ რამდენიმე უდანაშაულო ოჯახის განადგურებას. ამ ოციოდე წლის

წინ ავი ენები იმასაც ამბობდნენ, ახლაც არ ივიწყებს თავის ძველ ხელობასო. და სძაგდა მთელ სოფელს ეს კაცი“.²³

შაქრო სოფლის ახალგაზრდობის სული და გულია. მის ირგვლივ ყოველთვის ხალხმრავლობაა, ხუმრობა და სიცილხარხარი. მას მოსწრებელი სიტყვა-პასუხი აქვს, ის ჩინებული მოხრობელია. მისი დაუნდობელი, ბასრი, მწარე ენის მსხვერპლი მეტწილად რომანის უარყოფითი პერსონაჟები ხდებიან. ენაკვიმატიანობამ, მხიარულმა ხასიათმა და დაუღალავმა ენერგიამ მისცა ჭალისპირელებს საბაბი მისთვის შეერქვათ მეტსახელი „ჩასაბერი“. სოფელმა ილო პაპას „ხატილეწია“ იმიტომ შეარქვა, რომ მას 1921 წელს საყდრის ხატები დაუღეწია, ჩარჩოებზე ოქრო-ვერცხლი აუგლეჯია და ხელიც საკმაოდ მოუთბია.

რომანში პერსონაჟთა უმეტესი ნაწილი მეტსახელს ატარებს. ასე, მაგალითად, სიმონი — „კუპრაჭა“, ნასყიდა — „დორბლიანი“, მღვდელი — „ვანკა“, ლეო — „ლოტოს-კოჭი“, გოგია — „ქოსაგოგია“, დათია — „დაბალ-დათია“, „ცალყურა მიხა“, „ტოპრაკა“, „ბელურა“... შავლეგისაც არ ასცდა ეს ბედი, მას „მაღალკანჭა“ შეარქვეს.

22 II, გვ. 359.

23 II, გვ. 120.

რომანში ბევრია ისეთი ფოლკლორიზმები, როგორცაა ხალხური ეპოსი, სატრფიალო ლექსები, ლოცვა, წყევლა, გაბაასება და სხვა.

როგორც ვხედავთ, ლაღო მრელაშვილის რომანში უხვადაა მიმობნეული ფოლკლორული ნიმუშები. ისინი მრავალნაირადაა მოტანილი და გამოყენებული მხატვრულ ტექსტში: მთლიანი, ნაწყვეტი, შეცვლილ-პერიფრაზირებული, ახალი — ავტორისეული.

მაგრამ, როგორც არ უნდა იყოს, მათ საერთო თვისება აქვთ, ისინი ყოველთვის ღრმა იდეური და სტილისტიკური მნიშვნელობის მატარებელი არიან.

დასასრულს დავსძენთ, რომ ლაღო მრელაშვილის რომანში მკაფიოდ გამოჩნდა ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ლიტერატურულ - ფოლკლორული ურთიერთობის რთული და მრავალმხრივი პროცესი.

კაპან რაპინაძე

ბაზეთი „ფუხარა“

აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების სამი წლისთავზე, 1924 წლის 18 მარტს საოლქო გაზეთ „ბრძოლას“ სახელი გამოეცვალა, დაერქვა „ფუხარა“, რაც აჭარული კუთხური სიტყვაა და ღარიბს, ღატაკს, არაფრისშქონეს ნიშნავს. გადიდდა ფორმატიც — გაუტოლდა „პრავდას“.

გაზეთის ახალ სახელწოდებას თავისი გამართლება ჰქონდა. აი, რას ვკითხულობთ ამის თაობაზე გაზეთის 1926 წლის ხუთი მაისის ნომერში (№-99(1100): „1924 წლის მარტში პარტკომმა „ბრძოლას“ „ფუხარა“ გადაარქვა. ეს გასაგებიც იყო. საბჭოთა ხელისუფლების მთელი გულისყური სოფლისკენ იქმნა მიპყრობილი. სოფელი და სასოფლო მეურნეობა ხელისუფლების და პარტიის მუშაობის ცენტრად გადაიქცა. „ფუხარა“ ფართოდ უნდა შეჭრილიყო ფუხარა ხალხში, სინათლეზე უნდა გამოეტანა სოფლის

ცხოვრების დადებითი და უარყოფითი მხარეები, ხელმძღვანელობა გაეწია სოფლის საბჭოთა მუშაკების ნაყოფიერი მუშაობისათვის..“

სოფელი საგრძნობლად ჩამორჩა ქალაქს. ახალი ცხოვრება ქალაქში სულ უფრო მკვიდრდებოდა, სოფლები კი თითქმის ძველ დონეზე იყო. დღის წესრიგში დადგა სოფლის გარდაქმნის, ქალაქის დონესთან მიახლოების აუცილებლობა. შემდგომში ეს მოძრაობა გაიშალა დევიზით „პირით სოფლისაკენ!“ გაზეთის ხმა უნდა მისწვდენოდა აჭარის მაღალმთიან სოფლებს, გამოეფხიზლებინა ფუხარა ხალხი იდეურად და პოლიტიკურად, ჩაება იგი საზოგადოებრივ საქმიანობაში, ახალი ქვეყნის მშენებლობაში.

გაზეთის სახელწოდებასთან დაკავშირებით აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ჯერ კიდევ 1918 წლის 27 მარტიდან რუსეთში გამოდიო-

და ყოველდღიური რუსული გაზეთი „ბედნოტა“, რომელმაც იარსება 1931 წლის 31 იანვრამდე. ეს იყო პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო. „ბედნოტა“ დაარსდა გაზეთების „დერევენსკაია ბედნოტას“, „დერევენსკაია პრავდას“ და „სოლდატსკაია პრავდას“ ნაცვლად. შემდგომ, 1931 წლის თებერვლიდან „ბედნოტა“ შეუერთდა გაზეთ „სოციალისტიჩესკოე ზემლედელიეს“, რომელიც ამჟამად გამოდის „სელსკოე ხოზიასტვოს“ სახელწოდებით.¹

„ბედნოტა“ ქართული ღარიბის შესატყვისია. ასევეა „ფუხარაც“.

გაზეთის „ფუხარად“ წოდების დროს „ბედნოტას“ ტრადიციები რომ უნდა ყოფილიყო გამოყენებული, ამას გვაფიქრებინებს ისიც, რომ 1925 წელს ბათუმში გამართულ სოფლის კორესპონდენტთა პირველ ყრილობასთან დაკავშირებით გაზეთ „ფუხარას“ და მის გლეხკორებს სხვა გაზეთებთან ერთად „ბედნოტაც“ მიესალმა.² ბუნებრივია, „ფუხარას“ რედაქცია იცნობდა და იღებდა „ბედნოტას“ ნომრებს.

„ფუხარას“ პირველ ნომრებს ჩვენამდე არ მოუღწევია. იგი ხელმისაწვდომია 1924 წლის 1 მაისიდან (№-37(809)). შემონახულია

1 ცნობები აღებულია პარტიული და საბჭოთა პრესის შესახებ დოკუმენტების კრებილიდან, გვ. 240.

2 „ბედნოტას“ მისაღება დაბეჭდილია „ფუხარას“ № 261 (1264).

დანარჩენი წლების თითქმის სრული კომპლექტი, რაც საშუალებას გვაძლევს გავიზროთ რას წარმოადგენდა „ფუხარა“, რას ბეჭდავდა და როგორ აშუქებდა აჭარის იმდროინდელ ცხოვრებას, რა როლი შეასრულა მან აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის.

როგორც წინამორბედი გაზეთები, „ფუხარაც“ თავის ძირითად ამოცანად თვლიდა ადგილობრივი ცხოვრების ავკარგის ჩვენებას, მტკიცე, თანმიმდევრულ ბრძოლას პარტიის მხარდამხარ, ახალი ცხოვრების საბოლოო დამკვიდრებისათვის. მაგრამ წინამორბედებისაგან განსხვავებით, „ფუხარამ“ წარმატებით გაართვა თავი ამ საპასუხისმგებლო ამოცანას და აღიარებული იქნა, როგორც მებრძოლი პარტიული ორგანო.

„ფუხარა“ იმთავითვე ჩადგა ცხოვრების შუაგულში. მის ფურცლებზე, როგორც სარკეში, აირეკლა მთელი იმ პერიოდის აჭარის ცხოვრება. იგი გასწვდა მოვლენათა თითქმის ყველა სფეროს და სათანადო შეფასება მისცა მათ. წლების მანძილზე³ იყო არა მარტო კოლექტიური პროპაგანდისტი, არამედ კოლექტიური ორგანიზატორიც.

1924 წლის 23-31 მაისს მიმდინარეობდა რუსეთის კპ(ბ) მე-13 ყრილობა. იგი შეეხო ჩვენი ქვე-

3 „ფუხარას“ შემდგომ „საბჭოთა აჭარისტანი“ ეწოდა.

ყნის ცხოვრების უმნიშვნელოვანეს საკითხებს და დღის წესრიგში დააყენა ახალი ამოცანები. პარტიამ წინა პლანზე წამოსწია ქვეყნის შიგნით ვაჭრობის, კოოპერაციის, სოფლად მუშაობის და მთელი რიგი სხვა საპროგრამო ხასიათის საკითხები, რომელთა გადაწყვეტაც მშრომელთა უდიდეს ძალასა და ენერჯიას, მათს პირშეუშლელ მხარდაჭერასა და პასუხისმგებლობას მოიახვოვდა. „ფუხარა“ ბეჭდავს ვრცელ ინფორმაციებს და საანგარიშო მოხსენებებს. ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესასწავლად მკითხველისათვის გასაგებ ენაზე აქვეყნებდა სახელმძღვანელო ხასიათის მასალებს, ყრილობის გადაწყვეტილებებს უფარდებდა აჭარის სინამდვილეს.

სოფლის კოოპერაციაში მთავარი როლი უნდა ეთამაშა გლეხკომებს, მათ უნდა მოეზიდათ სოფლის ღარიბთა ფენა და ჩაებათ სახალხო საქმეში. კოოპერაცია უმედგომ გახდებოდა გლეხთა შემაკავშირებელი ძალა, იგი უშუალოდ დააკავშირებდა სოფელს ქალაქთან და გლეხებს ახალი ცხოვრების ფერხულში ჩააბამდა. მაგრამ გლეხკომების დუქანი გლეხთა თვითმოქმედების განმავითარებელი ორგანიზაცია როდი იყო. მას უნდა მიეწოდებინა სოფლისათვის პირველი მოთხოვნილების საგნები, ამასთან ეს განეხორციელებინა ისე, რომ გლეხობას თვით ეგრძნო თავი კოოპერა-

ციის ბატონ-პატრონად. გლეხკომებს თავად კი არ უნდა შეეთავსებინათ კოოპერაციის ფუნქცია, არამედ სოფლის გლეხობა შემოეკრიბათ კოოპერაციის გარშემო.

პარტიის მეცამეტე ყრილობის დირექტივების ცხოვრებაში გასატარებლად აჭარაში ფართოდ გაიშალა მუშაობა. გაიმართა მაზრებისა და თემების აქტივის თათბირები, 1924 წლის 23 მაისს კი გაიხსნა აჭარის საბჭოთა მუშაკების კონფერენცია. „ფუხარა“ აქვეყნებს თათბირებისა და კონფერენციის ფართო ანგარიშებს, რომლებიც შეეხებოდა სოფლად სამშენებლო მუშაობის შემდგომ გაფართოებას.

სოფლის კოოპერაცია მიზნად ისახავდა შეურიგებელ ბრძოლას კერძო კაპიტალთან. კერძო კაპიტალი გლეხობის ერთ ნაწილს ამდიდრებდა, ხოლო მეორე ნაწილს სიღატაკის უფსკრულში ისტუმრებდა. გაზეთი „ფუხარა“ მიუთითებდა გლეხკომების შესაძლებლობაზე, — თავისთავზე აეღოთ სოფლის პირველი ვარდაქმნების ჰეგემონია. „დახმარება გლეხს და მის მეურნეობას, — აი რა უნდა გაიხადონ გლეხთა კომიტეტებმა თავიანთი მოღვაწეობის უმთავრეს საგნად“, — წერს გაზეთი. ამასთან, გლეხკომებს საფუძველი უნდა ჩაეყარათ სოფლად კოლექტიურ შრომაზე გადასვლისათვის, ეხელმძღვანელათ სკოლებისა და ხიდების მშენებლობისათვის, გაეყვანათ გზები და არხები. გლეხკომებს უნდა გა-

ეჩაღებინათ კოოპერაციული, სა-
მეურნეო და კულტურული მუ-
შაობა. ისინი უნდა გამხდარიყ-
ვნენ ახალფუნდამული და გან-
ვითარების გზაზე დამდგარი გლე-
ხობის წინამძღოლნი. „ფუხარა“
ამ საკითხებზე ესაუბრებოდა მკი-
თხველებს და შთააგონებდა, რომ
გლეხკომების ხელმძღვანელობით
სოფლის ფუხარა ხალხს თავისი
ბედი და მომავალი თვითვე უნდა
გამოეჭედა.

პარტიის ღონისძიებათა ცხოვ-
რებაში გატარება დიდად იყო
დამოკიდებული საზოგადოების
შეგნების დონეზე. სწორედ ამი-
ტომ აჭარის პარტიული ორგანი-
ზაციები უდიდეს ყურადღებას
უთმობდნენ სწავლა-აღზრდის სა-
ქმეს. წერა-კითხვის უცოდინა-
რობის ლიკვიდაცია გახდა ერთ-
ერთი მთავარი ამოცანა აჭარის
სინამდვილეში.

გაზეთი „ფუხარა“ ყოველ-
მხრივ უწყობდა ხელს წერა-კით-
ხვის უცოდინარობის ლიკვიდა-
ციის ღონისძიებათა შემუშავება-
განხორციელებას.

იმ ხანებში საქართველოში მო-
ხდა მენშევიკების ავანტიურის-
ტული გამოსვლები საბჭოთა ხე-
ლისუფლების, ქართველი ხალხის
წინააღმდეგ. ისინი მწარედ მოტ-
ყუდნენ. მშრომელები პარტიის
პირველივე დაძახილზე ჩადგნენ
საბჭოთა ხელისუფლების დამც-
ველთა რიგებში. მალე, დამარც-
ხებული და უკუქცეული კონტრ-
რევოლუციონერები გაიქცნენ და
მთებს შეაფარეს თავი.

გაზეთი „ფუხარა“ აქვეყნებს
მთავრობის მოწოდებას მუშებისა
და გლეხებისადმი, პროგრესუ-
ლად მოაზროვნე ინტელიგენტე-
ბისადმი, — არ აპყოლოდნენ მენ-
შევიკების ბოროტგანმზრახველ
პანიკას. მენშევიკური ავანტიუ-
რის ლიკვიდაციისათვის საქარო-
ველოში შეიქმნა მთავრობის სა-
განგებო კომისია, რომელმაც სა-
თავეში ჩაუდგა საბჭოთა ხელი-
სუფლების დაცვისათვის ბრძო-
ლას. მშრომელები აღსდგნენ რე-
ვოლუციის მონაპოვართა დასა-
ცავად. ხალხმრავალ კრებებსა და
მიტინგებზე ისინი გამოთქვამდ-
ნენ თავიანთ გულისწყრომასა და
რისხვას მენშევიკური ბანდიტიზ-
მის წინააღმდეგ.

ხმა აიმაღლეს ბათუმის მშრო-
მელებმაც. ბათუმში, როგორც
სანაპირო ქალაქში, გამოცხადდა
სამხედრო წესები. მთავრობამ წი-
ნასწარ მიიღო გამაფრთხილებელი
ზომები, რათა მენშევიკებს არ
ესარგებლათ უცხო ქვეყნებთან
გეოგრაფიული სიახლოვით. იმ
პერიოდში ბათუმს ეწვია ფილიპე
მახარაძე. იგი შეხვდა სანაპირო
არტელის მუშებს და ნათლად აუ-
ხსნა მენშევიკურ გამოსვლებთან
დაკავშირებით შექმნილი მდგო-
მარეობა.

„ფუხარა“ აქვეყნებს ვრცელ
ინფორმაციებს მენშევიკებსა და
საბჭოთა ხელისუფლების დამც-
ველებს შორის შეტაკებებზე. ბე-
ჭდავს საქართველოს სხვა გაზე-
თების მიერ გამოქვეყნებულ ცნო-

ბეგსაც („კომუნისტი“, „ზარია
გოსტოკა“, „მუშა“).

იმ ხანებში აჭარის მაზრებსა
და თემებში იმართებოდა მშრო-
მელთა კრებები, სადაც გამოთ-
ქვამდნენ ღრმა გულისწყრომას
მენშევიკების ახალი მოღალატუ-
რი გამოსვლის გამო. ისინი საქვე-
ყნო ფიცს სდებდნენ, რომ დაი-
ცავდნენ მშრომელთა ხელისუფ-
ლებას და არავის დაუთმობდნენ
ოქტომბრის მონაპოვარს. „ფუხა-
რა“ აქვეყნებს ანგარიშებს მშრო-
მელთა კრებების შესახებ და ნა-
თლად აჩვენებს აჭარის მშრო-
მელთა საღ პოლიტიკურ განწყო-
ბილებას.

„აჭარისწყლის მშრომელი ფიცს
სდებს თავისი მთავრობის წი-
ნაში, რომ ის უკანასკნელ სისხ-
ლის წვეთამდე დაიცავს მას და
თავის წრეში არ გაატარებს იმ
პირებს, რომელთაც სურთ კვლავ
დაადგან მშრომელ ხალხს მძიმე
უღელი“...

ან კიდევ, დოლოგნის თემის
ცხრა სექტემბრის გადაწყვეტი-
ლება, სადაც ნათქვამია: „...დე,
იცოდეს საბჭოთა ხელისუფლე-
ბამ, რომ ფუხარა ხალხი მთელი
თავისი ძალღონით დაიცავს თა-
ვის ხელისუფლებას და არ მის-
ცემს ნებას ერთი მუჭა, ხალხის
მოღალატე ბანდიტებს, თუნდ ერ-
თი წუთითაც შეარყიონ ჩვენი
ქვეყნის მშვიდობიანი აღმშენებ-
ლობა“... (№-142(913)).

ბათუმში ჩამოვიდა სერგო ორ-
ჯონიკაძე, რომელმაც აქ გამარ-
სულ მიტინგებზე ვრცლად განუ-

მარტა მშრომელებს მენშევიკე-
ბის გამოსვლების არსი.

ასეთივე მიტინგები ჩატარდა
აჭარის მაღალმთიან სოფლებში.
მშრომელებმა ამომწურავი პასუ-
ხი მიიღეს საჭირობოროტო საკით-
ხებზე. ადგილობრივი ხელისუფ-
ლება სწავლობდა და განსაკუთ-
რებულ ყურადღებას აქცევდა ლა-
რიბი გლეხობის საჭიროებას. „ფუ-
ხარა“ აქვეყნებდა რეპორტაჟებს
ამ მიტინგების შესახებ, აჩვენებ-
და მაზრებისა და თემების საერ-
თო მდგომარეობას.

1924 წლის 6 ოქტომბერს ბა-
თუმს ეწვია მესამე ინტერნაციო-
ნალის აღმასკომის წევრი კლარა
ცეტკინი. იგი გაეცნო სხვადასხვა
დაწესებულებებისა და ფაბრიკა-
ქარხნების მუშაობას, ინახულა
აჭარელ ქალთა კლუბი, დაესწრო
აქაურ ქალთა დელეგატების კრე-
ბას, რომელიც გაიმართა 7 ოქ-
ტომბერს ბათუმის აკადემიურ
თეატრში. „ფუხარამ“ გამოაქვეყ-
ნა მასალები კრების შესახებ, ფა-
რთოდ გააშუქა კლარა ცეტკინის
საქმიანი შეხვედრები ბათუმელ
მუშებთან (№-166(937)).

1924 წლის ოქტომბერში კი-
დევ უფრო ფართოდ გაიშალა
მოძრაობა წერა-კითხვის უცოდო-
ნარობის ლიკვიდაციისათვის. რვა
ოქტომბერს ჩატარდა განათლების
მუშაკთა და პარტიის წევრთა გა-
ერთიანებული კრება. „ფუხარა“
ფართოდ ეხმაურება ამ ფაქტს,
ბეჭდავს კრების ანგარიშს, აგრე-
თვე სახელმძღვანელო მითითე-
ბებს სოფლის მასწავლებლის რო-

ლსა და დანიშნულებაზე. „...თანამედროვე მასწავლებელი არის არა მარტო სკოლის მასწავლებელი, არა მარტო ახალი თაობის აღმზრდელი, იგი სოფლის, ხალხის მასწავლებელიც არის“ (№-182-953).

„ფუხარა“ მნიშვნელოვან საშინაო პრობლემების გაშუქებასთან ერთად გზადაგზა ბეჭდავს მასალებს საერთაშორისო პოლიტიკურ ცხოვრებაზე. საბჭოთა ქვეყანას ჯერ კიდევ არ სცნობდნენ მსოფლიოს წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნები. „ფუხარა“ ბეჭდავს მახვილი პოლიტიკური შინაარსის წერილებს საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობაზე. საფრანგეთმა სცნო საბჭოთა კავშირი, რამაც ჩვენი ქვეყანა ნაწილობრივ გამოიყვანა იზოლაციის მდგომარეობიდან. „ფუხარამ“ დაბეჭდა მასალები ორი ქვეყნის შშვილობიან ურთიერთობაზე და მათ შორის სავაჭრო და კულტურული კონტაქტების პერსპექტივებზე (№-186(957)).

გაზეთი ბეჭდავს პოლიტიკურ მიმოხილვებს სათაურით: „კვირიდან — კვირამდე“, რომელსაც ხელს აწერს სარედაქციო კოლეგიის წევრი გაზეთის დაარსების დღიდან თომა სიხარულიძე. ეს მიმოხილვები დაწერილია მახვილი პოლიტიკური ალლოთი, უბრალო, გასაგები ენით და მკითხველს ნათელ წარმოდგენას აძლევს საერთაშორისო ცხოვრების შესახებ.

„ფუხარა“ ვრცლად ეხმაურება პირველი ინტერნაციონალის 60 წლისთავს, წერს მის მნიშვნელობაზე, მეორე ინტერნაციონალის ღალატსა და მესამე ინტერნაციონალის მედგარ ბრძოლაზე მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის (№-158(929)).

გაზეთი თავის უმნიშვნელოვანეს ამოცანად თვლიდა აჭარის აღმშენებლობის ჩვენებას. საამისოდ შემოღებული ჰქონდა მუდმივი განყოფილებები: „მუშათა ცხოვრება“, „მაზრებში“, „პარტიაში“, „წითელ ჯარში“ და ა. შ. გაზეთის მოწინავე წერილები ვრცლად აშუქებდა სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საკითხებს.

„აჭარისტანი ფეხზე წამოდგა, წელში გასწორდა, სოფლები სკოლებით, კლუბებით და ქონ-სამკითხველოებით მოიფინა. დღეს ისეთ ადგილზე მიდის გაზეთი, სადაც წინათ ყვავიც არ დაფრინდებოდა, ისეთ ადგილზე ისმის დღეს მასწავლებლის ხმა, სადაც წერაკითხვაზე წარმოდგენაც არავის ჰქონდა...“

ან კიდევ:

„ვინც დღევანდელ დღეს დაუკვირდება, ვინც გადახედავს აჭარისტანის სოფელს თუ როგორი ხალისით აშენებს ფუხარა სკოლას, როგორი მონდომებით მუშაობს მთელი კვირაობით გზების გასაყვანად უსასყიდლოდ, — იგი უთუოდ იკითხავს: რა მოხდა, რამ გამოსცვალა აჭარის მშრომელი ხალხი? რატომ ხუთი-ათი

წლის წინათ არ მუშაობდა იგი ასე, რატომ არ გაყავდა გზები ნიკოლოზისა და მენშევიკების დროს?.. ფუხარა ხალხმა რაკი აიღო ძალაუფლება ხელში, რესპუბლიკის სათავეში ჩააყენა თავისი საუკეთესო შვილები, საუკეთესო ამხანაგები, თავდადებული მუშაკები, რომლებიც თავიანთ დარგში თავდადებულად ეწევიან საბჭოთა აღმშენებლობის საქმეს...“ (№ 188(959), „წინედ და ესლა“).

„ფუხარა“ ფართოდ გამოეხმაურა დიდი ოქტომბრის რევოლუციის მეშვიდე წლისთავს. სპეციალური რვაგვერდიანი ნომერი, შთამბეჭდავი გარეგნული სახით და საინტერესო შინაარსით მკითხველს მოუთხრობდა ოქტომბრის დიდი რევოლუციის მნიშვნელობაზე, რევოლუციაზე, რომელმაც დასაბამი მისცა კაცობრიობის ისტორიაში ახალ ერას. ამასთან გაზეთი აჯამებს საიუბილეო თარიღისათვის ჩვენში მიღწეულ წარმატებებს:

„დღეს, ფუხრული რევოლუციის სამი წლისთავზე აჭარისტანის ფუხარა გლახაკობამ თავისუფლად ამოისუნთქა. მან მოიშორა მონობის უღელი, შექმნა თავისი წითელი მეჯლისი და თავისი ძალებით თავისებურ პირობებში შეუდგა მისი ცხოვრების გაძლიერებას“ (№-193(954)).

„ფუხარა“ იმთავითვე მიუთითებდა სოფლებში სოფლკორთა ბიუროების შექმნის აუცილებლობაზე, რომლებიც მჭიდრო კა-

ვშირში იქნებოდნენ რედაქციასთან. გაზეთი აქვეყნებს მოწინავე წერილს სოფლის კანტორებში კედლის გაზეთების საჭიროების ძირეული პრესის მნიშვნელობისა და ამოცანების შესახებ.

აჭარაში ფართოდ იყო გაშლილი აღმშენებლობითი მუშაობა. „ფუხარა“ ყველა ნომერში აქვეყნებდა მასალებს და მოუთხრობდა მკითხველებს ახალი ცხოვრების დამკვიდრებაზე:

„მიუვალი კლდეები, მთის ფერდობები, სადაც არასოდეს ურემს არ გაუვლია, სადაც ყოველწლიურად იჩეხებოდა ხრამებში კაცები, ბავშვები, ქალები, ცხენები, — დღეს კი შარავნებია გაყვანილი, აჭარელი მილიონებს თავის „ტაჩკით“ არხეინად, ჩუმი ღიმილით. უხსოვარი დროიდან ხელუხლებელი ხეები ემხოზა ხრამში, ირხევა დინამიტისაგან მრავალსაუკუნოებში ნაბატონები კლდეები და გზას აძლევენ ადამიანს, კულტურას, წინსვლას...“ (ლაპარაკია ბათუმ - ახალციხის გზის მშენებლობაზე. ე. დ. (№-204(975)).

1924 წლის 22 დეკემბერს „ფუხარას“ რედაქციამ გამოუშვა გაზეთის მეათასე ნომერი, რომლის მოსამზადებლადაც იგი განსაკუთრებით ზრუნავდა. მეათასე ნომრის გამოსვლას განსაკუთრებულ მოვლენად თვლიდა არა მარტო რედაქცია, არამედ ყველა პარტიული ორგანიზაცია, ყველა დაწესებულება ვისაც საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა გაზეთთან.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი გულითადად ულოცავს ბედნიერ ციფრს გაზეთის რედაქციას და ამ ფაქტს ჭეშმარიტ გამარჯვებად მიიჩნევს:

„აჭარისტანის სვე-ბედს მშრომელი მასა, ფუხარა ხალხი განაგებს. მას აქვს საკუთარი ბეჭდვითი ორგანო — „ფუხარა“, აჭარისტანის მშრომელი ხალხის ნებასურვილის და ინტერესების გამომხატველი. ამ გაზეთის საშუალებით აჭარისტანის ღარიბი გლეხობა და მუშათა კლასი ლაპარაკობს საკუთარ ენაზე და თავის ლხინსა და გასაჭირს უზიარებს მთელ საქართველოს მშრომელ მოძმეებს. „ფუხარას“ ათასი ნომერი, ფუხარა მასის დაუძინებელი მტრების გულ-მკერდში ჩასობილი ათასი მახვილია. სალამი „ფუხარას“, მის ხელმძღვანელებს და მუშა-გლეხ მკითხველებს“.

მისალმება მიუთითებს იმ დიდ მნიშვნელობაზე, რასაც ანიჭებდა პარტია და მთავრობა აჭარისტანის იმდროინდელ მძიმე კულტურულ და ეკონომიურ ვითარებაში ახალი გაზეთის შეათავსე ნომრის გამოშვებას.

ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის უფრო გასაგები რომ გახდეს გაზეთის მიერ გავლილი გზის სიძნელენი, რედაქცია აქვეყნებს საკმაოდ ვრცელ წერილს, სადაც მოკლედაა მიმოხილული ადრინდელი გაზეთები. ბათუმში პირველი გავრცელებული გაზეთი ყოფილა შავრაზმელ პალმის „ჩერნომორსკი ვესტნიკი“, რომელიც

გამოდიოდა მეფის მთავრობის სუბსიდიით და კოლონიზატორული დანიშნულება ჰქონდა. გაზეთი თურმე სასტიკად ებოიოდა განმათავისუფლებელ ქ მოძრაობას, აგინებდა და აძაგებდა ქართულ ეროვნულ კულტურას, მოღალატეებად სთვლიდა აჭარლებს, აღვივებდა ველიკორუსულ შოვინიზმს.

1904 წელს, როდესაც ბათუმში რევოლუციური მოძრაობა გაძლიერდა, მუშებს გაზეთის რედაქცია გაუნადგურებიათ. რედაქტორი იძულებული გამხდარა ბათუმში დაეტოვებინა. ამით შავრაზმული ფურცლის არსებობაც დასრულებულა.

„ჩერნომორსკი ვესტნიკი“ შეუცვლია „ჩერმომორსკი გოლოსს“, რომელსაც ა. ნიკიტინი და ს. მდივანი ხელმძღვანელობდნენ. გაზეთი შედარებით პროგრესული ყოფილა, მაგრამ მალე ადგილობრივი ბანკის გავლენის ქვეშ მოქცეულა, რასაც დამღუპველი ზეგავლენა მოუხდენია მასზე. 1906 წელს ეს გაზეთი დაუხურავთ. შემდგომ, ბათუმში კიდევ გამოდიოდა თურმე რუსული გაზეთები, მაგრამ ყველა ბულვარულ ხასიათს ატარებდა და მათი მიზანი ბურჟუაზიის ინტერესებიდან გამომდინარეობდა.

წერილში მოთხრობილია „ფუხარას“ წინამორბედების: „უწყებების“, „პროლეტარული ბრძოლის“ და „ბრძოლის“ შესახებაც. აქვეა მოხსენიებული მისი პირველი დამაარსებელნი და აქტიუ-

რი თანამშრომლები. ერთი სიტყვით, ამ წერილში მოკლედ და ნათლადაა წარმოდგენილი გაზეთის გზა „უწყებებიდან“ — სააგიტაციო, მშრალი, ლოზუნგური ხასიათის გაზეთიდან, „ფუხარამდე“ — ბათუმის აღიარებულ ქართულ საოლქო გაზეთამდე. წერილის ავტორია გაზეთის მაშინდელი რედაქტორი თომა სიხარულიძე.

„ფუხარას“ მეათასე ნომერში უმეტესი ადგილი საზეიმო, მილოცვითი ხასიათის მასალებს უჭირავს. მათში შეფასებულია გაზეთის როლი და მნიშვნელობა. საქართველოს კპ აჭარისტანის საოლქო კომიტეტი, თავის მილოცვაში, „ფუხარას“ უწოდებს უერთგულეს თანამებრძოლს და ბასრ იარაღს ახალი საზოგადოების მშენებლობაში.

„დიდი მოვალეობა, რომელიც აწევს პარტიულ პრესას ეკონომიურად და კულტურულად ჩამორჩენილ მხარეში, „ფუხარამ“ ღირსეულად შეასრულა ათასი ნომრის სიგრძეზე, ამ სამი-ოთხი წლის განმავლობაში, რასაც ამტკიცებს მისი პოპულარობისა და გავლენის ზრდა აჭარისტანის მშრომელთა მასაში. ისეთ მივარდნილ სოფლებშიც კი, სადაც ამდენ ხანს წერა-კითხვის მცოდნე სანთლით საძებნი იყო, დღეს სიამოვნებით კითხულობენ „ფუხარას“, ეცნობიან მისი საშუალებით კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების საქმიანობას“.

ეს შეფასება ნათლად მეტყველებს გაზეთ „ფუხარას“ ავტორიტეტსა და მნიშვნელობაზე, მის მებრძოლურ ბუნებასა და შეუპოვრობაზე.

გაზეთ „ფუხარას“ ათასი ნომერი აჭარისტანის სინამდვილეში ფუხრული რევოლუციის ათასი გამარჯვებაა, მაგრამ რამდენად დიდია „ფუხარას“ მიღწევები წარსულში, იმდენად უფრო მნიშვნელოვანია მისი მომავალი მუშაობა აჭარისტანის კულტურულ-ეკონომიურ აღმშენებლობისა და ფუხარა ხალხის გათვითცნობიერების საქმეში“ — ვკითხულობთ აჭარისტანის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მისალმებაში.

გაზეთ „ფუხარას“ მეათასე ნომრის ზეიმმა ნამდვილი ეროვნული ხასიათი მიიღო, როგორც აჭარაში, ისე მთელს საქართველოში. ეს, არა მარტო ახალი ცხოვრების და მისი ბეჭდვითი ორგანოს გამარჯვება იყო, არამედ აჭარაში ქართული კულტურის ამ უძველეს აკვანში, ქართული სიტყვის გამარჯვებაც, მისი ისევ ძველი დიდებით შემოსვა და საუკუნეობრივ საბუღარში დაბრუნება.

ქართული საბჭოთა პრესის დედაბოძი, გაზეთი „კომუნისტი“ განსაკუთრებულ მოვლენად მიიჩნევს აჭარაში ახალი, პარტიული გაზეთის მეათასე ნომრის გამოსვლას და გულით იზიარებს „ფუხარას“ ზეიმს, როგორც მისი უმცროსი თანამებრძოლის გამარჯ-

ვებას: „...ფუხარას“ ათასი ნომერი — ფუხარა ხალხის ათასი გაბედული ნაბიჯია კომუნიზმისაკენ, მთელი მსოფლიოს და აღმოსავლეთის ხალხთა სრული განთავისუფლებისაკენ. გაუმარჯოს კომუნისტურ პრესას მთელ მსოფლიოში, გაუმარჯოს გაზეთ „ფუხარას“, ჩვენს ერთგულს და მტკიცე თანამებრძოლს შავი ზღვის ნაპირებზე“.

გაზეთს ეხმაურება „ზარია ვოსტოკას“ რედაქციაც: „გაზეთ „ფუხარას“ ათასი ნომერი აჭარისტანის სოფელში შეჭრილი კომუნიზმის ათასი სხივია“, წერს იგი. იმ საზეიმო დღეებში აჭარის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა გაზეთი „ფუხარა“ დააჯილდოვა „შრომის წითელი დროშის“ ორდენით.

გარდა ამისა, აჭარის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი რესპუბლიკის „წითელი ჟურნალისტის“ საპატიო წოდებას ანიჭებს: ა. პაპავას, თ. სიხარულიძეს, დ. დუმბაძეს, რ. ზოზრევანიძეს და გ. ნუცუბიძეს; საპატიო საიუბილეო ნიშნები მიეცათ გლეხკორებს: ზოიძეს, ს. ხიმშიაშვილს და სარიშვილს; მუშკორებს: პ. ლორიას, მ. მგელაძეს, დ. გოგუაძეს, ა. კიკნაძეს, პარტიკორ ჟ. ჟღენტს და სხვებს.

მეათასე ნომერში გარდა ხელმძღვანელ ორგანოთა მისალმებებისა დაბეჭდილია უბრალო მკითხველების, მუშკორებისა და სოფლკორების წერილები. მათში იგრძნობა ის უშუალო დამოკიდე-

ბულება, რაც სუფევდა „ფუხარასა“ და მის მკითხველებს შორის. აქ გამოსჭვივის ის მაღალ-უტანებელი, სიყვარულითა და გულწრფელობით აღსავსე ნააზრევი, რომელიც წარმოთქმულია ღარიბი კაცის სიალაღით თავისი დამცველის მიმართ.

„...ბეგებისა და აღების ხელში იყო ჩვენი სიცოცხლე და სარჩოსაბადებელი, თანამგრძნობი, გამკითხავი არავინ იყო. გაზეთებს ხომ სანთლითაც ვერ მონახავდით ჩვენს სოფლებში. გვესმოდა მხოლოდ, რომ ბათუმში გამოდის გაზეთები, მაგრამ ჩვენ არავითარი წარმოდგენა არ გვქონდა იმაზე, თუ რაზე წერდნენ ეს გაზეთები, ვის ინტერესებს იცავდნენ ისინი, ცხოვრების რომელ მხარეებს აშუქებდნენ. მრავალი საუკუნის ტანჯვისა და მონობის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლების დროს პირველად ვიგემეთ ნამდვილი თავისუფლება... ვიხილეთ ჩვენი გაზეთიც, ჩვენი „ფუხარა“, რომელიც სავსებით ამართლებს ამ სახელწოდებას. ამ გაზეთის ფურცლებზე ფართოდ არის გაშუქებული აჭარის გლეხკაცობის ყოველდღიური ცხოვრება, მისი ავ-კარგი, მისი სურვილები და მისწრაფებები“. — ამ საკმაოდ გრძელი ამონაწერის ავტორი სოფკორი ეუბ ნაკაიძეა.

ამგვარი ამონაწერების მოტანა მეათასე ნომრიდან კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ საქმე ქების სიტყვათა სიმრავლეში როდია. უნებურად იბადება კითხვა: მეტისმე-

ტი თავის ქება ხომ არ გამოუღის გაზეთს ამ ნომერში? ნუთუ „ფუხარა“ თვითრეკლამაზე გადავიდა?!

გავისხენოთ ჩვენი პარტიული პრესის სახელმძღვანელო დებულებანი, სადაც ნათლადაა ნათქვამი, რომ ჩვენი გაზეთები არ ექვემდებარებიან სენსაციურობასა და რეკლამირებას, რაც ასე დამახასიათებელია კაპიტალისტური სამყაროს ყოველდღიური პრესისათვის...

საქმე ისაა, რომ ყოველივე ამას მტკიცე სოციალურ-პოლიტიკური საფუძველი გააჩნია. პირველი მიზეზი, როგორც ეს ნაწილობრივ უკვე აღვნიშნეთ, იყო აჭარაში ქართული სიტყვის „ხელმეორედ დაბადება“. წარსული საუკუნეების მძიმე სოციალურ-ეკონომიური თუ კულტურული პირობების შემდეგ თითქმის დაღუპვის პირამდე მისულმა ენამ ფრთა შეისხა და ისევ უბრალო ხალხის ენაზე იგალობა. უმთავრესი კი მაინც ის იყო, რომ პრესა აშკარად გამოვიდა, როგორც აჭარის ღარიბი ხალხის ინტერესების დამცველი და მისი ჭირ-ვარამის ერთგული გამზიარებელი. და კიდევ ერთიც, რაც ნებით თუ უნებლიეთ ახალი ცხოვრების სასარგებლოდ მოქმედებდა: ეს რეკლამა იყო, რაც ზემოთ შემთხვევით როდი ვახსენეთ. ჩვენი პრესის ისტორიაში

იყო ისეთი დროც, როდესაც სხვათა გასაგონად ხმამაღლა და ოდნავ აწეული ტონით ნათქვამ სიტყვას თავისი მნიშვნელობა ვერცხვნიდა. ეს იყო პერიოდი, როდესაც პოლიტიკურ მტრებთან შეჯახებისას არა ნაკლებ როლს თამაშობდა მასებზე მორალური ზემოქმედება.

„ფუხარას“ გადაჭარბებული სიხარული თვითმიზნური ხასიათისა როდია. იგი წინასწარგამიზნულ მანევრს უფრო ჰგავს, რომელმაც ჭეშმარიტად გამაჯანსაღებელი გავლენა იქონია აჭარის იმდროინდელი დაძაბული ცხოვრების ატმოსფეროში. მეათასე ნომრის ზეაწეულმა ტონმა ათასმეერთე მახვილი სწორედ ამით ჩასცა საბჭოთა ხელისუფლების მტრებს და საბოლოოდ დაარწმუნა ისინი ახალი ცხოვრების უძლეველობაში, მის მომავალ გარდაუვალ გამარჯვებაში.

„ფუხარა“ განახლების ცეცხლს ანთებდა ჩაგრულთა გულეებში, რომელთაც ეღირსათ რა ძალაუფლების ხელში აღება, ძლევამოსილი წინსვლითა და გამარჯვებებით უკან იტოვებდნენ წარსულ დროთა ცრემლსა და უბედურებას. ამიტომ აღარ გეძნელება გაიგო, თუ რა შთაგონებამ ათქმევინა მუშკორ დ. ბაისოშვილს ლექსი, რომელიც მეათასე ნომერშია დაბეჭდილი:



„ფუხარავ“, ჩვენო „ფუხარავ“, ჩაგრულთა გულის მარაო,
 შენმა ათასმა სიცოცხლემ ჩვენ გული გაგვიხარაო.
 ფუხარა შენით დამტკბარა, მტერსა კი ემახვილები!
 უკვე ფოლადად გადიქცნენ შენი მუშკორთა რიგები.
 ძლიერ არიან კალამით, ძლიერნი ყველა სულითა,
 თავს ევლებიან ფუხარას, შეგნებით, სიყვარულითა.
 მოყვარე გული უცინის, ნეტარებს სიხარულითა,
 მტერს ბრაზი მოსდის, საბრალოს, უსკდება გული შურითა“.

ან კიდევ სტრიქონები გ. შავიშვილის ლექსიდან „ათასი იერი-ში“:

„ვაშა, ვაშა ჩვენს „ფუხარას“,
 ლელოს იგი კვლავ გაიტანს,
 გაუმარჯოს მის მუშკორებს,
 გაუმარჯოს აჭარისტანს!“ —

ეს არც ჰონორარისათვის ნაწერი სტრიქონებია და არც პოეზი-

აში თავის გამოჩენის ახირებული ცდა. ესაა მუშა კაცის ალალი ნათქვამი, ჭეშმარიტი სიხარულის გრძნობა თავისივე მეზობლი ორგანოს მიმართ, რომელმაც არა ერთი ბედნიერი დღე განაცდევინა, არაერთხელ მოუოხა ჯავრიანი გული, მუშა კაცის სათქმელი სთქვა და ამით დაკოდლი გული გაუმრთელა.





პლანიანი დახეობა

მომხივანის ხვედრი

როცა სამსახურიდან უკანონოდ გამათავისუფლეს, კანონს მივმართე. შეიქმნა მითქმა-მოთქმა, რომ „მწერალი“ ვარ და სათოფედაც არავინ მიკარებდა. ერთხელ როგორღაც მაინც მოვახერხე ჩემი სულთამხუთავის კოლოსალურ კაბინეტში შეღწევა. მანკი მომახალა — აუღენცია დამთავრებულიაო.

— როდის არ არის დამთავრებული? — ჩავილულულულე მე.

— მაინც იკბინები არა! — გაცეცხლდა „მასპინძელი“. — წერილებს წერ ხომ? წერე რამდენიც გნებავს.

— მხოლოდ სამართალს ვეძებ, — ვცადე თავის გამართლება, — საკითხის ობიექტურ გადაწყვეტას...

— შეხედეთ ამ უმადურს. პროკურატურისათვის უნდა გადამეცა შენი საქმე და მაშინ ნახავდი სერიოს!

— სიმართლისათვის?! — წამოვიძახე.

— ცილისწამებისათვის! — დაიწყო მონოლოგი. — იმიტომ ვზივარ ამ სკამზე, მჯღაბნელებს ჭკუა ვასწავლო. მოხსნილი ხარ, ძმაო, მოხსნილი! ვის გადავეკიდე ამას? სადაც გასურდეს, იქ მიჩივლე. წერა-კითხვა... წერა-კითხვა... მაგირომ საქმეს შევლოდეს, ჩემთან რადღა მოხვიდოდი?!

* * *

წარმოიდგინეთ, მაინც მეშველა.

— ტყუილუბრალოდ დაგისჯიათ უანგარო მუშაკი! — უთხრა

ჩემს ყოფილ უფროსს მისმა უფროსმა.

— ჩემთან კრინტიც არ დაუძრავს ამის თაობაზე, — უპასუხა მან და მე შემომიბრუნდა: — ერთხელ მაინც შემოგვევლო, რამე გეთქვა. ამდენ ხალხს თავზე გადაგვახტი, უხერხულ მდგომარეობაში ჩაგვაყენე. ამხანაგო, მაინც რას ითხოვ?!

— სამუშაოზე აღდგენას! — ვთქვი მე.

— სწორია, — დამეთანხმა ჩემი ყოფილი უფროსის უფროსი; — პრინციპული მოთხოვნაა...

— რა თქმაუნდა, — დაუყო-

ნებლივ ქედი მოიხარა ოპონენტმა, — მხოლოდ, ჩემი აზრით, მაგის ძველ თანამდებობაზე აღდგენა საცოდაობაა. სოკრატეჩ, რომ წაიკითხეთ, როგორი საჩივარი გაუშანშალებია. ვერც ერთი ინტრიგანი ვერ შეძლებდა ამას... რედაქციისათვის ასეთი ტალანტი პირდაპირ მისწრებაა.

— ეს პარადოქსია! — ავკვნესდი მე, — ამოდენა ცოდნა სადამაქვს...

— დიდებული, დიდებულ იდეაა! — გამაწყვეტინა სიტყვით უფროსის უფროსმა. — ცეზარი ვიჩ, ახლავე გაამზადე შუამდგომლობა...

წაკი 40 კაკი.

612/71



**ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ**

„ЧОРОХИ“

**ОРГАН СОЮЗА СОВЕТСКИХ ПИСАТЕЛЕЙ
ГРУЗИИ И АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ**

ИНДЕКС 76118